

მარინე აროშიძე, ნინო აროშიძე

თარგმანის თეორიის საფუძვლები
და პრაქტიკა
(სახელმძღვანელო)



ბათუმი
2022

შინაარსი

შესავალი

თემა I

თარგმანის თეორიის განვითარება და მისი კავშირი ჰუმანიტარულ დისციპლინებთან

- 1) თარგმნის რაობა;
- 2) თარგმნის განვითარების ძირითადი ეტაპები და მისი როლი საზოგადოებაში;
- 3) თარგმანმცოდნეონის ძირითადი ასპექტები და ამოცანები;
- 4) თარგმანმცოდნეობის კავშირი სხვა დისციპლინებთან.

თემა II

თარგმანის ძირითადი სახეები

- 1) თარგმანის კლასიფიკაციის საფუძვლები;
- 2) წერითი და ზეპირი თარგმანი;
- 3) ტრადიციული და მანქანური თარგმანი;
- 4) ძირითადი მთარგმნელობითი ცნებები.

თემა III

თარგმანი და კომუნიკაცია. ენობრივი შუამავლობის საშუალებები.
მთარგმნელი - კულტურათშორისი მედიატორი

- 1) კომუნიკაციის არსი;
- 2) თარგმანი როგორც ორენოვანი კომუნიკაცია;
- 3) ენობრივი შუამავლობის საშუალებები;
- 4) მთარგმნელი როგორც შუამავალი და კულტურათშორისი მედიატორი.

თემა IV

თარგმანის პროცესი და მასზე მოქმედი ფაქტორები

- 1) თარგმანის პროცესის ძირითადი ეპატები;
- 2) ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება;
- 3) ბარიერის შემადგენელი ნაწილები;
- 4) ფონური ინფორმაცია როგორც ბარიერის შემადგენელი ნაწილი.

თემა V

თარგმანი როგორც ბილინგვიზმის განსაკუთრებული სახეობა

- 1) ბილინგვიზმის ცნება ლინგვისტიკაში;
- 2) ენათმეორისი ინტერფერენციის მოვლენა;
- 3) მთარგმნელობითი ბილინგვიზმი;
- 4) მთარგმნელი როგორც ბილინგვი.

თემა VI

ადეკვატურობა და ეკვივალენტობა თარგმანში. ფორმა და შინაარსი. უთარგმნელობის თეორია

- 1) ადეკვატური თარგმანის ცნება;
- 2) შინაარსის თარგმნის პრობლემები;
- 3) ლექსიკური ტრანსფორმაციები.

თემა VII

შინაარსთან დაკავშირებული პრობლემები. თარგმნის ერთეულის ცნება

- 1) წყარო ტექსტის შინაარსის გადმოცემა;
- 2) თარგმნის ერთეულის ცნება;
- 3) ფრაზეოლოგიზმების თარგმნის პრობლემები;

თემა VIII

მთარგმნელობითი შეცდომები

- 1) მთარგმნელობითი შეცდომების გამომწვევი ლექსიკა;
- 2) მთარგმნელის „ცრუ მეგობრები“;
- 3) არქაიზმებისა და ნეოლოგიზმების თარგმნა;
- 4) ჟარგონისა და დიალექტის თარგმანი.

თემა IX

თარგმანის ენობრივი გაფორმების პრობლემები. მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები

- 1) ენობრივი სისტემების განსხვავებით განპირობებული თარგმნის პრობლემები.

- 2) სამიზნე ტექსტის ენობრივი გაფორმების საკითხები;
- 3) მთარგმნელობითი ტრანსფორმაციები.

თემა X

თარგმანის პრაგმატული ასპექტები

- 1) თარგმანი და დისკურსი;
- 2) პრაგმატიკა და თარგმნის პრაგმატული ასპექტი,
- 3) ორიენტაცია ადრესატზე.

თემა XI

თარგმანის კულტუროლოგიური ასპექტები

- 1) ენა და კულტურა;
- 2) კულტურის ფაქტორი თარგმანში;
- 3) რეალიების და ლაკუნების თარგმნა.

თემა XII

წყარო ტექსტის ჟანრული თავისებურება და ეკვივალენტობა

- 1) სათარგმნი მასალის ჟანრული თავისებურებით განპირობებული თარგმანი;
- 2) სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტების თარგმნა;
- 3) საინფორმაციო მედია ტექსტების თარგმნა;
- 4) საზოგადოებრივ-პუბლიცისტული ტექსტების თარგმნა;
- 1) ოფიციალურ-საქმიანი დისკურსის თარგმნა;
- 2) მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური დისკურსის თარგმნის თავისებურებანი;
- 3) მხატვრული თარგმანის ძირითადი თავისებურებანი.

სავარჯიშოები

სქემები

შესავალი

თარგმანი და თარგმანმცოდნეობა საინტერესო პარადოქსით არიან დაკავშირებული: თარგმანი კაცობრიობის ერთერთ უძველეს სამეტყველო პრაქტიკას წარმოადგენს, თარგმანმცოდნეობის თეორია კი უახლესი მეცნიერებაა, რომლის დაბადება თარიღდება მე-20 ს. მეორე ნახევრით.

მეორე და მესამე ასწლეულების შესაყარზე, აშკარა გახდა, რომ კაცობრიობა ვითარდება სხვადასხვა ქვეყნებს, ერებსა და მათ კულტურებს შორის ურთიერთობების განმტკიცების გზით. ამ პროცესმა მთელს მსოფლიოში საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა. დღესდღეობით არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც არ განუცდია სხვა ერების კულტურის ზეგავლენა. ეს გამოიხატა სახელმწიფოებს შორის უშუალო კონტაქტების განმტკიცებაში, სხვადასხვა კულტურებს, ქვეყნებს, ცალკეულ ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის დამყარებაში.

ხალხებისა და კულტურების ურთიერთმიმართებამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა კომუნიკაციის, თარგმანის, კულტურული თვითმყოფადობის, კულტურული განსხვავებების საკითხები. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს ერების კულტურული თავისებურებების განსაზღვრის უნარი და მათი ადეკვატური თარგმანი, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ურთიერთგაგების დამყარება. მგანსხვავებები ენებში, საზოგადოებრივი ქცევის ნორმებში ხშირად ართულებს, ან საერთოდ შეუძლებელს ხდის ასეთ კონტაქტებს. მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ სხვა კულტურას საკუთარი კულტურის პრიზმაში ვხედავთ და ეს ეთნოცენტრიზმი აფერხებს კულტურათშორის კომუნიკაციას. ყოველივე ზემოთქმული მოწმობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრიათ მთარგმნელებს ჩვენს მრავალეროვან სამყაროში. გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი

მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

მთარგმნელობითმა პრაქტიკამ, რომელიც ოც საუკუნეზე მეტს მოითვლის, უკვე დიდი ხანია უარყო ეს მოსაზრება. მთარგმნელი არ არის მხოლოდ ლინგვისტი, არამედ კულტუროლოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლინგვისტი და ფსიქოლოგიც.

მოცემული მასალა გათვლილია სტუდენტებზე, რომლებიც ეწევიან ან მომავალში გეგმავენ მთარგმნელობით პრაქტიკას. იგი ორიენტირებულია თარგმანის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკის ათვისებაზე, მაგრამ შეიძლება ასევე გამოყენებული იყოს თარგმანის სხვა კურსებისთვისაც, როგორცაა სამეცნიერო-ტექნიკური, საქმიანი, საზოგადოებრივ-პუბლიცისტური, მხატვრული ტექსტების თარგმანი და სხვ. ამ მიზნით, კურსში აქცენტირებულია და გაშუქებულია ის თეორიული მასალა, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს მთარგმნელობითი კომპეტენციის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში. სათარგმნი ტექსტების თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მთარგმნელს ფაქტობრივად დამოუკიდებლად უწყვეტად მოუწევს ამაზე მუშაობა სწავლის შემდგომ პერიოდშიც. ამიტომაც საჭიროა მომავალი მთარგმნელები/თარგმნელები საწყის ეტაპზევე მიეჩვიონ სხვადასხვა ტიპის უცხო ტექსტებზე მუშაობას მთარგმნელობითი მიდგომით.

მოცემული სახელმძღვანელო დაეხმარება სტუდენტებს თარგმანის პროცესზე ზოგადი ცოდნისა და ბაზური პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას და შუქმნის კერძო მთარგმნელობითი განხრით მუშაობისთვის მყარ საფუძველს, რომლის განვითარებასაც სტუდენტი შეძლებს სპეციალური კურსების გავლით.

თემა I

თარგმანის თეორიის განვითარება და მისი კავშირი ჰუმანიტარულ დისციპლინებთან

- 1) თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულება;
- 2) თარგმანის თეორიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება;
- 3) თარგმანის თეორიის ამოცანები და დარგები;
- 4) თარგმანმცოდნეობის კავშირი სხვა დისციპლინებთან.

თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულება

თარგმანი _ ადამიანთა უძველესი საქმიანობაა. უძველეს წარსულშიც კი ტომებს შორის ურთიერთობა და სულიერი ფასეულობების გაცვლა ხორციელდებოდა განსაკუთრებული ადამიანების _ შუამავლების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულება იზრდებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა: შუა საუკუნეებში ის ქრისტიანული რელიგიის ...სწრაფი გავრცელების პირობა გახდა, აღორძინების ხანაში თარგმანი გახდა ანტიკური კულტურის გაცნობის საშუალება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროპული კულტურისა და მეცნიერების აყვავებას. ფასდაუდებელია თარგმანის როლი მეცნიერულტექნიკური რევოლუციის დროს.

მრავალი მეცნიერების ნაშრომებში ხაზგასმით არის აღნიშნული, ის განსაკუთრებული როლი, რომელსაც თარგმანი ასრულებს კულტურის, მეცნიერების, ეკონომიკის, ლიტერატურისა და თვით ენის განვითარებაში. მას შემდეგ რაც ცივილიზაციის ისტორიაში დაიწყო ხალხის გაყოფა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და ასევე გეოგრაფიული, ისტორიული და კულტურული

წინაპირობის თვალსაზრისით, დადგა საკითხი სიტყვის დეკოდირების წარმატებული კომუნიკაციისათვის. უდავოა, რომ თარგმანი ადამიანის ერთ-ერთი უძველესი საქმიანობაა, რადგანაც მთელი კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვა ქვეყნები შედიოდნენ და შედიან ერთმანეთთან სავაჭრო, სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამეცნიერო ურთიერთობებში. უძველესი დროიდან თარგმანს აკისრია ენათშორისი და კულტურათშორისი ურთიერთობების წარმართვის ფუნქცია, როგორც სახელმწიფოებს, ისე მრავალეროვან ქვეყნებს შორის. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ: უძველესი კართაგენი, ძველი ეგვიპტე, ძველი საბერძნეთის, რომის იმპერიის სახელმწიფოები, ცენტრალური აზიის ქვეყნები, ინდოეთი და ირანი, რომლებიც მოსახლეობაც შედგებოდა მრავალენოვანი ტომებისა და ეროვნების ხალხისაგან. რაც უფრო მრავალეროვანი იყო სახელმწიფო, მით უფრო პრესტიჟულ ადგილს იკავებდა მთარგმნელი. თარგმნის განვითარებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს დამწერლობის წამმოქმნა. პირველ რიგში, მან ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში არსებული ღირებულებების და მიღწევების ინტერკულტურული გაცვლისადმი ძლიერი გავლენა მოახდინა და მეორე, თარგმანითა პრაქტიკაში ახალი ტიპის თარგმნა წარმოშვა, კერძოდ, წერილობითი თარგმანი, თარგმანი აღარ იყო მხოლოდ ზეპირი, არამედ დაიწყო წერილობითი ტექსტების თარგმნაც.

თარგმანი დიდ როლს ასრულებს თანამედროვე სამყაროში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ე.წ. "ინფორმაციული აფეთქება" მოხდა. მკვეთრად გაიზარდა ხალხსა და ერებს შორის ინფორმაციის გაცვლა. გაიზარდა საერთაშორისო კონტაქტები, ახალი ქვეყნები გამოჩნდნენ მსოფლიო რუკაზე, ჩამოყალიბდა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო მოძრაობა და სახელმწიფოების რეგიონული კავშირები. სამეცნიერო და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გამოიწვია დიდი საჭიროება სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მნიშვნელოვნად გაიზარდა საერთაშორისო ვაჭრობა, დიპლომატიური საქმიანობის მოცულობა, საერთაშორისო კორესპონდენცია. და გასაგებია, რომ ხალხთა ასეთი

დაახლოება შეუძლებელი იქნებოდა თარგმნისა და მთარგმნელთა გარეშე, რომლებიც გამოდიან როგორც შუამავალები, იმ ადამიანებს შორის რომლებიც სხვადასხვა ენებზე საუბრობენ.

მეორე და მესამე ასწლეულების შესაყარზე, აშკარა გახდა, რომ კაცობრიობა ვითარდება სხვადასხვა ქვეყნებს, ერებსა და მათ კულტურებს შორის ურთიერთობების განმტკიცების გზით. ამ პროცესმა მთელს მსოფლიოში საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა. დღესდღეობით არ მოიძებნება ქვეყანა, რომელსაც არ განუცდია სხვა ერების კულტურის ზეგავლენა. ეს გამოიხატა სახელმწიფოებს შორის უშუალო კონტაქტების განმტკიცებაში, სხვადასხვა კულტურებს, ქვეყნებს, ცალკეულ ინდივიდებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობის დამყარებაში.

ხალხებისა და კულტურების ურთიერთმიმართებამ განსაკუთრებით აქტუალური გახადა კომუნიკაციის, თარგმანის, კულტურული თვითმყოფადობის, კულტურული განსხვავებების საკითხები. შესაბამისად, დიდ მნიშვნელობას იძენს ერების კულტურული თავისებურებების განსაზღვრის უნარი და მათი ადეკვატური თარგმანი, რის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ურთიერთგაგების დამყარება. მგანსხვავებები ენებში, საზოგადოებრივი ქცევის ნორმებში ხშირად ართულებს, ან საერთოდ შეუძლებელს ხდის ასეთ კონტაქტებს. მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ სხვა კულტურას საკუთარი კულტურის პრიზმაში ვხედავთ და ეს ეთნოცენტრიზმი აფერხებს კულტურათშორის კომუნიკაციას. ყოველივე ზემოთქმული მოწმობს იმაზე, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრიათ მთარგმნელებს ჩვენს მრავალეროვან სამყაროში. გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

დღესდღეობით თარგმანი თამაშობს მნიშვნელოვან როლს საერთაშორისო კავშირების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში – უზრუნველყოფს კომუნიკაციასა და ურთიერთგაგებას, საშუალებას გვაძლევს ვეზიაროთ მთელი

კაცობრიობის სულიერ ფასეულობებს, ხელს უწყობს ერთობლივი ქმედებების კოორდინაციას (მაგალითად, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისას, გარესამყაროს შენარჩუნებისათვის ბრძოლის დროს).

თარგმანის თეორიის როგორც მეცნიერების ჩამოყალიბება

თარგმანი, როგორც საზოგადოებრივი საქმიანობა – კაცობრიობის მოღვაწეობის ერთ-ერთი უძველესი სახეობაა, თუმცაღა თარგმანის თეორია (ან თარგმანმცოდნეობა) როგორც მეცნიერება – შედარებით ახალგაზრდა დარგია. დასაწყისში

გამოყენებითი მეცნიერების ჩასახვა და მხოლოდ შემდეგ მისთვის სამეცნიერო ბაზის მისადაგება – მეცნიერული განვითარების ჩვეული გზაა. საკვირველი მხოლოდ ის არის, თუ რატომ თარგმანის პრაქტიკა და მისი თეორია დიდი ხნის

განმავლობაში ვერ “შეხვდნენ” ერთმანეთს.

თარგმანმცოდნეობის საყოველთაოდ მიღებული პერიოდიზაცია არ არსებობს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ჩვენ გამოვყოთ ამ რთული გზის ძირითადი ეტაპები. პ.კოპანევის მიერ მოწოდებული პერიოდიზაცია ეყრდნობოდა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების გათვალისწინებას და არ ასახავდა თარგმანის თავისებურებებს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მან ვერ პოვა ფართო გავრცელება (I პერიოდი – ძველი – მონათმფლობელური წყობილება და ფეოდალიზმი; II პერიოდი – საშუალო – კაპიტალიზმის ჩასახვიდან XVIII საუკუნის მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე; III პერიოდი – ახალი – XVIII საუკუნის ბოლო – XIX საუკუნე; IV პერიოდი – უახლესი – XX საუკუნის დასაწყისიდან).

თარგმანის ისტორიული განვითარების წარმოდგენის შედარებით უკეთესი მცდელობა ეკუთვნის ჯ. სტეინერს (შტეინერს), “ბაბილონის შემდეგ” წიგნის ავტორს

(Steiner G. After Babel. Oxford, 1975). ის გამოყოფს 4 პერიოდს, მაგრამ ხაზს უსვამს მათი

საზღვრების ამორფულობას. I პერიოდი – ყველაზე ვრცელი – 18 საუკუნე: იწყება ციცერონის მსჯელობით სიტყვასიტყვით და თავისუფალ თარგმანზე და ჰორაციუსის ნაშრომით “პოეტური ხელოვნება” და გრძელდება XIX საუკუნის დასაწყისამდე. II პერიოდი – თეორიისა და გერმენევტიკული კვლევის ეტაპი – XIX საუკუნის დასაწყისიდან XX საუკუნის შუამდე. ეს არის თარგმანის არსის განსაზღვრის და მისი ფილოსოფიურ-პოეტური თეორიის ერა. III პერიოდი – თანამედროვე – იწყება XX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

მანქანური თარგმანის შესახებ პირველი სტატიების გამოჩენის მომენტიდან და

ხასიათდება ლინგვისტიკური თეორიისა და სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით თარგმანის კვლევისას. IV პერიოდი – გერმენევტიკული – XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე, როდესაც თარგმანის თეორია გასცდა ლინგვისტიკის საზღვრებს და გახდა დისციპლინათაშორისი სამეცნიერო კვლევის ობიექტი. “კლასიკური ფილოლოგია, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, სოციოლოგია, რიტორიკა, პოეტიკა, გრამატიკული ანალიზი ერთიანდებიან იმისათვის, რომ ნათელი გახადონ თარგმანის აქტის არსი და “ენათაშორისი სიცოცხლის” მექანიზმები” – ასკვნის სტეინერი.

სტეინერის პერიოდიზაცია აგებული იყო იმ შრომების ანალიზზე, რომლებიც საკუთრივ თარგმანს ეძღვნებოდნენ. მაგრამ ის უსუსური აღმოჩნდა კრიტიკის წინაშე, ვინაიდან მოკლებული იყო ჭეშმარიტ ისტორიზმს, როგორც ამტკიცებენ მ.ბალარი (Ballard M. De Ciceron a Benjamin. Lille, 1992) და ქართველი მკვლევარები დ.გოცირიძე და გ.ხუბუნი (გოცირიძე დ. ხუბუნი გ. Возрождение и Реформация в истории перевода и переводческой мысли. თბილისი, 1994). ბალარის მსგავსად თავის პერიოდიზაციას ისინი აყრდნობენ საზოგადოების სულიერი ცხოვრების საფუძველზე, უფრო ზუსტად ლიტერატურის ეტაპების საფუძველზე, რაც, უეჭველად, მისაღებია წერილობით თარგმანთან მიმართებაში.

ყველა ავტორი ერთსულოვანია მხოლოდ იმის აღიარებაში, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ჭარბობდა ემპირიზმი. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ მკვლევართა უმრავლესობა (კომისაროვი, რეცკერი, ლატიშევი და სხვა) უპირატესობას ანიჭებენ თარგმანმცოდნეობის ისტორიის გამუქებას XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, თანამედროვე თარგმანის თეორიის ჩამოყალიბების მომენტიდან.

ლინგვისტიკის მესამე სამეცნიერო პარადიგმა – ანთროპოცენტრიზმი, როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითადი ბირთვი, XX ს–ის მეორე ნახევრიდან ვითარდება. ანთროპოცენტრიზმი (ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „*άνθρωπος* — ადამიანი და ლათუნური *centrum* — ცენტრი) ლინგვისტური აზროვნების ისეთი მიმართულებაა, როცა ადამიანი ექცევა ყურადღების ცენტრში. თანამედროვე ლინგვისტიკა ანთროპოცენტრულია იმდენად, რამდენადაც მასში წამყვან როლს ასრულებს პრაგმატიკა – სემიოტიკაზე დაფუძნებული ლინგვისტიკის ის დარგი, რომელიც იკვლევს ადამიანს, როგორც კომუნიკაციის სუბიექტს.

ანთროპოცენტრისტული შეიძლება იყოს ყველა ჰუმანიტარული მეცნიერება. ანთროპოცენტრიზმი შეიძლება გავიაზროთ როგორც მეცნიერული პრინციპი. ამავდროულად, აღსანიშნია, რომ ანთროპოცენტრული პარადიგმა ინტერდისციპლინარული მიდგომით ხასიათდება, ამიტომაც მე-20 ს. მეორე ნახევარში განვითარდა ისეთი მეცნიერებები, როგორც არიან: პსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა და სხვ. (იხ. გამყრელიძე და სხვები „ზოგადი ენათმეცნიერება“).

ასე, მაგალითად, თარგმანმცოდნეობის ჩამოყალიბებაში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

- 1) გამოყენებითი ეტაპი - მთარგმნელობითი შემოქმედებითი საქმიანობა;
- 2) გარდამავალი ეტაპი - მთარგმნელობითი საქმიანობა და გამოცდილების განზოგადოება;
- 3) პირველი სამეცნიერო პარადიგმა - ლიტერატურათმშორისი მთარგმნელობითი თეორია;

- 4) მეორე მთარგმნელობითი პარადიგმა - ლინგვისტური მთარგმნელობითი თეორია;
- 5) მესამე მთარგმნელობითი ანთროპოცენტრული პარადიგმა - ლინგვო-კულტურული მთარგმნელობითი თეორია.

ენა ადამიანის აუცილებელი ატრიბუტია. ამასთანავე ენის მიერ წარმოჩენილ სამყაროსეულ სურათზე, ცენტრალურ ფიგურას ადამიანი წარმოადგენს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევებიდან ჩანს, რომ ენის სემანტიკური სისტემა ეფუძნება ანთროპოცენტრიზმის პრინციპებს. კერძოდ, იმისთვის რომ აღიწეროს საგნის ზომა, ფორმა, ტემპერატურა, მდებარეობა სივრცეში, ფუნქცია და სხვა მისი თავისებურებანი, ათვლის წერტილად ენა იყენებს ადამიანს. შესაბამისად, ანთროპოცენტრისტული პრინციპის მიხედვით, ამა თუ იმ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი ითვისებს იმ ენას საუბრის პროცესში, რადგანაც ენა გამოყენებისას ხასიათდება სუბიექტურობით.

მთარგმნელობითი ტერმინოლოგია

როგორც ყველა ახალგაზრდა მეცნიერება, თარგმანმცოდნეობა აყალიბებს თავის ტერმინოლოგიურ სისტემას, რომელიც საბოლოოდ არ არის ფორმირებული, ბევრი ტერმინი ჯერ კიდევ აპრობაციის სტადიაშია, მაგრამ ზოგიერთი უკვე დრომ გამოცადა.

სუპირველეს ყოვლისა საჭიროა ავლნიშნოთ, რომ თარგმანის თეორია, როგორც მრავალდარგობრივი მეცნიერება, ეყრდნობა ჰუმანიტარული მეცნიერებების უმდიდრეს ტერმინოლოგიურ ბაზას: ლინგვისტიკის (ენობრივი ერთეული, გრამატიკული კატეგორია), ლიტერატურათმცოდნეობის (ჟანრი, ვერტიკალური კონტექსტი, სახე), სამეტყველო აქტების თეორიას (ადრესატი, ადრესანტი, სამეტყველო აქტი), სემიოტიკას (ნიშანი, დენოტატი, კონოტაცია), კულტუროლოგიას (კონცეპტი, სამყაროს სურათი) და მრავალი სხვა მეცნიერების, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საკუთრივ მთარგმნელობითი ტერმინების ჩამოყალიბება.

თარგმანისა და მთარგმნელის თანამედროვე

სახელწოდება (მაგალითად, რომანულ ენებში traduction (ფრ.), traduzione (იტ.), traductor, tradutor) კი მხოლოდ XVI ს. გაჩნდა. უფრო ადრე ეს მნიშვნელობა სხვა სიტყვებით აღინიშნებოდა. ციცერონმა, ჰორაციუსმა გამოიყენეს სიტყვა interpres. იგივე სიტყვა გამოიყენა ბიბლიის მთარგმნელმა წმინდა იერონიმემ (ჩვ.წ.აღ. IV ს.). შუა საუკუნეებშიც მსგავს ტერმინებს იყენებდნენ, თუმცა მოგვიანებით ისინი ხმარებიდან გამოვიდნენ. თანდათან ფრანგულ ენაში დამკვიდრდა სიტყვები translation და transleteur (მნიშვნელობით “თარგმანი” და მთარგმნელი”), რომლებიც წარმოიშვა ლათინური სიტყვებისგან translation და translator. შემდეგ ეს ტერმინები სხვა ევროპულ ენებშიც გავრცელდნენ. წიგნების ბეჭდვის დაწყება მთარგმნელობითი საქმის განვითარების დამატებით სტიმულად იქცა, რამაც თავის მხრივ დააჩქარა ტერმინების ჩამოყალიბება, რომელთა თანამედროვე ვარიანტები სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის.

ტერმინს თარგმანი ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი არის თავად პროცესი – ერთ ენაზე გამოხატული მნიშვნელობის სხვა ენობრივი საშუალებებით გადმოცემა. მეორე არის ამ პროცესის შედეგი – ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი. ტერმინის დეფინიცია კი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თეორიულ სკოლას მიეკუთვნება განსაზღვრების ავტორი, მისი კვლევის მიზანზე. ერთ-ერთი გავრცელებული განმარტების მიხედვით, თარგმანი არის ერთ ენაზე შექმნილი წერილობითი თუ ზეპირი ტექსტის ინფორმაციის (შინაარსის) სხვა ენაზე გამოხატვა, ეკვივალენტური ტექსტის შექმნის საშუალებით.

თეორიული თარგმანის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ტერმინების დიდ ნაწილს წარმოადგენს ნათესავი დისციპლინების ტერმინოლოგიური ბაზა. მაგალითად: თარგმანის აღიარებამ ორენოვან კომუნიკაციურ აქტად აამოქმედა სამეტყველო აქტების თეორიის ტერმინები (ადრესატი, ადრესანტი, კავშირის არხი, ვერბალური კოდი და სხვა).

თარგმანის თეორიის ამოცანები და დარგები

თარგმანის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე თარგმნის თეორეტიკოსების ყურადღებას იზიდავდა ამ რთული პროცესის სხვადასხვა მხარეები. მხატვრული თარგმნის აყვავების ხანას ეს იყო ლიტერატურული ნაწარმოების ფორმის მაღალი ღირებულების შენარჩუნება. შემდგომ ეტაპზე ჭარბობდა ლინგვისტური თვალსაზრისი, რომლის მიხედვით თარგმანის ძირითად ამოცანად იყო აღიარებული ენათშორისი ზუსტი ტრანსფორმაციების ჩამოყალიბება. თანამედროვე პერიოდს ახასიათებს თარგმანის პროცესის გააზრება ფართო სოციოკულტურულ კონტექსტში სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით.

უამრავი მეცნიერული ლიტერატურის ანალიზის შედეგად ჩვენ დავასკვნით, რომ **თარგმანი შეისწავლის** საზოგადოებრივ კომუნიკაციური შუამავლობის ფუნქციას სხვადასხვა ენების და კულტურის წარმომადგენელთა შორის, რომლის რეალიზაციას ახორციელებს მთარგმნელი-ბილინგვი, ის აღიქვამს ტექსტს, ახდენს მის ინტერპრეტირებას და გადაჰყავს სხვა სემიოტიკურ სისტემაში ან სხვა ენობრივ კოდზე, რათა შექმნას მაქსიმალურად ეკვივალენტური მეორადი ტექსტი. თარგმანის თეორია შეისწავლის ამ რთული პროცესის ყველა ეტაპს, რაშიც მას წარმატებით ეხმარება მონათესავო დისციპლინები.

კონკრეტული მიზნების და ამოცანების მიხედვით თარგმანის თეორიაში გამოირჩევა თარგმანის ზოგადი თეორია, თარგმანის კერძო თეორიები, თარგმანის სპეციალური თეორიები. იგი შემდეგ დარგებად იყოფა:

თარგმანის ზოგადი თეორია შეისწავლის თარგმანის პროცესსა და მის ზოგად კანონზომიერებებს, ამ პროცესის განხორციელების საშუალებებს. ზოგადი თეორია მოიცავს თარგმანის ნებისმიერ სახეობას (წერილობითს თუ ზეპირს), ხსნის იმ ინდივიდუალურ თავისებურებებს, რაც სხვადასხვა ტიპისა და ჟანრის ტექსტების თარგმნისას წარმოიშვება. თარგმანის ზოგადი თეორია ქმნის თეორიულ საფუძველს და განსაზღვრავს თარგმანის თეორიის კერძო და სპეციალური თეორიების ცნებებს. კერძო და სპეციალური თეორიები

აკონკრეტებენ ზოგადი თეორიის მდგომარეობას თარგმანის ცალკეულ ტიპებთან მიმართებაში.

თარგმანის კერძო თეორია შეისწავლის თარგმანის თავისებურებებს ერთი კონკრეტული ენიდან მეორეზე, განსაზღვრული ენობრივი ერთეულების შესაბამისობის საკითხს, მთრგმნელის ინდივიდუალურ სტილისტურ ხერხებს და სხვა.

თარგმანის სპეციალური თეორია იკვლევს სხვადასხვა სახის თარგმანის (ზეპირი, წერილობითი, სინქრონული, თანმიმდევრული და ა.შ.) სპეციფიკას. გარდა ამისა, იგი შეისწავლის განსხვავებული ჟანრის ტექსტების თარგმანის თავისებურებებს.

თარგმანის კრიტიკა აფასებს ორიგინალისა და თარგმანის ადეკვატურობას და ძირითადად მხატვრულ თარგმანს ეხება. დამოუკიდებელ განხრად თარგმანის კრიტიკა შედარებით მცირე ხნის უკან ჩამოყალიბდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მანქანური თარგმანის თეორიამ, რომლის მიზანია მთარგმნელი მანქანის შექმნა. ამ დარგის თეორეტიკოსები ფართოდ იყენებენ ინფორმატიკის, კიბერენეტიკის, მათემატიკის, სემიოტიკისა და სხვა მეცნიერებათა მიღწევებს. N თარგმანამცოდნეობასთან მჭიდრო კავშირშია თარგმანის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც ცდილობს შეიმუშაოს წერილობითი და ზეპირი თარგმანის სწავლების მეთოდები. ზოგი მეცნიერი გამოყოფს “თარგმანის დიდაქტიკას,” რომელიც სწავლების მეთოდოლოგიის განხრას უკავშირდება.

განვიხილით უნივერსალური კატეგორიების ანალიზი ზოგადი თარგმანმცოდნეობის თვალსაზრისით და განსხვავებული მიდგომა კერძო თარგმანმცოდნეობაში.

მაგალითად: თარგმანმცოდნეობის ზოგად თეორიაში ისწავლება გრამატიკული კატეგორიების ტრანსკოდირების (ანუ თარგმნის) სპეციფიკა, კერძოდ, რომ არის ენები, სადაც სქესის კატეგორია არის გამოხატული გრამატიკულად (ფრანგული, რუსული და სხვ.) ან არ არის (ქართული)/ ინგლისურში შემორჩენილია გრამატიკული სქესის რამოდენიმე ფორმალური

მაჩვენებელი. ან ბრუნვის კატეგორია (ქართულ და რუსულ ენებში), რომელიც არ ახასიათებს ინგლისურ ენას.

თარგმანმცოდნეობის კერძო თეორიაში კი ყურადღება იქნება გამახვილებული მხოლოდ კონკრეტულ ენებში არსებულ ან არ არსებულ გრამატიკულ კატეგორიებზე (კითხვა: რას მიაქცევთ ყურადღებას ინგლისური ენიდან ქართულზე, და მეორე შემთხვევაში - რუსული ენიდან ქართულზე თარგმნისას - პირველ შემთხვევაში სქესის გრამატიკული გამოხატვის საშუალებებს ნაკლები მნიშვნელობა ექნება, რუსულ-ქართულ თარგმანში კი ეს პრობლემა წინა პლანზე გამოდის. და პირიქით, ქართულ-ინგლისურ თარგმანში გრამატიკული კატეგორიებიდან დიდი მნიშვნელობა ექნება ბრუნვის კატეგორიას და ასე შემდეგ).

თარგმანმცოდნეობის სპეციალური თეორია შეისწავლის იმ სპეციფიკას, რომელიც ახასიათებს მხატვრული პროზის თარგმნას პოეზიის თარგმნისაგან, ან საქმიანი საბუთის თარგმანს იუმორისტული დისკურსის თარგმნისაგან. მტარგმნელი, რომელსაც აქვს გამოცდილება მხოლოდ საქმიანი საბუთების თარგმანში არ/ვერ მოკიდებს ხელს შექსპირის სონეტების თარგმნას (და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამას პოეტური ნიჭი უნდა, აქ საჭიროა ლიტერატურის თეორიის გარკვეული თემების ცოდნა, შექსპირის ისტორიული ეპოქის, თვით პოეტისა და დრამატურგის ცხოვრებისა და შემოქმედების ცოდნა).

თარგმანმცოდნეობის ზოგადი თეორია შეისწავლის მთარგმნელობითი პროცესის კულტურულ, სოციალურ, პრაგმატულ და სხვ. სფეროებს, თარგმანმცოდნეობის კერძო თეორია განიხილავს კონკრეტული ენების კულტურულ მახასიათებლებს (დაფიქრით, რა მაგალითების მოყვანა შეგიძლიათ ამ შემთხვევაში)

ვიმსჯელებთ თემაზე - თარგმანის როლი კაცობრიობის ცხოვრებაში:

პოლიტიკა და თარგმანი

ბიზნესი და თარგმანი

მეცნიერება და თარგმანი

ხელოვნება და თარგმანი

საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემები და თარგმანი

(ეკოლოგია, კლიმატის შეცვლა და სხვ.)

მოგზაურობა და თარგმანი

თანამედროვე თარგმანის თეორიის ადგილი ჰუმანიტარულ დისციპლინების ციკლში

თანამედროვე თარგმანის თეორია თარიღდება XX საუკუნის მეორე ნახევრით, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო ნამდვილი მთარგმნელობითი ბუმი: ჩნდება დიდი რაოდენობით საერთაშორისო ორგანიზაციები, მკვეთრად მატულობს სხვადასხვაენობრივ კომუნიკანტებს შორის ინფორმაციის გაცვლა. გაჩნდნენ თარგმანის ახალი სახეები (კინოფილმების, ტელეპროგრამების დუბლირება). მუდმივად განვითარებადი მხატვრული თარგმანის გარდა პირველ ადგილზე მოცულობისა და მნიშვნელობის მიხედვით გავიდა ინფორმაციული თარგმანი (სამეცნიერო-ტექნიკური, პუბლიცისტური ლიტერატურის თარგმანი). მეცნიერებმა უფრო ინტენსიურად მიყვეს ხელი ინფორმაციული თარგმანის პრობლემებს, რომლებიც ძირითადად ლინგვისტიკურ ხასიათს ატარებდნენ. ამ დროისათვის უკვე იყო განხორციელებული ნამდვილი წინსვლა ჰუმანიტარული დისციპლინების სფეროში – ენათმცოდნეობაში ანთროპოცენტრული პარადიგმის ცნებამ მოახდინა სოციოლოგიის, კულტუროლოგიის, ფსიქოლოგიის, მეტყველების თეორიის, ტექსტის ლინგვისტიკის სფეროებში კვლევის აქტივიზაცია. ყოველივე ამან ნიადაგი მოუმზადა თარგმანის ზოგადი თეორიის სწრაფ განვითარებას.

ზოგადი თარგმანმცოდნეობის მიზანია თარგმანის ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ასახავდა თარგმანის ტექსტის შექმნის პროცესსა და გადაწყვეტდა ორიგინალისა და თარგმანის ეკვივალენტობის საკითხს. გავრცელებულ მოდელებს შორის გამოიყოფა სემანტიკური, სიტუაციური, ტრანსფორმაციული, კომუნიკაციური, კანონზომიერი შესატყვისობის თეორია.

თარგმანის თეორია და ლინგვისტიკა

თარგმანის თეორიასა და ლინგვისტიკას შორის ურთიერთობები თავიდანვე რთული იყო. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იან წლებში ფრანგი ლინგვისტი ჟ.მუნენი აღნიშნავდა, რომ ენობრივი სისტემების აშკარა ასიმეტრიულობის გამო, თეორიულად თარგმანი შეუძლებელია, მაგრამ ეს თეორიული დასკვნა აშკარად ეწინააღმდეგება პრაქტიკას, რომლის მცდელობებსაც კაცობრიობა იყენებს რამოდენიმე ათასწლეულის მანძილზე. “შეიძლება ითქვას, რომ თარგმანის არსებობა თანამედროვე ლინგვისტიკისათვის სკანდალის ტოლფასია” –

აგრძელებს მუნენი (Mounin G. Les problemes theoriques de la traduction. Paris, 1963).

ლინგვისტიკური მეცნიერება არ ჩქარობდა ეღიარებინა თარგმანის თეორია თავის შვილეულ სფეროდ და ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან შვეიცარელი ლინგვისტის ფერდინანდ დე სოსიურის “ზოგადი ლინგვისტიკის კურსის” გამოქვეყნების შემდეგ ფართო აღიარება პოვა სტრუქტურულმა ლინგვისტიკამ (ე.წ. შინაგანი ლინგვისტიკა), რომელიც ენის სრუქტურით იყო დაინტერესებული და არ აქცევდა სათანადო ყურადღებას კომუნიკანტებს და ტექსტის ფენომენს, როგორც კომუნიკაციის ძირითად ერთეულს.

მაგრამ ლინგვისტიკა არ იდგა ერთ ადგილზე და XX საუკუნის მეორე ნახევარში მისი კვლევის ობიექტი გახდა მეტყველება: ჩნდება მრავალრიცხოვანი კვლევა საზოგადოებაში ენობრივი სისტემის ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ, შეისწავლება მეტყველების წარმოქმნის მექანიზმები, რომლებიც კულტურითაა განპირობებული, ე.ი. ყველაფერი ის, რასაც სოსიური “გარეგან” ლინგვისტიკას აკუთვნებდა. წარმოიქმნებოდა მოსაზღვრე დისციპლინები: სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სემიოტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა.

ვინაიდან მთარგმნელობითი პრაქტიკა საუკუნეების განმავლობაში შეისწავლიდა მეტყველებით კომუნიკაციას – კომუნიკანტებსა და მათი მეტყველების პროდუქტებს – ტექსტებს, არ არის გასაკვირი, რომ სწორედ ამ მოსაზღვრე დისციპლინების წინსვლამ საშუალება მისცა ტექსტის თეორიას, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებას, ხოლო რომან იაკობსონს – ლინგვისტური მეცნიერებისათვის თარგმანის მნიშვნელოვანი როლის ფორმულირებას. მან არგუმენტაცია მისცა თეზისს, რომელიც აღიარებს თარგმანს ლინგვისტური ანალიზის უნივერსალურ საშუალებად: “სხვაობის არსებობისას ეკვივალენტობა ენისა და ლინგვისტიკის კარდინალური პრობლემაა. ვერბალური ინფორმაციის როგორც ნებისმიერი სხვა მიმღები, ლინგვისტი წარმოადგენს მის ინტერპრეტატორს. ენათმეცნიერებას არ შეუძლია არც ერთი ლინგვისტური მოვლენის ინტერპრეტაცია იმის გარეშე, რომ არ გადაიყვანოს ნიშნები იმავე ან სხვა სისტემის სხვა ნიშნებში. ნებისმიერი ორი ენის შედარება გულისხმობს მათი ერთმანეთის თარგმანში განხილვას”.

თარგმანის ლინგვისტური თეორიის მიერ დაგროვილი ცოდნა გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას თარგმანზე, როგორც გარკვეული ტიპის კომუნიკაციურ აქტზე, როგორც მეტყველებითი საქმიანობის სახეობაზე, როგორც ერთგვარი ენათშორისი ტრანსფორმაციის ერთობლიობაზე. სწორედ ამ სფეროშია ყველაზე ნათელი თარგმანის თეორიის წინსვლა, როგორც ზოგადი თეორიის მხრივ, ისე ენათა კონკრეტული წყვილების მხრივ, ე.ი. კერძო თარგმანის თეორიაში. ყოველთვის, როდესაც მთარგმნელი-პრაქტიკოსი იღებს ტექსტს სათარგმნელად, ის აღმოჩნდება **არჩევანის გაკეთების** პრობლემის წინაშე, ე.ი. აუცილებლობის წინაშე გადაწყვიტოს არა მარტო ლინგვისტური საკითხები, არამედ სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეთნოგრაფიული, კულტუროლოგიური და სხვა სახის ამოცანები, რომლებზეც ამომწურავი პასუხები თანამედროვე თარგმანმცოდნეობას არ გააჩნია.

თარგმანის თეორეტიკოსების ბრწყინვალე პლუადამ: ლ. ბარხუდაროვმა, ვ. გაკმა, გ. გაჩეჩილაძემ ვ. კომისაროვმა, ი. რეცკერმა, მ. ცვილინგმა, ა. შვეიცერმა, ა. ვინემ, ჟ. დალბერნემ, ო. კადემ, ჟ. მუნენმა, ი. ნაიდამ და მრავალმა სხვამ

ჩამოაყალიბეს თარგმანის თეორიის ძირითადი დებულებები, რომლებმაც საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბდეს როგორც განსაკუთრებული მეცნიერული მიმდინარეობა (რომელიც თარგმანის თეორიის ფორმირების პერიოდში ხშირად მოიაზრებოდა შეპირისპირებით სტილისტიკად – ვინე, დარბელნე; მაგრამ თანამედროვე კვლევებმა დაამტკიცეს, რომ ეს ორი დისციპლინა ურთიერთკავშირშია, მაგრამ არა ურთიერთგამომრიცხავია).

ამგვარად, თარგმანის თეორია, ძდღესდღეობით, – დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელიც შეისწავლის კულტურათაშორისი, ორენოვანი კომუნიკაციის მექანიზმებს და ეყრდნობა არა მხოლოდ თანამედროვე ლინგვისტიკის მიღწევებს, არამედ სამეტყველო ურთიერთობასთან ამა თუ იმ კავშირში მყოფი ჰუმანიტარული მეცნიერებების მთელი ციკლის მიღწევებს.

თარგმანის თეორია და ლიტერატურათმცოდნეობა

თარგმანმცოდნეობას ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობები აქვს ლიტერატურათმცოდნეობასთან და ეს გასაკვირი არცაა, ვინაიდან დაწყებული აღორძინების ეპოქიდან XX საუკუნის მეორე ნახევრამდე მთარგმნელობითი პრაქტიკა კონცენტრირებული იყო მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებზე (მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გრძელდებოდა მხატვრული ლიტერატურის თარგმანი, მაგრამ ამავედროულად იმატა ინფორმაციული ტექსტების თარგმანის მოცულობამ). მთარგმნელ-პრაქტიკოსებად

გვევლინებოდნენ დიდი მწერლები და პოეტები. არ არის გასაკვირი, რომ მთარგმნელი აღიქმებოდა თარგმანის ენაზე მის მიერ შექმნილი ნაწარმოების ავტორად (საკმარისია გავიხსენოდ ჟუკოვსკის სიტყვები – “მთარგმნელი პროზაში – მონაა, პოეზიაში კი – მეტოქე”). სწორედ ლიტერატურულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა აღვიქვათ თარგმანი როგორც ხელოვნება, რეალობის ამსახველი განსაკუთრებული საშუალება.

თანამედროვე ხელოვნების თეორია, ლიტერატურის თეორია, ფართოდ გამოყენებადი სემიოტიკური კატეგორიები უახლოვდება თანამედროვე თარგმანის თეორიას, რომელიც ასევე აგებულია სემიოტიკურ საფუძველზე.

თარგმანის თეორია და სემიოტიკა

სემიოტიკა, რომელიც წარმოადგენს მეცნიერებას ნიშნებზე, შეისწავლის ნებისმიერ ნიშანთა სისტემების ფუნქციონირებას, სემანტიკას, ენობრივი ნიშნების

სინტაქტიკას და პრაგმატიკას, და ამიტომაც გარდაუვალია მისი დაახლოება ენათმეცნიერებასთან და თარგმანმცოდნეობასთან. ენის სემიოტიკური ბუნება წარმოადგენს იმ კონცეპტუალურ ბაზას, რომელიც აერთიანებს ამ მეცნიერებებს. მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს, იაკობსონის აზრით, იწვევს სხვადასხვა სემიოტიკურ სისტემებს შორის მთარგმნელობითი კანონზომიერების შესწავლა (ე.წ. ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორეში თარგმანი: ლიტერატურული ნაწარმოები – ფილმი) და მისი დაპირისპირება ერთი სემიოტიკური სისტემის ფარგლებში თარგმანისადმი, რომელიც თავის მხრივ იყოფა ერთი ენის ფარგლებში და ენათშორის თარგმანად.

თარგმანის თეორია და ლინგვოკულტუროლოგია

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ცნება “კულტურა” იძენს სულ უფრო ფართო ინტერპრეტაციას. კულტურის, როგორც ცივილიზაციის მატერიალური და სულიერი მიღწევების ერთობლიობის ცნების სანაცვლოდ შემოვიდა ამ ტერმინის გაფართოებული ინტერპრეტაცია, რომელიც აერთიანებს ისტორიული, სოციალური და ფსიქოლოგიური მოვლენების ყველა თავისებურებებს, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ეთნოსისათვის, მის ტრადიციებს, ფასეულობებს, შეხედულებებს, ინსტიტუტებს, ქცევას, ყოფას, ცხოვრების პირობებს – მოკლედ რომ ვთქვათ, ყოფიერების და ცნობიერების ყველა მხარეს.

მთარგმნელობითი საქმიანობის კანონზომიერებების შესწავლისათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ენის თავისებურებები, რომლებიც ენის მატარებლების კულტურით არიან განპირობებული პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით. მსგავსი თავისებურებები შეიძლება აღმოჩენილი იქნას ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, ვერბალური კომუნიკაციის წესებში, ექსტრალინგვისტური რეალიების აღწერის საშუალებებში. მაგალითად: არაბულ ენაში 300 მეტი დასახელებაა ცხენების, მრავალი ეროვნული რეალია.

თარგმანის თეორია და სოციოლოგია

თანამედროვე თარგმანმცოდნეობის ლინგვისტიკური ბაზის შექმნაში დიდი წვლილი შეაქვს სოციოლინგვისტიკას, რომელიც შეისწავლის “ენისა და საზოგადოების” პრობლემის სხვადასხვა ასპექტს. თარგმანის თეორიისათვის განსაკუთრებული ღირებულებით გამოირჩევა ამ პრობლემისადმი ორგვარი მიდგომა, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. ერთის მხრივ, ენა განიხილება როგორც ერთიანი სოციალურ-კულტურული წარმონაქნი, რომელიც ასახავს გარკვეული ეთნოსის, როგორც გარკვეული კულტურის მატარებლის თავისებურებებს, რომლებიც გამოყოფენ მას სხვა კულტურებს შორის. მეორე მხრივ, ენაში შეისწავლება სხვადასხვა სახის ვარიანტულობები, რომლებიც კავშირშია საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთგვაროვნებასთან და მრავალფეროვნებასთან, ერთი და იგივე კულტურის ფარგლებში ადამიანებს შორის სოციალური, პროფესიონალური და მრავალი სხვა თავისებურებების არსებობასთან.

თარგმანის თეორია და ფსიქოლინგვისტიკა

ფსიქოლინგვისტიკა შეისწავლის მეტყველების ჩამოყალიბების მექანიზმებს, ამიტომ მჭიდროთ არის დაკავშირებული თარგმანის

თეორიასთან. თანამედროვე ფსიქოლინგვისტური თეორიების თვალსაზრისით თარგმანი წარმოადგენს მეტყველების რთულ სახეობას, რომლის პირველ ეტაპს რეცეფციული ხასიათი აქვს (მოსმენა და კითხვა) და მეორე ეტაპს პროდუქტიული სახე აქვს (ლაპარაკი და წერა). ამის გარდა, თარგმანის პროცესის ფსიქოლინგვისტური არსის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფსიქოლოგიის ისეთი კორიფეების ნაშრომებს, როგორცაა დ.უზნაძე, პ.გალპერინი, ა.ლეონტიევი.

საკვანძო ცნებები:

თარგმანი, თარგმნა, თარგმანმცოდნეობა: ზოგადი თეორია, კერძო თეორია, სპეციალური თეორია, მთარგმნელი, მანქანური თარგმანი, ლინგვოკულტუროლოგია, სემიოტიკა, პსიქოლინგვისტიკა.

კითხვები:

- 1) მთარგმნელობითი საქმიანობისა და თარგმანმცოდნეობის პარადოქსი.
- 2) თარგმანის ცნება.
- 3) რას შეისწავლის თარგმანმცოდნეობის ზოგადი თეორია?
- 4) რას შეისწავლის თარგმანმცოდნეობის კერძო თეორია?
- 5) რას შეისწავლის თარგმანმცოდნეობის სპეციალური თეორია?
- 6) თარგმანის საზოგადოებრივი დანიშნულება;
- 7) თარგმანმცოდნეობის კავშირი სხვა დისციპლინებთან.

მთარგმნელები იცინიან:

ერთ-ერთი ცნობილი მთარგმნელობითი შეცდომა - კონკიას ბროლის პეხსაცმელია. საქმე იმაშია, რომ ფრანგულ ორიგინალში სიტყვა *vair*, რომელიც ბეწვს ნიშნავს, თარგმანში შეცდომით გადმოვიდა როგორც *verre* (შუშა). ასე კონკია მთარგმნელების წყალობით ბროლის პეხსაცმელის მფლობელი გახდა.

თემა II

თარგმანის ძირითადი სახეები

- 5) თარგმანის კლასიფიკაციის საფუძვლები;

- 6) წერიტი და ზეპირი თარგმანი;
- 7) ტრადიციული და მანქანური თარგმანი;
- 8) ენათშორისი, შიდაენობრივი და სემიოტიკური თარგმანი;
- 9) ძირითადი მთარგმნელობითი ცნებები.

თარგმანის კლასიფიკაციის საფუძვლები

თარგმანი - რთული და მრავალფეროვანი მოვლენაა, რომლის კლასიფიკაცია შესაძლოა სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე: წყარო ტექსტისა (ორიგინალის) და სამიზნე ტექსტის (ნათარგმნი, მეორეული ტექსტის) ფორმის მიხედვით; შეიძლება გამოვყოთ თარგმნის ტიპები შემსრულებლის მიხედვით. საყოველთაოთ ცნობილია რომან იაკობსონის კლასიფიკაცია წყარო და სამიზნე ტექსტების ნიშანთა სისტემის მიხედვით, აგრეთვე პოპულარულია ტექსტის ჟანრზე დაყრდნობილი ვ.ვინოგრადოვის კლასიფიკაცია. პირველ რიგში ვინოგრადოვი გამოყოფს ისეთ ჟანრებს, რომლებიც განსხვავდებიან სტილისტური შესაძლებლობების თვალსაზრისით, ამ პრინციპით ის ექვს ნაირსახეობას გამოყოფს:

- 1) სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი;
- 2) საზოგადოებრივ-პოლიტიკური თარგმანი;
- 3) მხატვრული თარგმანი;
- 4) სამხედრო თარგმანი;
- 5) იურიდიული თარგმანი;
- 6) საყოფაცხოვრებო დისკურსის თარგმანი (ვინოგრადოვი 2002:27).

შინაარსის გადმოცემის სისრულის მიხედვით გამოიყოფა თარგმნის სამი ძირითადი ტიპი, რომლებსაც თავისი ქვეტიპები გააჩნია, ესენია:

- 1) სრული თარგმანი, როდესაც მთარგმნელი ცდილობს ადეკვატურად გადმოიტანოს სამიზნე ენაზე წყარო ტექსტის შინაარსი და ფორმა;
- 2) არასრული თარგმანი:
 - ა) შემოკლებული;
 - ბ) ფრაგმენტული;

3) ასპექტუალური თარგმანი:

ა) ანოტაციური;

ბ) რეფერატიული.

წყარო ტექსტისა და სამიზნე ტექსტის შეფარდების შედეგად მტარგმნელები და მეცნიერები გამოყოფენ თარგმანის სამ სახეობას:

1) თავისუფალი თარგმანი, რომელიც შეიძლება იყოს ან ადეკვატური, ან ინტერპრეტაციული;

2) ზუსტი თარგმანი (ხშირად მას ბუკვალისტურ თარგმანს უწოდებენ, მაგალითად - ბიბლიის თარგმანი);

3) აუტენტური თარგმანი, როდესაც მეორეულ ტექსტს იგივე იურიდიული ძალა გააჩნია, რაც წყარო ტექსტსაც.

როგორც უკვე დავრწმუნდით, თარგმანმცოდნეობაში არ არსებობს ერთიანი საყოველთაოდ მიღებული დიფერენციაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება გამოვყოთ ყველაზე ცნობილი კლასიფიკაციები.

წერიტი და ზეპირი თარგმანი

ზეპირი თარგმანი თარგმნის ისეთი ტიპია, როდესაც ორიგინალი და მისი თარგმანი არაფიქსირებული სახით გვევლინება. ეს

განაპირობებს ორიგინალის ერთჯერადობას და განუმეორებლობას, დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების შეუძლებლობას.

ორიგინალი ტექსტიდან ინფორმაციის ამოღების პროცესიც თავისებურებებით გამოირჩევა. წერილობითი თარგმანისგან განსხვავებით ტექსტის

სრულად აღქმა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული რიტმზე, ტეპზე, პაუზათა ოდენობასა და ხანგრძლივობაზე. ინფორმაციის ამოღება

ცალკეულ მონაკვეთებათ ხდება, დაყოფილი ინფორმაციის ჯაჭვიდან. ხშირად მთარგმნელს უწევს გამოტოვებული ინფორმაციის, ან მისი წინასწარი

პროგნოზირება. ამისათვის იგი იშველიებს ორატორის ტექსტში საყრდენაზრობრივ მონაკვეთებს. ამ დროს გარდაუვალია სხვადასხვა სახის

დანაკარგი: სემანტიკური, კომუნიკაციური, სტილისტური, თუ სინტაქსური. ზეპირი თარგმანი აღწერს ასეთი დანაკარგების კომპენსირების ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს და მაკომპენსირებელ ფაქტორებს, როგორცაა ცოდნა და გამოცდილება, ინტონაცია, ემოციური შეფერილობა.

მეცნიერები გამოყოფენ ზეპირი თარგმანის შემდეგ სახეებს:

- 1) ფურცლიდან თარგმანა;
- 2) აბზაცურ-ფრაზული;
- 3) თანმიმდევრული თარგმანი, ჩანაწერებით;
- 4) ორმხრივი;
- 5) სინქრონული.

თარგმანის ზოგიერთი თეორეტიკოსი, მაგალითად, მ.ლატიშევი და ვ.პროვოროტოვი განასხვავებენ თანმიმდევრული თარგმანის მხოლოდ ერთ სახეს – როდესაც ორიგინალის თარგმანა ხდება მისი სრული მოსმენის შემდეგ, მოსმენისას გაკეთებული ჩანაწერების დახმარებით. მაშინ როდესაც რ.მინიარბელორუჩევი და ვ.კომისაროვი თანმიმდევრულ თარგმანში აერთიანებენ ფრაზულ-აბზაცურ და ჩანაწერებით განხორციელებულ თარგმანს, იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი არ გულისხმობს ორიგინალის სრულად მოსმენას. სხვათა შორის მოსმენილი მონაკვეთის, რომელიც საკმაოდ მოკლეა აბზაცურ-ფრაზული თარგმანის შემთხვევაში, სიგრძე გაცილებით დიდია (25-30 წწ. და მეტი).

რაც შეეხება სინქრონული თარგმანს, მის დროს თარგმნის პროცესი აუდირების პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ორატორის მეტყველების აღქმასთან ერთად. ზეპირი თარგმანის თეორიაში აღნიშნულია თარგმნის მეტყველების შემდეგი თავისებურებები: მაგალითად, ნელი არტიკულაცია, ყოყმანი, პაუზები ვარიანტების შერჩევისას, რაც ორიგინალსა და თარგმანს შორის ინტერვალს 3-4-ჯერ ზრდის. სინქრონული თარგმანი თარგმნის მეტად რთული სახეა, რადგანაც იგი რთულ აზრობრივ პროცესს წარმოადგენს.

სინქრონულთან შედარებით ზეპირი თარგმანის სხვა სახეები ნაკლებ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს, თუმცა ისინიც ხშირად ექსტრემალურ პირობებში ხორციელდება. გარდა ამისა მათ უკვე უფრო მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. თარგმანს ევალება შეინარჩუნოს აზრობრივი და სინტაქური სტრუქტურა ტექსტისა. მაგრამ თარგმანის თეორია აქაც უშვებს სხვადასხვა სახის დანაკარგებს, როგორცაა, განმეორებული აზრის გამოტოვება, სიტყვის გამოტოვება, სინტაქური სტრუქტურის გამარტივება, სტილის განეიტრალება. მთარგმნელი ცდილობს ეს დანაკარგები მინიმუმამდე დაიყვანოს.

ზეპირი თარგმანისთვის საჭირო ბაზურ უნარ-ჩვევებზე მუშაობა:

1. „ოპერატიული“ მეხსიერების გაუმჯობესება (მნემოტექნიკური ვარჯიშები) (საკუთარი სახელები და ტოპონიმები, ციფრობრივი ინფორმაცია, შერეული ტექსტი)
2. მოკლე და ვრცელი ტექსტის დამახსოვრება
3. სიტყვების მარაგის გაზრდა
4. ყურადღების კონცენტრაციის უნარის გაუმჯობესება.
5. ერთი ენიდან მეორეზე სწრაფი გადართვა
6. ტექსტის პროგნოზირების უნარი და ზოგადი ანალიზი
7. საცნობარო მასალასთან მუშაობა
8. ტრანსფორმაციები თარგმანში
9. ტიპური შეცდომები და მათი შესწორება

წერითი თარგმნის თავისებურება

მაშინ როდესაც ზეპირ თარგმანში პირველ ადგილზე დგას სისწრაფე, წერილობითი თარგმანისას ეს იშვიათად არის საჭირო. ასეთი თარგმანი არ არის სპონტანური და მთარგმნელისთვის არ წარმოადგენს პრობლემას

შეცდომების შესწორება და რედაქტირება. სამაგიეროთ, ეკვივალენტობის მოთხოვნა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ზეპირი თარგმნისას, აზრობრივი შეცდომები კი საერთოდ დაუშვებელია. გარდა ამისა წერილობითი ტექსტების უამრავი სახე არსებობს, და თითოეული თავისი სპეციფიკით გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ მთარგმნელი თავდაპირველად ეცნობა მთლიან ტექსტს და შემდეგ უკვე იწყებს მის თარგმნას. ზეპირი თარგმანი ხშირად არ იძლევა ამის შესაძლებლობას. როგორც ვიცით, ნებისმიერი სახის თარგმნისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ვისზეა ორიენტირებული თარგმანის ტექსტი. არც თუ ისე იშვიათად წერთი თარგმანის დროს ეს ფაქტორი უგულებელყოფილია, იმიტომ, რომ მთარგმნელს არა აქვს ზუსტი ინფორმაცია რეცეპტორზე, მაშინ როდესაც ზეპირი თარგმანის უდავო უპირატესობა ისაა, რომ თარგმანმა იცის ვინ შეადგენს მის აუდიტორიას.

არსებობს წერილობითი ტექსტის თარგმანის სხვადასხვა ეტაპები. წინასწარი ანალიზი, შემდეგ სრულდება საწყისი თარგმანი, რომელიც შემდეგ იხვეწება, და ბოლოს მთარგმნელი აკეთებს საბოლოო რედაქტირებას ტექსტისა. მხოლოდ ამის შემდეგ წერილობითი თარგმანი შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად.

ტრადიციული და მანქანური თარგმანი

იმის მიხედვით თუ რა არის თარგმანის კლასიფიკაციის ამოსავალი წერტილი, მეცნიერები სხვადასხვა სახეობებს გამოყოფენ. სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ განაპირობა თარგმანის საინტერესო დაპირისპირება შემსრულებლის მიხედვით. მანქანური თარგმანის არსებობამ მოითხოვა ადამიანის მიერ შესრულებული თარგმნის დასახელება - ასე შეიქმნა ტრადიციული და მანქანური თარგმანის დაპირისპირება, მაგრამ ამ სახეობებს კიდევ განსხვავებული ქვეტიპები ახასიათებს:

- 1) ტრადიციული თარგმანი (ანუ ადამიანის მიერ შესრულებული):
 - ა) მთარგმნელის (შუამავლის) მიერ შესრულებული თარგმანი;
 - ბ) ავტორის მიერ შესრულებული;

გ) ავტორიზებული (ჯერ მტარგმნელის მიერ შსრულებული, შემდეგ კი ავტორის მიერ რედაქტირებული);

2) მანქანური თარგმანი;

3) შერეული თარგმანი (ჯერ დროის ეკონომიის მიზნით მანქანური, შემდეგ კი ადეკვატურობის მისაღწევად მტარგმნელის მიერ რედაქტირებული).

მანქანური თარგმანის თეორია თარგმანის თეორიის ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც აქტიურად იყენებს კიბერნეტიკის, მათემატიკისა და ლინგვისტიკის თანამედროვე მიღწევებს. მისი მიზანია ისეთი მანქანის შექმნა, რომელიც შეძლებს ორიგინალის შესატყვისი თარგმანის შექმნას. ეს თეორია ემყარება კომპიუტერის მიერ საწყისი და სათარგმნი ენების შესატყვისთა დაძებნას. ბუნებრივია, ეს პროცესი უფრო მექანიკურ ხასიათს ატარებს, რამდენადაც მანქანას ფიქრი და შემოქმედებითი აზროვნება არ შეუძლია. მანქანა ეყრდნობა იმ ინფორმაციას რა ჩადო მასში ადამიანმა, ამიტომაც მანქანურ თარგმანს უმეტესწილად იყენებებენ შედარებით იოლი, სამეცნიერო და საქმიანი დოკუმენტების დამუშავებისას. მანქანური ტექსტის ტარგმანს აუცილებლად სჭირდება რედაქტირება, რასაც უკვე ადამიანი აკეთებს. იმ მიზეზით, რომ მანქანას არ სეუძლია შემოქმედებითიაზროვნება, ეს გამორიცხავს ამ ეტაპზე მხატვრული მანქანური თარგმანის შესაძლებლობას. ყოველივე ეს მეტად ზღუდავს მანქანური თარგმანის გამოყენების სფეროსა და ეფექტურობას, მაგრამ დღესდღეობით მეცნიერები მეტად აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით.

ენათშორისი, შიდაენობრივი და სემიოტიკური თარგმანი

რომან იაკობსონის კლასიფიკაცია ეფუძვნება წყარო ტექსტისა და სამიზნე ტექსტის სემიოტიკურ ფაქტურას, ანუ ცნობილი ლინგვისტი გამოროფს

ტარგმნის ტიპებს იმის მიხედვით, თუ რა სემიოტიკური სისტემის ნიშნებთან აქვს მთარგნელს საქმე (სემიოტიკა - მეცნიერებაა, რომელიც ნებისმიერ ნიშანთა სისტემას შეისწავლის). ამ თვალსაზრისით მეცნიერი გამოყოფს თარგმანის სამ ნაირსახეობას:

- 1) შიდაენობრივი თარგმანი - ერთი ენის, ანუ ერთი ენობრივი სისტემის ფარგლებში განხორციელებულ თარგმანს;
- 2) ენათშორისი თარგმანი - საკუთრივ ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმანი;
- 3) სემიოტიკური თარგმანი - როდესაც ერთ სემიოტიკურ სისტემაში შექმნილი ტექსტი მეორე სემიოტიკურ სისტემაში ითარგმნება.

ჩვეულებრივ ტერმინი „თარგმანი“ ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება და ნიშნავს ტექსტის ტრანსფორმაციას ერთი ენიდან მეორე ენაზე. მაგრამ ამ ტერმინის ფართო მნიშვნელობაში სამივე ზემოს აღნიშნული სახეობა შედის. აღსანიშნავია, რომ იაკობსონის მიერ გამოყოფილი თარგმნის სამივე ტიპი აქტიურად ფუნქციონირებს თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა სფეროში. შედაენობრივ თარგმანს ხშირად იყენებენ დიდაქტიკურ დისკურსში, როდესაც სკოლის სახელმძღვანელოებში რთული თეორიებს მარტივი ენით გადმოსცემენ. ან, უცხო ენის ათვისების პროცესში მოსწავლეებს თავაზობენ ადაპტირებულ კლასიკას, რომელშიც გამარტივებულია ლექსიკა და გრამატიკა შემსავლებლის ენობრივი დონის შესაბამისად.

თანამედროვე სამყარო წარმოუდგენელია სემიოტიკური თარგმნის გარეშე, ვინაიდან უფრო მიმზიდველია და ნაკლებ დროს მოითხოვს კლასიკური ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის ნახვა, ვიდრე მისი წაკითხვა. კინოტექსტში წყარო ტექსტის ვერბალური ინფორმაციის მხოლოდ მწირე ნაწილი არის შენარჩუნებული გამიერების დიალოგების სახით, დანარჩენი ინფორმაცია კი გადმოიცემა მუსიკის, მოძრაობის, ტანსაცმლის და სხვა სემიოტიკური სისტემების მეშვეობით.

საკვანძო ცნებები:

წყარო ტექსტი, სამიზნე ტექსტი, ორიგინალი, მეორეული ტექსტი, მანქანური თარგმანი, ტრადიციული თარგმანი, შერეული თარგმანი, აუტენტური თარგმანი, წერიტი თარგმანი, ზეპირი თარგმანი, თანმიმდევრული თარგმანი, სინქრონული თარგმანი, ენათშორისი თარგმანი, შიდაენობრივი თარგმანი, სემიოტიკური თარგმანი.

კითხვები:

- 1) თარგმნის კლასიფიკაციის შესაძლებლობები.
- 2) ძირითადი მთარგმნელობითი ცნებები.
- 3) დაახასიათეთ შიდაენობრივი თარგმანი და მისი ფუნქციონირების სფეროები.
- 4) დაახასიათეთ ენათშორისი თარგმანი და მისი ფუნქციონირების სფეროები.
- 5) დაახასიათეთ სემიოტიკური თარგმანი და მისი ფუნქციონირების სფეროები.
- 6) თარგმნის კლასიფიკაცია შემსრულებლის მიხედვით.
- 7) თარგმნის კლასიფიკაცია ჟანრისა და სტილის მიხედვით.
- 8) დაახასიათეთ ზეპირი თარგმანი და მისი სახეობები.
- 9) დაახასიათეთ წერიტი თარგმნის თავისებურებანი.
- 10) რას ეწოდება აუტენტური თარგმანი.

მთარგმნელები იცინიან:

კომპანია „ჯენერალ მოტორსი“ ახალი ავტომობილის - „შევროლე ნოვა“-ს რეკლამა დაიწყო, მაგრამ ესპანურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში სარეკლამო კომპანია ჩაიშალა. მთარგმნელებმა „ლინგვისტური“ მიზეზი აღმოაჩინეს: საქმე იმაშია, რომ ესპანურ ენაზე „ნო ვა“ ითარგმნება როგორც „უმოდრავო“.

თემა III

კომუნიკაციის თეორია და თარგმანმცოდნეობა. ენობრივი შუამავლობის საშუალებები. მთარგმნელი - კულტურათშორისი მედიატორი

- 1) კომუნიკაციის თეორია და თარგმანმცოდნეობა;
- 2) თარგმანი როგორც ორენოვანი კომუნიკაცია;
- 3) ენობრივი შუამავლობის საშუალებები;
- 4) მთარგმნელი როგორც შუამავალი და კულტურათშორისი მედიატორი.

კომუნიკაციის თეორია და თარგმანმცოდნეობა

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინო კომუნიკაცია მე-20 საუკუნის დასაწყისში გავრცელდა და ნიშნავდა ინფორმაციის გადაცემის პროცესს ორი ნებისმიერი ობიექტს შორის (ადამიანი, სოციალური ჯგუფი, სახელმწიფო, რეგიონი და სხვ.) სოციალურ კონტექსტში. ურთიერთობა კი განიხილებოდა

როგორც პიროვნებათშორისი ურთიერთქმედება შემეცნებითი და შეფასებითი ხასიათის ინფორმაციის გადაცემის მიზნით.

პირველ ეტაპზე, მე-20 ს. ოციან-ოცდაათიან წლებში, კომუნიკაციური კვლევები იყო დაკავშირებული ინფორმაციის ტექნიკური ხერხების განვითარებასთან (რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი) და ისეთ მეცნიერებებთან, როგორც არიან: კიბერნეტიკა, ინფორმატიკა, სემიოტიკა. პირველი კათედრა კომუნიკაციის შესასწავლად ამერიკაში გაიხსნა 1940 წ. და ძირითადი ყურადღება ენიჭებოდა კოდირებისა და დეკოდირების მექანიზმების შესწავლას.

50-ან და 60-ან წლებში კოდირებისა და დეკოდირების პრობლემებს დაემატა შეტყობინების გადაცემის პრობლემები და ყურადღების ცენტრში ადრესანტი და ადრესატი აღმოჩნდნენ. 60-70-ან წლებში კომუნიკაციის პროცესებით ფსიქოლოგები დაინტერესდნენ, შესწავლილი იყო კომუნიკანტების ფსიქოლოგიური პარამეტრები. მე-20 ს. 80-ან წლებში კომუნიკაცია უკვე სოციალური მეცნიერებების ობიექტი გახდა და განიხილებოდა მისი სოციალური არსი და როლი საზოგადოებაში.

თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში კომუნიკაცია, რომელიც კომუნიკაციის თეორიის ობიექტს წარმოადგენს, განიხილება როგორც ფენომენი, რომელიც საზოგადოების ყველა სფეროშია გამოხატულია და მისი პროგრესს განაპირობებს.

კომუნიკაციის თეორიის განვითარების ყველა ეტაპზე ის მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული ენასთან, როგორც ინფორმაციის გადაცემის უნივერსალურ ხერხთან, და ლინგვისტიკასთან, მათ შორის - თარგმანმცოდნეობასთან. კომუნიკაციის თეორიის კონტექსტში თარგმანი განიხილება როგორც ორენოვანი საკომუნიკაციო აქტი, რომელიც შუამავლის მეშვეობით ხორციელდება და კულტურათშორისი კომუნიკაციის ნაირსახეობას წარმოადგენს. კომუნიკაცია წარმოადგენს ადამიანებს შორის ვერბალური (სიტყვიერი) და არავერბალური სიმბოლოების საშუალებით აზრების, გრძნობების, დამოკიდებულებების და იდეების ურთიერთგაცვლას.

ვერბალური კომუნიკაცია გულისხმობს სიტყვების საშუალებით ინფორმაციის გადაცემას. არავერბალური კომუნიკაცია (პოზა, მიმიკა, ჟესტიკულაცია, პაუზები, ხმის ინტონაციისა და სიმაღლის ცვლილება, სქემა, დიაგრამა, სხვადასხვა შრიფტი) კომოიცავს მოსაუბრის დამოკიდებულებას, რომელიც თან ახლავს და ავსებს სიტყვიერ ინფორმაციას.

მთარგმნელობით ჭრილში ორენოვანი კომუნიკაცია კულტურათაშორის კომუნიკაციის სახელს ატარებს, ვინაიდან წყარო ტექსტის ავტორი და სამიზნე ტექსტის მკითხველები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან, მათი ურთიერგაგებას აფერხებს არა მარტო და არა იმდენად ენის არ ცოდნა, რამდენადაც კულტურული თავისებურებებისა და კონოტაციების არ ცოდნა. ამიტომაც, მთარგმნელს ძალიან რთული მისია აკისრია, არა მარტო ერთი ენიდან მეორე ენაზე გადათარგმნოს ორიგინალი, არამედ ის ფონური (ანუ ფარული) ცოდნა შეავსოს, რომელიც ესაჭიროება ახალ მკითხველს ქვეტექსტური ინფორმაციის აღქმისთვის.

თარგმანი როგორც ორენოვანი კომუნიკაცია

კომუნიკაციის თეორიის ასპექტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება წყარო შეტყობინებისა და სამიზნე შეტყობინების კომუნიკაციურ იდენტობას, ზოგიერთი მეცნიერი იყენებს ტერმინს - კომუნიკაციური ეფექტი. თარგმნის შედეგად შექმნილი მეორეული ტექსტი თუ გამოხატავს წყარო ტექსტის ავტორის კომუნიკაციურ მიზნებს, თუ ასრულებს კომუნიკაციის იმ მიზანს, რომელიც თავიდანვე იყო დაგეგმილი? თუ გამოხატავს იმავე ან მსგავს ემოციურ გავლენას.

კომუნიკაციის თეორიის თვალსაზრისით თარგმანი წარმოადგენს ორენოვანი კომუნიკაციის სახეობას, თარგმანის თეორიაში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება, რომელიც გამოხატავს ამ ორი მეცნიერების განსაკუთრებულ სიახლოვეს. პირველ რიგში - ეს თარგმანის კომუნიკაციურ-ფუნქციონალური თეორია (მოდელი), რომლის მომხრეები თვლიან. რომ თარგმნის შედეგად უნდა იყოს შექმნილი ისეთი სამიზნე ტექსტი, რომელიც იქნება წყარო

ტექსტისთვის კომუნიკაციურად იდენტური. ამისთვის მთარგმნელმა უნდა გაიაზროს წყარო ტექსტის ავტორის კომუნიკაციური ინტენცია და სამიზნე ტექსტის შექმნისას მაქსიმალური ორიენტაცია ქონდეს მიმღების კომუნიკაციურ მოთხოვნაზე (იხილეთ ზ.ლვოვსკაია). თარგმანის ინფორმაციული თეორიის მომხრე და ფუძემდებელი - რ. მინიარ-ბელორუჩევა.

თარგმანი როგორც სამეტყველო პროცესი მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ და ფსიქოლინგვისტიკის განვითარებამ ხელი შეუწყო თარგმანის თეორიულ გააზრებას, რის შედეგადაც თარგმანი მოიაზრება როგორც მრავალფეროვანი მოვლენა, რომლის პროცესში მიმდინარეობს არა მარტო ენობრივი ფორმების შეფარდება, არამედ ორი ერის მსოფმხედველობის შეფარდება. ძირითადი ცნებები: მსოფლიოს ენობრივი სურათი, კომუნიკაციის ტიპური სიტუაციები და ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

რომან იაკობსონის უნივერსალური კომუნიკაციური აქტის მთავარი კომპონენტებია: ადრესანტი, ადრესატი, რეფერენტი (რაზეც არის შეტყობინება),

კავშირის არხი, ენობრივი კოდი და ტექსტის სახით წარდგენილი თვით შეტყობინება (ერთენოვანი კომუნიკაციის სქემა).

ორენოვანი კომუნიკაციის არსი იაკობსონის მოდელის

ტრანსფორმაცია: საწყისი ენის ადრესანტი, მთარგმნელი-შუამავალი, რომელიც პირველ ეტაპზე ასრულებს ორიგინალური ტექსტის მიმღების როლს, ხოლო მეორე ეტაპზე ახდენს მის ენობრივ გადაფორმებას და პრაგმატულ ადაპტაციას, ანუ – ქმნის ტექსტს თარგმნის ენაზე – გამოდის ავტორის როლში და, ბოლოს, მეორე ტექსტის ადრესატი.

რეფერენტი (რაზეც არის შეტყობინება) ამ შემთხვევაში რჩება იგივე, რაც შეეხება კავშირის არხს და ენობრივ კოდს – თუ ორენოვანი კომუნიკაციაა – არხი იგივეა, ხოლო კოდი იცვლება, თუ კი სემიოტიკური თარგმანია – არხი იცვლება, კოდი კი ან იცვლება, ან არა. რაც შეეხება თვით შეტყობინებას, ანუ ტექსტს, ექვივალენტური ტექსტი იქმნება (ყოველ შემთხვევაში ამის მცდელობას აქვს ადგილი).

ორენოვანი კომუნიკაციის სქემის განხილვა - იხილეთ დანართში „თარგმანმცოდნეობა სქემებში“.

ენობრივი შუამავლობის საშუალებები

ენობრივი შუამავლობა - ფართო მნიშვნელობის ტერმინია, რომელიც ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლის ურთიერთობის ნებისმიერ შემთხვევას მოიცავს. თარგმანმცოდნეობაში პირველ რიგში ისწავლება ენობრივი შუამავლობა, რომელსაც სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მქონე პიროვნება ახორციელებს - მთარგმნელი (ანუ შუამავალი). მაგრამ რეალობაში შუამავლის როლს არა მარტო პიროვნება ასრულებს. ასე, მაგალითად, როდესაც ქართველი სპორტსმენები ჩინეთში გაემგზავრა, მათ არ ახლდა მტარგმნელი, მაგრამ შუამავლის როლს ინგლისური ენა ასრულებდა. ანუ ეს ენა არც ერთ კომუნიკანტისთვის არ იყო მშობლიური, უფრო მეტიც - საქართველოში და ჩინეთში შესწავლილ ინგლისურ ენას გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს (მაგალიტად: ინტონაციის, ბგერების დონეზე), რაც ზოგჯერ აფერხებს ურთიერთობას, მაგრამ ხშირ შემთხვევაში - კომინიკაციის მიზანი - მიღწეულია.

ჩვენ პირველ რიგში გვინტერესებს ენობრივი შუამავლობა, რომელსაც მთარგმნელი ახორციელებს ლინგვოეთნიკური ბარიერის დასაძლევად. მეცნიერები გამოყოფენ ორ სახეობას:

- 1) ეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა;
- 2) არაეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა.

ეკვივალენტურ ენობრივ შუამავლობას, რა თქმა უნდა, მთარგმნელობითი საქმიანობა მიეკუთვნება. თარგმნისას შენარჩუნებულია წყარო ტექსტის ფორმა, შინაარსი, კომუნიკაციური აუნქციები, ემოციური ფონი.

ენობრივი შუამავლობის მეორე ვარიანტს (არაეკვივალენტურს) ზოგიერთი მთარგმნელობითი სკოლაში (მაგალიტად, რუსულ მთარგმნელობით ტრადიციაში) - ჰეტეროვალენტურ ენობრივ შუამავლობას უწოდებენ, ვინაიდან ხორციელდება ორიგინალის შინაარსის და/ან ფორმის

გადამუშავება, რის შედეგად სამიზნე ტექსტი სხვა კომუნიკაციურ ფუნქციას ასრულებს (მოყოლა, უცხოენოვანი რეფერირება და სხვ.).

მთარგმნელი როგორც შუამავალი და კულტურათშორისი მედიატორი

ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის მიზანია მის მონაწილეებს შორის დამყარდეს კომუნიკაცია, რომელიც არ იქნება წარმატებული თუ შეტყობინების მიმღები ვერ გაიგებს ამ შეტყობინებას. ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში თუ ადრესატმა საერთოდ არ იცის, ან ცუდად იცის ენა, რომელზედაც არის შექმნილი შეტყობინება, ან არ გააჩნია ინფორმაციის გასაგებად საჭირო ფონური ცოდნა. შესაბამისად, ადრესატი კომუნიკაციურად არაკომპეტენტურია. ამ ცნებაში იგულისხმება ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტის (ენის, ფონური ინფორმაციის) კომპლექსური ერთობლიობა, რომელიც საშუალებას მისცემს ადრესატს გახდეს კომუნიკაციური აქტის სრულფასოვანი მონაწილე. ცალკეული ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენტურობას სხვადასხვა კომპონენტი ქმნის. ის მოიცავს ენის ცოდნასაც, შესაბამისი ენობრივი ერთეულებით, გრამატიკული ფორმებითა და წესებით, რომელთა მიხედვითაც ხდება ამ ფორმების დაკავშირება; კონკრეტულ სიტუაციაში, ჩამოყალიბებული ენობრივი ტრადიციების გათვალისწინებით ენის გამოყენების უნარი; ეს ეროვნული კულტურის ცოდნაც და შესაბამისი ფონური ინფორმაციის ცოდნა.

თარგმანი, როგორც ორენოვანი კომუნიკაცია, ამ აქტის უფრო რთულ სახეს წარმოადგენს, რადგანაც ერთენოვანი კომუნიკაციისაგან განსხვავებით იგი შუამავლის საშუალებით ხორციელდება. შუამავლის როლში გვევლინება მთარგმნელი, რომელიც პირველ ურთიერთობის საფეხურზე გამოდის ადრესატის, ხოლო შემდეგ შეტყობინები გამგზავნის როლში. შესაბამისად, მთარგმნელიც უნდა იყოს კომუნიკაციურად კომპეტენტური. მაგრამ ეს არ არის

საკმარისი წარმატებული თარგმანისთვის. მთარგმნელს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული ისეთი უნარ-ჩვევები, რომ მან შეძლოს ერთ ენაზე მიიღოს ინფორმაცია და შემდეგ მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს იგი მეორე ენაზე. სწორედ კომუნიკაციური კომპეტენტურობისა და ამ უნარ-ჩვევების ერთობლიობა შეადგენს მთარგმნელობით კომპეტენციას, რომელიც კომუნიკაციურ კომპეტენტურობაზე უფრო ფართო ცნებაა და სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება.

მთარგმნელობითი კომპეტენცია გულისხმობს იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობას, რომელიც საშუალებას აძლევს მთარგმნელს წარმატებით გადაწყვიტოს თავისი პროფესიონალრი ამოცანები. მთარგმნელობით კომპეტენციაში გამოყოფენ ბაზურ და პრაგმატულ ნაწილებს (ლატიშევი 1998:13).

მთარგმნელობითი კომპეტენცია			
ბაზური ნაწილი		პრაგმატული ადაპტაცია	
კონცეპტუალური შემადგენელი	ტექნოლოგიური შემადგენელი	სპეციფიკური შემადგენელი	სპეციალური შემადგენელი

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზურ ნაწილში იგულისხმება მთარგმნელობითი კომპეტენციის ელემენტები, რომლებიც მუდმივად ზემოქმედებენ პროფესიონალურ თარგმანზე (წერილობითი და ზეპირი სახის

თარგმანში). პრაგმატული ნაწილი მოიცავს იმ ცოდნას, ჩვევებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც აუცილებელია მთარგმნელისათვის ამა თუ იმ სახის თარგმანში (ზეპირი, წერილობითი ან სინქრონული თარგმნისას – სამეცნიერო-ტექნიკური, მხატვრული, საქმიანი დოკუმენტების თარგმნის დროს და ა.შ.).

ბაზური ნაწილი შედგება კონცეპტუალური და ტექნოლოგიური ერთეულებისაგან. მთარგმნელობითი კომპეტენციის კონცეპტუალური ერთეულებია მთარგმნელის წარმოდგენა თარგმანის არსზე, მის სპეციფიკაზე. იგი იმდენად მნიშვნელოვანია მთარგმნელისათვის, როგორც მუსიკოსისათვის სმენა. თუ მთარგმნელს არაადეკვატური წარმოდგენა აქვს თარგმანზე, იგი სიყალბეს ვერ გაეცევა, შედეგად კი შეიქმნება დედნისგან განსხვავებული, სრულიად სხვა, დამახინჯებული ტექსტი.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ტექნოლოგიური მხარე არის თარგმნის წესების ერთობლიობა, რომელიც ენობრივ შუამავალს ეხმარება გადალახოს “ტექნიკური” მთარგმნელობითი სიძნელეების და გადაწხვიტოს ის ამოცანები, რაც თარგმნისას ხვდება მთარგმნელს.

რაც შეეხება მთარგმნელობითი კომპეტენციის პრაგმატულ ნაწილს, ის მოიცავს მთარგმნელისათვის ხელმისაწვდომ მთარგმნელობით ასპექტებს, ტესტის ჟანრებსა და თემებს. ამ მთარგმნელობით ასპექტებს მიაკუთვნებენ სპეციფიკურ ერთეულებს, ხოლო მთარგმნელის ყემატურ და ჟანრობრივ შესაძლებლობებს მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალურ ერთეულებს.

ძნელად თუ ოიძებნება მთარგმნელი, რომელსაც
მთარგმნელობითი

კომპეტენციის ყველა ასპექტი თანაბრად ჰქონდეს განვითარებული. ეს აიხსნება ადამიანთა განსხვავებული მონაცემებით, მათი განსხვავებული მიდრეკილებებით, მაგრამ ამის მიზეზია ასევე მათი გარდაუვალი პროფესიული სპეციალიზაცია, რომელიც მომზადების შემდეგ უშუალოდ მუშაობის პროცესში ხდება.

მთარგმნელობითი კომპეტენციის ბაზური ერთეულები საკმარისია წერიტი თარგმანის შესასრულებლად, ყოველგვარი სპეციალური ცოდნის გარეშე. მთარგმნელობითი კომპეტენციის სპეციალური ერთეულები ეყრდნობა ექსტრალინგვისტურ ცოდნას სხვადასხვა სპეციალურ სფეროებში, ტექნიკაში, ეკონომიკაში, იურისპრუდენციაში და ა.შ.

საკვანძო ცნებები:

კომუნიკაცია, სამეტყველო აქტი, ადრესატი, ადრესანტი, კომუნიკანტები, შუამავალი, ენობრივი შუამავლობა, პროფესიული (მთარგმნელობითი) კომპეტენცია, პრაგმატული ადაპტაცია, ეკვივალენტური და არაეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა, ერთენოვანი კომუნიკაცია, ორენოვანი კომუნიკაცია, კომუნიკაციის არხი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია.

კითხვები:

- 1) განმარტეთ ტერმინი „კომუნიკაცია“.
- 2) კომუნიკაციის თეორიის ჩამოყალიბების მნიშვნელობა თარგმანმცოდნეობის განვითარებისთვის.
- 3) კულტურათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებანი.
- 4) ერთენოვანი კომუნიკაციის მონაწილეები.
- 5) ორენოვანი კომუნიკაციის მონაწილეები.
- 6) ეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა.
- 7) არაეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა.
- 8) მთარგმნელი როგორც კულტურული მედიატორი.

მთარგმნელები გვაფრთხილებენ:

გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს

მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

თემა IV

თარგმანის პროცესი და მასზე მოქმედი ფაქტორები

- 1) თარგმანის პროცესის ძირითადი ეპატები;
- 2) ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება;
- 3) ბარიერის შემადგენელი ნაწილები;
- 4) იმპლიციტი და ექსპლიციტი ტექსტსა და თარგმანში.

თარგმანის პროცესის ძირითადი ეპატები

რითი იწყება თარგმნის პროსეცი? რას უნდა მივაქციოთ ყურადღება თარგმნის დროს? რა ინფორმაციას უნდა ფლობდეს მთარგმნელი?

მრავალსაუკუნინი წარმატებული მთარგმნელობით პრაქტიკა ამ რთულ კითხვებზე სხვადასხვა პასუხს იძლევა.

მიუხედავდ იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში პრაქტიკოსი მთარგმნელები აღნიშნავენ, რომ იწყებენ თარგმანს წყარო ტექსტის კითხვით, არსებობს სხვა შეხედულება ამ საკითხზე. ასე ცნობილი მეცნიერი პ. პროვოროტოვი თვლის, რომ უშუალოდ თარგმნის დაწყებამდე და ორიგინალის გაცნობამდე მთარგმნელმა უნდა გაეცნოს ინფორმაციას, რომელსაც მან უწოდა - „წინამთარგმნელობით პროცესი“: ავტორის შესახებ მასალების დაზუსტება, წყარო ტექსტის შექმნის ისტორია, ტექსტის ჟანრობრივი ტავისებურებების გაგება და ასე შემდეგ. ფრანგულ თარგმანმცოდნეობაში პოპულარულია

მარიამ ლედერერის კოდირებისა და ტრანსკოდირების ეტაპები თარგმანში (დანაცა სელესკოვიჩი და მარიამ ლედერერი „თარგმანის ხალოვნება და სწავლების მეთოდი“. თბილისი, 2008).

მაგრამ ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, ოტო კადემ, ისეთი კონცეპცია შეიმუშავა, რომ მის მიერ შექმნილი მთარგმნელობითი პროცესის სამფაზიანი მოდელის ფარგლებში ყველა არსებული შეხედულება თავსდება.

როგორც განხილული სქემიდან ჩანს (იხილეთ დანართი „თარგმანმცოდნეობა სქემებში“), თარგმანი, როგორც პროცესი, ოტო კადემ სამფაზიანი მოდელის სახით წარმოგვიდგინა, ვინაიდან მრავალი ხასიათის მოსამზადებელი ქმედებები მან გააერთიანა ერთ სახელწოდებით - წყარო ტექსტთან მუშაობის ფაზა (ეტაპი) < შემდეგ მოდის თვის ტარგმნის, ანუ ორიგინალის ტრანსფორმაციის პროცესი, მესამე ფაზა კი წარმოადგენს სასმიზნე ტექსტის არა მართო ჭქმნა, არამედ მისი რედაქტირება და საბოლოო სახის მიცემა. ამგვარად, ჩვენ უერთთებით ოტო კადეს ტეორიას, რომლის მიხედვით მთარგმნელობითი პროცესი შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან:

1) პირველი ფაზა: ორიგინალური ტექსტის აღქმა მთარგმნელის მიერ, რომელიც ბილინგვია და ამ ეტაპზე ასრულებს ადრესატის ფუნქციას. ამ ეტაპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან შუამავალმა უნდა მაქსიმალურად აითვისოს ტექსტური ინფორმაცია, რომელიც ხშირად ფარულია.

2) მეორე ფაზა: ორიგინალური ტექსტის გადაფორმების დროს მთარგმნელი იყენებს უამრავ ტრანსფორმაციას, რომლის კლასიფიკაციას ჩვენ ცალკე ლექციას დაუთმობთ და შემდგომში დავამუშავებთ პრაქტიკულ მეცადინეობებზე.

3) მესამე ფაზა: სასმიზნე ტექსტის რედაქტირება და პრაგმატული ადაპტაცია, რომელიც აუცილებელია, ვინაიდან სხვა ენის მატარებელი ამავდროულად უცხო კულტურის წარმომადგენელია, მას გააჩნია სხვა ფონური ცოდნა, სხვა წარმოდგენა წეს-ჩვეულებაზე. ამიტომაც მთარგმნელმა უნდა მოახდინოს ტექსტის რედაქტირება, გარკვეული სოციალური,

კულტურული, ფსიქოლოგიური და სხვა ნიუანსების ტრანსფორმაცია, ახსნა-განმარტება, რასაც პრაგმატული ადაპტაცია ეწოდება.

ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება

თარგმანს, ჩვეულებრივ, ისეთ შემთხვევაში მიმართავენ, როდესაც ადამიანებს არ შეუძლიათ წერილობითი თუ ზეპირი კომუნიკაციის დამყარება. ამის მიზეზი კი მათ შორის არსებული ლინგვოეთნიკური ბარიერია. უცხო ენა არ არის ერთდადერთი ბარიერი, რომელიც კომუნიკანტებს ყოფს. მათ შორის ურთიერთობას ასევე აბრკოლებს განსხვავება კომუნიკანტთა კულტურაში, ფსიქოლოგიაში, მსოფლმსედველობაში. ამ ლინგვოეთნიკური ბარიერის დასაძლევად კი საჭიროა კომუნიკანტი იყოს კომუნიკაციურად კომპეტენტური; ენის გარდა იგი უნდა ფლობდეს ექსტრალინგვისტურ ცოდნას.

ცალკეული ადამიანის კომუნიკაციურ კომპეტენტურობაზე სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს. იგი უამრავი შემადგენელი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც ლ. კ. ლატიშევის კლასიფიკაციით შეიძლება დავყოთ ლინგვოეთნიკურ და არალინგვოეთნიკურ ფაქტორებად. უკანასკნელს მიეკუთვნება კომუნიკაციის მონაწილის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თვისებები (მისი ინტერესები, გემოვნება და ა.შ.) და ის სოციალური მახასიათებლები, რომლებიც განპირობებულია მისი რაიმე სოციალური (პროფესიული, თუ ასაკობრივი) ჯგუფისადმი მიკუთვნებით. მთარგმნელი კომუნიკაციის მონაწილეებს სწორედ ლინგვოეთნიკური ბარიერის დაძლევაში ეხმარება. როგორც ავლნიშნეთ, ეს ბარიერი სხვადასხვა დაბრკოლებისაგან შედგება და იმით არის გამოწვეული, რომ წყარო და სამიზნე ენაზე მოსაუბრენი განსხვავებულ ლინგვოეთნიკურ საზოგადოებას მიეკუთვნებიან. ამ

დაბრკოლების წარმოქმნის მიზეზია განსხვავებები ორი ენის სისტემებს, სამეტყველო ნორმებსა და ფონურ მარაგს შორის.

წყარო და სამიზნე ენების სისტემების განსხვავება.

ენობრივი სისტემა საკმაოდ აბსტრაქტული ცნებაა. გამარტივებულად იგი შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ: ენობრივი სისტემა არის სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების (ფონემების, მორფემების, ლექსემების) გრამატიკულ ფორმებისა და იმ მოდელების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ხდება მათი ურთიერთდაკავშირება. ლ.კ.ლატიშევი ხაზგასმით აღნიშნავს სისტემის ერთ მნიშვნელოვან თვისებას:

სისტემის მიერ წარმოქმნილი პროდუქტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ შექმნილი და დამკვიდრებული ერთეულები, არამედ ის პოტენციური კომბინაციები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სისტემის მიერ (ლატიშევი 2002:47).

ენობრივი ნორმების განსხვავება

ენობრივი სისტემისაგან განსხვავებით, ენობრივი ნორმა კონკრეტულად არსებულ და რეალურად ფუნქციონირებად ფორმებში გამოიხატება. სწორედ ენობრივი ნორმამ უნდა განსაჯოს არის თუ არა დასაშვები სისტემის მიერ წარმოქმნილი ესა თუ ის ფორმა: მისაღებია ყოველივე ის, რაც ენაში რეალურად ფუნქციონირებს და მიუღებელია ის, რაც წარმოიქმნება, მაგრამ არ გაოიყენება ჩვეულებრივ მეტყველებაში. დროთა განმავლობაში ნორმა იცვლება. ამიტომაც ენაში შეიმჩნევა გადახრები ნორმისაგან, არსებობს მისი ვარიანტები.

სამეტყველო ნორმების (უზუსების) განსხვავებები

უზუსი ისეთი სიტუაციური წესების ერთობლიობაა, რომელთა მიხედვითაც ხდება ენობრივი ფორმების შერჩევა. უზუსი კიდევ ერთი ფილტრია, რომელმაც უნდა გადასინჯოს სისტემით წარმოქმნილი ფორმები. მთავარი განსხვავება ნორმასა და უზუსს შორის ისაა, რომ ნორმის მიერ

არასწორად აღიარებული არასწორია ყველგან და ყოველთვის. უზუსტი კი განასხვავებს ერთმანეთისაგან იმას, რაც მისაღებია თუ მიუღებელია კონკრეტულ სიტუაციაში. ერთ შემთხვევაში არამართებული ფორმა სხვა შემთხვევაში შეიძლება სწორი აღმოჩნდეს. მაგალითად, ლექტორს სტუდენტი ისეთივე ფორმით არ გამოემშვიდობება, როგორც თავის მეგობრებს, თუ მშობლებს. ე.ი. ნორმა აბსოლიტური კრიტერიუმია, მაშინ, როდესაც სიტუაციური უზუსტი პირობითი კრიტერიუმია. ამა თუ იმ ფრაზას შეიძლება სხვაგვარად სათარგმნი ვარიანტი გააჩნდეს და უზუსტის გათვალისწინებით მთარგმნელი ხშირად არჩევს არა უახლოეს სემანტიკურ ეკვივალენტს, არამედ ისეთ ვარიანტს, რომელიც არ არღვევს სამიზნე ენის უკვე ცამოყალიბებულ სამეტყველო ტრადიციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა თარგმანის ადეკვატურობა.

ფონური ინფორმაცია როგორც ბარიერის შემადგენელი ნაწილი

ინფორმაციის გამგზავნელის შეტყობინება, როგორც წესი, ისეთ ადრესატზეა ორიენტირებული, რომელიც საკმარისად ინფორმირებულია ამ შეტყობინების გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნელი შეცდა და რეცეპტორი არ ფლობს საჭირო ინფორმაციას, კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული. როგორც ავლნიშნეთ, მთარგმნელი ერხმარება ადრესატს ლინგვოეთნიკური ბერიერის დაძლევაში და იგი ხშირად ითვალისწინებს, რომ ორიგინალის ადრესატისგან განსხვავებით, თარგმანის ადრესატს შეიძლება არ ჰქონდეს შეტყობინების გასაგებად საჭირო ცოდნა. ამის გამოსასწორებლად მთარგმნელებს უწევთ სხვაგვარად ცვლილებების შეტანა ორიგინალში. ეს ფონური ცოდნა შეიძლება ნაციონალ, კულტურულ, ან ისტორიულ ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, საგაზეთო მასალას მეტწილად

ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური მოვლენები უდევს საფუძვლად. სტატიის ავტორი ზოგჯერ არც უწევს ცნობილი პიროვნების, მაგ, პოლიტიკოსის თანამდებობის დასახელება, თუ ყველასათვის ცნობილი ამბავის შეხსენება, იგი პირდაპირ ახალ დეტალებზე გადადის, რადგანაც თვლის, რომ მკითხველმა, რომელზეც გათვლილია ეს სტატია, იცის ვისზე და რაზეა საუბარი.

ფონური ინფორმაცია მოიცავს ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიულ არეალს, მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების ისტორიას და სხვ. ყოველივე ამას თარგმანის თეორიაში რეალიებს უწოდებენ. ამრიგად, ლინგვოეთნიკური ბარიერის ძირითად ფაქტორებს მიეკუთვნება წყარო და სამიზნე ენებზე მოსაუბრეთა განსხვავებული კომუნიკაციური კომპეტენტურობა. მთარგმნელი გარკვეულწილად გარდაქმნის ორიგინალის ტექსტს, რომ მასში მოცემული ინფორმაცია გასაგები გახდეს თარგმანის მკითხველისათვის და იგივე ზეგავლენა მოახდინოს მასზე, როგორც ორიგინალის მკითხველზე. ამისთვის მას ხშირად უწევს შესწორებების შეტანა ნორმის, უზუსისა და თარგმანის ადრესატის ფონური ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფონური ინფორმაციის კლასიფიკაცია, რომელიც საჭიროებს ადაპტაციას

მეცნიერები ფონური ცოდნის სხვადასხვა კლასიფიკაციას გვაწვდიან, საკმაოდ ამომწურავი კლასიფიკაცია ეკუთვნის ვინოგრადოვს, რომელიც შემდეგ ძირითად თემატურ ჯგუფებს გამოყოფს:

1) საყოფაცხოვრებო: საკუთრების სახელები: ტანსაცმელი, სახლები, მორთულობა; საჭმელ-სასმელი; საქმიანობა; ფულის, წონის, ზომის, დროის ერთეულები; მუსიკალური ინსტრუმენტები, ეროვნული დღესასწაულები, თამაშები, მიმართვები.

2) ეთნოგრაფიული და მითოლოგიური: ეთნიკური და საზოგადოების

წარმომადგენლები; ღვთაებები, ლეგენდარული და ზღაპრული არსებები, ადგილები.

3) **ბუნების სამყარო:** ცხოველები, მცენარეები, ლანდშაფტი.

4) **საზოგადოებრივი წყობის, საზოგადოებრივი ცხოვრების რეალიები:** ადმინისტრაციული ერთეულები, ინსტიტუტები; საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პარტიები და მისი მონაწილეები; პროფესიები, ტიტულები.

5) **ასოციაციური რეალიები:** ფერების სიმბოლიკა; ფოლკლორული, ისტორიული და ლიტერატურული ალუზიები; ვეგეტატიური და ონომასტიკური რეალიები; ენობრივი ალუზიები (ფრაზეოლოგიზმები, ანდაზები).

ასოციაციური რეალიები სათარგმნელად განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენენ. საქმე ისაა, რომ სიტყვის კონოტაციები, მათი ხატოვანი გამოყენება სხვა ლინგვოკულტურული საზოგადოების წევრისათვის იმდენად ძნელი აღსაქმელია, რომ შეიძლება მთარგმნელსაც გამორჩეს. რაც არ უნდა კარგად იცოდეს მთარგმნელმა დედნის ენა და ამ ენაზე მოსაუბრე ხალხის ზნე-ჩვეულებები, მისთვის მაინც რთულია მნიშვნელობის ყველა ნიუანსის გაგება. სწორედ გაგების შემთხვევაშიც მის წინაშე წამოიჭრება ამ ნიუანსის გადმოცემის პრობლემა. მაგალითად, ვ.ვინოგრადოვს მოყავს ფერების სიმბოლიკის ძალზედ საინტერესო მაგალითი: პანამელი მწერალის ჰოაკინ ბელინიოს ნაწარმოები “Luna Verde” სიტყვასიტყვით ითარგმნა რუსულ ენაზე “მწვანე მთვარე.” რუს მკითხველში ამ სიტყვათშეთანხმებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ არასასურველი ასოციაციები. ჩილესა და პანამის მცხოვრებთათვის – ეს არის იმედის, სიკეთის მომასწავებელი, რადგანაც ბევრი ლათინოამერიკელისთვის მწვანე ფერი ასახიერებს ცხოვრების ტრფიალს, მთვარე კი იწვევს ასოციაციას ადამიანის სულიერ სამყაროსთან, მის განწყობასთან, ბედთან.

ხშირ შემთხვევაში მთარგმნელმა უნდა განსაჯოს რამდენად

მნიშვნელოვანია ამა თუ იმ რეალიის გადმოტანა, და შემდეგ უკვე შეარჩიოს მისი თარგმნის ხერხები. ჩვეულებრივ რეალიის სრული შენარჩუნება არ ხერხდება და თარგმნისას მან შეიძლება განიცადოს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, ანსაერთოდ გაქრეს. ამიტომაცაა, რომ რეალიის თარგმნის საშუალებების არჩევისას მთარგმნელს დიდი სიფრთხილე მართებს და მთავარი კრიტერიუმი ამ დროს არის ტექსტის კომუნიკაციური ეფექტი და მიზანი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ რეალიის როლი, თუ აქვს მის შენარჩუნებას გადამწყვეტი როლი მნიშვნელობის შესანარჩუნებლად.

იმპლიციტი და ექსპლიციტი ტექსტსა და თარგმანში

ტექსტში მოცემული ინფორმაცია შეიძლება იყოს გამოხატული ექსპლიციტურად ან იმპლიციტურად.

ექსპლიციტური - ნიშნავს ფორმალურად გამოხატულს, გამონათქვამის შინაარსი ვერბალიზებულია. იმპლიციტური კი ნიშნავს ფარულს, არავერბალიზებულს, როდესაც ინფორმაცია პირდაპირ გამოხატული არ არის, მაგრამ ტექსტი (ან სიტუაცია) მოიცავს გარკვეულ მითითებებს, თუ რა შინაარსზე არის საუბარი.

ტერმინი იმპლიკაცია პირველად პოლ გრაისმა შემოიტანა იმ მნიშვნელობის აღსანიშნავად, რომელიც გამომდინარეობს წინადადებისაგან, სიტუაციისაგან.

ნებისმიერი ტექსტის, წინადადების, რეკლიკის შექმნის დროს ავტორი იყენებს იმპლიციტურ ხერხებს. ასე მაგალითად, რთულ წინადადებაში - მალვინამ იყიდა ლურჯი პასტა, ნინო კი - წითელი - მეორე ნაწილში გამოტოვებულია შემასმენელი (იყიდა) და დამატება (პასტა), მაგრამ ეს არ უშლის აზრის გაგებას, ასეთი სტრუქტურა პასუხობს ენობრივი ეკონომიის კანონს.

ხშირ შემთხვევაში იმპლიციტურად გამოიხატება ტექსტში ფონური ინფორმაცია, რომელსაც კარგად ფლობს კონკრეტული კულტურის, ეთნოსის წარმომადგენლები და ამიტომ ის არ საჭიროებს ექსპლიციტურებას.

ამგვარად, არსებობს იმპიც. ინფ-ის ორი სახეობა:

1) ტექსტში მოცემული იმპლიციტ.ინფ., რომელიც გამოიხატება გრამატიკული ფორმებით, სინტაქსური კონსტრუქციებით, ხატოვანი საშუალებებით და სხვ. ნაცვალსახელების გამოყენებაც კი - იმპლიკაციის საშუალებაა, მაგრამ წინა აზრადან გასაგებია, ვისზე არის საუბარი.

2) ტექსტის გარედ არსებული იმპლიციტ. ინფორმაცია (ეგრეთ წოდებული - კულტურული კონტექსტში). მაგ. წინადადება - ის სუბიშვილებშია ახლა - საკმაოდ იმპლიციტურია, მაგრამ ყველა ქართველისთვის გასაგები.

ტექსტის ადეკვატური თარგმნისთვის აუცილებელია როგორც ექსპლიციტური, ასევე იმპლიციტური ინფორმაციის გადათარგმნა, მაგრამ მთარგმნელმა უნდა ზომიერად მიაწოდოს ეს ინფორმაცია ახალ მკითხველს, ნაწილობრივად თარგმნისას იმპლიციტური ინფ-ია შეიცვლება ექსპლიციტური ინფ-ით, მაგრამ ნათარგმნი ტექსტი არ უნდა იყოს გადატვირთული ზედმეტი ნიუანსების ახსნით.

პრაგმატულად განპირობებული გარდაქმნები აუცილებელია იდიომატური გამოთქმების თარგმნისას და რეალიების თარგმნისას. ამ შემთხვევაში მთარგმნელისთვის არ არის არსებითი წყარო და სამიზნე ენებს შორის სემანტიკური თუ სინტაქსური ეკვივალენტობის შენარჩუნება. მისი მიზანია თარგმანში ორიგინალის იდენტური კომუნიკაციური ეფექტის მიღწევა. ტექსტის ადაპტაციის დროს მთარგმნელს უწევს იმპლიციტურად წარმოდგენილი ფონური ცოდნის ექსპლიციტურში გარდაქმნა. ეს ინფორმაცია მოიცავს ისტორიულ ფაქტებს, მატერიალური კულტურის მიღწევებს, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ ცნებებს და ა.შ. ყველაფერი ეს რეალიების სახელითაა ცნობილი თარგმანის თეორიაში. მთარგმნელები ხშირად მიმართავენ პრაგმატულ ადაპტაციას საკუთარი სახელების, გეოგრაფიული სახელების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო რეალიების თარგმნისას.

ამისათვის ტექსტში შეაქვთ დამატებითი კომენტარები და განმარტებები, ან განმარტავენ სქოლიოში.

გეოგრაფიული დასახელებების, საყოფაცხოვრებო რეალიების და ქცევის ნორმების ცოდნა გვეხმარება არა მხოლოდ თარგმანში, არამედ უშუალოდ ურთიერთობებში, რადგან ჩვენს თანამოსაუბრესთან ერთად, ჩვენ ვფლობთ ვირტუალური, არავერბალური ცოდნის გარკვეულ მარაგს და ვიცნობთ იმ რეალიებს, რომელზეც ვსაუბრობთ. სწორედ ეს უზრუნველყოფს ადეკვატურ ენობრივ ურთიერთობას.

ინფორმაციის გამგზავნის შეტყობინება, როგორც წესი, ისეთ ადრესატზეა ორიენტირებული, რომელიც საკმარისად ინფორმირებულია ამ შეტყობინების გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი შეცდა და რეცეპტორი არ ფლობს საჭირო ინფორმაციას, კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული. როგორც აღვნიშნეთ, მთარგმნელი ეხმარება ადრესატს ლინგვოეთნიკური ბარიერის დაძლევაში და იგი ხშირად ითვალისწინებს, რომ ორიგინალის ადრესატისგან განსხვავებით, თარგმანის ადრესატს შეიძლება არ ჰქონდეს შეტყობინების გასაგებად საჭირო ცოდნა. ამის გამოსასწორებლად მთარგმნელებს უწევთ სხვადასხვა ცვლილებების შეტანა ორიგინალში. ეს ფონური ცოდნა შეიძლება ნაციონალ, კულტურულ, ან ისტორიულ ხასიათს ატარებდეს. მაგალითად, საგაზეთო მასალას მეტწილად ქვეყანაში მიმდინარე აქტუალური მოვლენები უდევს საფუძვლად. სტატიაში იგი პირდაპირ ახალ დეტალებზე გადადის, რადგანაც თვლის, რომ მკითხველმა, რომელზეც გათვლილია ავტორს ზოგჯერ არც უწევს ცნობილი პიროვნების, მაგ, პოლიტიკოსის თანამდებობის დასახელება, თუ ყველასთვის ცნობილი ამბავის შეხსენება, ეს სტატია, იცის ვისზე და რაზეა საუბარი.

ამოსავალი ენის ტექსტის თარგმნისას, აუცილებელია გაიგო როგორც იმპლიციტი, ასევე ექსპლიციტი. იმპლიციტის გაგება შესაძლებელია სათანადო ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ცოდნის საფუძველზე. იმპლიციტის გაგება საშუალებას აძლევს მთარგმნელს არ განახორციელოს ლექსიკონისეული თარგმანი ანუ ტრანსკოდირება, რაც ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მთარგმნელს არ აქვს სათანადო ცოდნა იმ

კონცეპტების შესახებ, რომლებიც ტექსტშია მოცემული. იმ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელის და ტექსტის ავტორის ცოდნა ერთხვევა ერთმანეთს, იმპლიციტის თარგმნა წარმატებით ხორციელდება. იმპლიციტის გაგება შესაძლებელია სწორედ კონტექსტის საშუალებით. იმპლიციტის გაგება თარგმნის პროცესში შესაძლებელია კონტექსტში არსებული რელევანტური, ენციკლოპედიური და ლინგვისტური ინფორმაციის შერწყმის გზით. ნებისმიერი გამონათქვამი, მასში არსებული კონცეპტუალური იმპლიციტით, გაცილებით დიდია, ვიდრე ის ფორმულირება, რომლითაც ხდება მისი ენაში გადმოცემა. რაც უფრო სრულად ხდება იმპლი-ციტის გაგება, გაცილებით იოლია ლინგვისტური ფორმებიდან აზრის გამოტანა” (ლედერერი 2001:47).

იმისათვის, რომ შესრულდეს კარგი თარგმანი, სათარგმნი ტექსტი სრულად უნდა გადმოსცემდეს ორიგინალის აზრს, სათარგმნი ენის გრამატიკული და სტილისტური ნორმების გათვალისწინებით, და გასაგები უნდა იყოს სათარგმნი ენის მკითხველისათვის, რომელიც სხვა კულტურის ნაწილია. ამისათვის მთარგმნელს უწევს ტექსტის კულტურული ადაპტაცია.

საკვანძო ცნებები:

მთარგმნელობითი ფაზა/ეტაპი, წინამთარგმნელობითი ეტაპი, მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია, რედაქტირება, პრაგმატული ადაპტაცია, ლინგვოეთნიკური ბარიერი, ენობრივი ნორმა, სამეტყველო ნორმა (უზუსტი), ეთნოკულტურული სპეციფიკა, ფოხური ინფორმაცია, იმპლიციტი და ექსპლიციტი თარგმანში.

კითხვები:

- 1) როგორ წარმოგიდგენიათ მთარგმნელობითი პროცესი?
- 2) მარიამ ლედერერის კონცეპცია.
- 3) რა საზღვრის ეტაპი გამოყო პროვოკატორმა თარგმანში?

- 4) ოტო კადეს კონცეპციის საფუძვლები.
- 5) დაახასიათეთ მთარგმნელობითი პროცესის პირველი ფაზა.
- 6) დაახასიათეთ მთარგმნელობითი პროცესის მეორე ფაზა.
- 7) დაახასიათეთ მთარგმნელობითი პროცესის მესამე ფაზა.
- 8) ლინგვოეთნიკური ბარიერის ცნება.
- 9) ლინგვოეთნიკური ბარიერის შემადგენელი ნაწილები.
- 10) რითი განსხვავდება ენობრივი და უზუალური ნორმა?
- 11) დაახასიათეთ ფონური ინფორმაცია და მისი მნიშვნელობა.
- 12) იმპლიციტი და ექსპლიციტი თარგმანში.

მთარგმნელები გვაფრთხილებენ:

გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

თემა V

თარგმანი როგორც ბილინგვიზმის განსაკუთრებული სახეობა

- 1) ბილინგვიზმის ცნება ლინგვისტიკაში;
- 2) ენობრივი კონტაქტები და ინტერფერენციის მოვლენა
- 3) თარგმანი როგორც ბილინგვიზმის ნაირსახეობა;
- 4) მთარგმნელი როგორც ბილინგვი.

ბილინგვიზმის ცნება ლინგვისტიკაში

ბილინგვიზმი ან ორენოვნება წარმოადგენს მრავალწახნაგ კულტურულ-ენობრივ ცნებას, ამიტომ ამ მოვლენას ბევრი განმარტება აქვს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სხვადასხვა მეცნიერული მიმართულებები შეისწავლიან ბილინგვიზმს სხვადასხვა კუთხიდან, რადგანაც ითვალისწინებენ საკუთარი ინტერესების სფეროს: ორენოვნება ნიშნავს ორი ენის ფლობას, როგორც წესი ისეთ სიტუაციაში, როდესაც ორივე ენა ხშირად გამოიყენება კომუნიკაციის დროს. ბილინგვიზმი - სახელმწიფოში ორი ენის გამოყენება (პარლამენტის მუშაობისას, აღმასრულებელ ხელისუფლებაში, და სხვ.), როდესაც ორივე ენას გააჩნია თანაბარი სახელმწიფოებრივი სტატუსი. ბილინგვიზმი - ორი ენის ფლობა, ან ლიტერატურული და დიალექტის ცოდნა. თანამედროვე სამყაროში რთულია ვიპოვოთ სრულად მონოლინგვური საზოგადოება, სადაც დიალექტიც არ არსებობს. დიალექტური მრავალფეროვნება ტავის მხრივ ასევე წარმოადგენს მულტილინგვიზმის მაჩვენებელს. ბილინგვიზმი - ერთი და იგივე პირის

ან კოლექტივის მიერ ორი სხვადასხვა ენის და ერთი ენის ორი სხვადასხვა დიალექტის ფლობა და პერიოდული გამოყენება (მაგალითად: ადგილობრივი დიალექტი და ლიტერატურული ენა). ბლუმფილდი თვლიდა, რომ ბილინგვიზმი არის "ორი ან მეტი ენის ინტუიციური კონტროლი" (კოვალოვა 2011:3).

ცნობილი სოციოლინგვისტმა ენადმცოდნეობის სპეციალისტმა ე.ჰაუგენმა შეისწავლა ბილინგვიზმის ფორმირების პრობლემები ინგლისური ენის სხვა ენებზე დომინანტობის პირობებში აშშ-ში. ჰაუგენი ქმნის ბილინგვიზმის შესწავლის ტერმინოლოგიურ ბაზას სოციოლინგვისტიკისა და ფსიქოლოგიის სფეროებში. ბილინგვიზმი, ჰაუგენის მიხედვით, წარმოადგენს ენობრივ კონტაქტს, რომელიც "განისაზღვრება ირთი და იგივე პირების მიერ ორი ენ მეტი ენის ცვალებადი გამოყენებით" (კოვალოვა 2012:38). შვეიცარიული წარმოშობის ამერიკელი ლინგვისტი უ.ვანრაჰი ჰაუგენთან ერთად, ა.მარტინე, რუსი ლინგვისტები ლ.შებრა, მ.მიხაილოვი და სხვები აგრძელებენ მუშაობას ბილინგვიზმისა და მულტილინგვიზმის ტერმინოლოგიურ ასპექტებზე. ვანრაჰის მიხედვით, "ორი ან მეტი ენა განიხილება კონტაქტის პროცესში, თუ ისინი მონაცვლეობით არიან გამოყენებული ერთი და იგივე პირების მიერ" (კოვალოვა 2012:38).

XX საუკუნის ბოლოს, აკადემიურ წრეში, ბილინგვიზმის შესწავლის ყველა მიმართულების ერთ მეცნიერებაში ბილინგვოლოგიაში გაერთიანების იდეა ჩნდება. აღნიშნული ფენომენის შესწავლაში ლიდერებად ითვლება კანადა, შვეიცარია და აშშ. რუსეთში ბილინგვიზმი გადმოტანილ იქნა XX საუკუნის 50-იან წლებში. ამ პრობლემისადმი ინტერესი განპირობებული იყო ქვეყნის მრავალნაციონალურობიდან გამომდინარე. ერთის მხრივ - რუსული ენისა და კულტურის პროპაგანდა მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო მეორეს მხრივ - საკუთარი ენისა და კულტურული ფასეულობების შენარჩუნების სურვილი. ასე ვითარდებოდა ორენოვნება. მდგომარეობა შეიცვალა XX საუკუნის 80-იან წლებში. რესპუბლიკები დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. პოლიტიკური წყობისა და სოციალური ყოფის ცვლილებასთან ერთად იცვლება რუსული ენის მიმართ დამოკიდებულებაც. მოხდა კოდის გადართვა "ძლიერი/სუსტი ენები". რუსულმა ენამ გადაინაცვლა სუსტი ენის პოზიციაზე, ხოლო მშობლიური ენა პირიქით - ძლიერის. შემდგომი სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებები განაპირობებენ ენობრივი სიტუაციის დინამიკას - დაიწყო ინგლისური ენის ინტენსიური ზეგავლენის პერიოდი. ამან კი განაპირობა ბილინგვიზმისადმი ინტერესი პედაგოგიკის სფეროში, ბავშვთა ბილინგვიზმში,

ფსიქოლინგვისტიკასა და სოციოლინგვისტიკაში. ისტორია ცხადყოფს, რომ უცხო ენებს და მათ შორის ინგლისურ ენას ქონდათ გარკვეული ზეგავლენა ამა თუ იმ ქვეყნის კულტურაზე. ისტორიული, კულტურული და სოციალური ცვლილებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ბილინგვიზმი ყოველთვის გადიოდა საკუთარი განვითარების გარკვეულ ეტაპებს.

გამოყოფენ ბილინგვიზმის შემდეგ ტიპებს:

ა) სუბორდინაციული (სუბიექტი ფლობს ერთ ენას უკეთ, ვიდრე მეორეს).

ბ) კოორდინაციული (ფლობს სხვადასხვა ენებს თანაბრად). "ბილინგვი იძენს ერთი კოდიდან მეორეზე გადასვლის ჩვევას ბავშვობიდან და მას არა აქვს დომინანტი ენა" (კოვალევა 2011:6).

შესაბამისად, სუბორდინაციული ბილინგვიზმი გვხვდება მხოლოდ ხელოვნური ბილინგვის მეტყველებაში, ხოლო ბუნებრივ ბილინგვს კი ფლობს კოორდინაციულ ბილინგვიზმს. ხელოვნური ბილინგვიზმი წარმოიშვება მშობლიური ენის შემდგომ მეორე ენის შესწავლის შედეგად.

ასევე გამოყოფენ:

გ) აქტიური (სუბიექტი ასე თუ ისე რეგულარულად იყენებს ორივე ენას) / პასიური (უფრო ხშირად იყენებს ერთ რომელიმე ენას),

დ) კონტაქტური (ბილინგვს კავშირი აქვს ენის მატარებლებთან) / არაკონტაქტური (ამგვარი კავშირის არ არსებობა),

ე) ავტონომიური / პარალელური (ავტონომიური ბილინგვიზმის დროს ენები სუბიექტის მიერ შეისწავლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ხოლო პარალელური ბილინგვიზმის დროს ერთი ენის ათვისება ხდება მეორე ენის ათვისების დაფუძნებით).

ბი/პოლილინგვიზმი - მრავალფეროვანია. სინამდვილეში კი, ყველა ზემოდ ხსენებული ტიპი რეალურ ცხოვრებაში არ მოიძებნება "წმინდა სახით", განსაკუთრებით კი როდესაც საუბარია ბავშვების ბუნებრივ და ხელოვნურ მრავალენობრივ ფორმირებაზე. ეს "პროცესი არის დინამიკური, ტალღისებური, მუდამ ცვალებადი" (<http://iling.spb.ru/grammatikon/child/shaj.html>)

ენობრივი კონტაქტები და ინტერფერენციის მოვლენა

ენობრივი კონტაქტი სხვადასხვა ენობრივ დაჯგუფებებს შორის კონტაქტს გულისხმობს. აქედან გამომდინარე ის იმ სფეროს წარმოადგენს, რომელშიც ლინგვისტური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, პოლიტიკური, პედაგოგიური ასპექტების შეჯერება ხდება. ამ შემთხვევაში კვლევა ენის, როგორც დახურული სისტემის, ფარგლებს ცდება და ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს.

მაგრამ ენობრივი კონტაქტების შედეგად განსხვავებული მოვლენები ყალიბდება. ვაინრაიხის ცნობილ ნაშრომში „Sprachen in Kontakt“ (1977) ავტორი ასხვავებს კონტაქტის შედეგად წარმოშობილ ფენომენებს, ერთი მხრივ, ცოცხალ მეტყველებასა და, მეორე მხრივ, ენაში, როგორც *Langue* (Weinreich 1977:27-28). კლაუს ციმერმანმა დიფერენციაციის შემდეგი მეთოდები შემოგვთავაზა:

1) სხვაობა მოკლევადიან და გრძელვადიან ფენომენებს შორის;

2) სხვაობანი ფენომენებს შორის, როცა ისინი, ერთი მხრივ, ენის სოციალურ მხარეს, ხოლო, მეორე მხრივ, მის სტრუქტურას ეხებიან. მოკლევადიანი ფენომენების შემთხვევაში, რომელიც ენის სტრუქტურულ მხარეს მოიცავს, ციმერმანი ორ ფაქტორს გამოყოფს:

1) *ნარეკობა*, რომლის ქვედა საფეხურებად მას ინტერფერენცია, ე. წ. code-switching (სამეტყველო კოდის ცვლა - ერთიდან მეორეზე გადასვლა და პირიქით) და ტრანსფერენცია წარმოუდგენია;

2) *გაადვილება* (Vereinfachung). ეს არის სტრატეგია, რომლითაც მიიღწევა კომუნიკაცია ენობრივი ბარიერის არსებობის დროსაც. ე. წ. „foreigner talk“ წარმოადგენს ენის გაადვილებულ ფორმას, რომელსაც იყენებს ამ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდი უცხოელთან კომუნიკაციის მისაღწევად (Zimmermann 1992:50). ამ გზით ნასწავლ ენას, როგორც წესი, „გატეხილ ენას“ უწოდებენ (Ferguson, De Bose 1977:108).

გრძელვადიანი ფენომენების რიგში ციმერმანთან ლექსიკური ნასესხობები გვხვდება.

მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ენათშორისი კონტაქტები არ იყოს დაფიქსირებული. იქაც კი, სადაც ორენოვანი საზოგადოება არ არსებობს,

სხვადასხვა გზით (ვაჭრობა, დიპლომატია, ტურიზმი) მყარდება კონტაქტი ენებს შორის. პირველი პროფესიული ენა წარმოიშვა გაცხოველებული ვაჭრობის შედეგად

ხმელთაშუაზღვისპირეთში. ასევე არსებობს მონაცემები რუსულ-ნორვეგიული შერეული ენის შესახებ, რომელზეც მეთევზეები მეტყველებდნენ. ენობრივი კონტაქტების შედეგად წარმოშობილი ენების საუკეთესო ნიმუშებია პიჯინი და კრეოლი.

ხშირმა მასობრივი გადაადგილებებმა, კოლონიალიზმმა და საზღვრების მუდმივმა გადაწევამ ბევრ ქვეყანაში ორენოვნება ან სულაც მრავალენოვნება დაამკვიდრა. არსებობს ქვეყნები, სადაც ერთმანეთის გვერდით რამდენიმე ენა თანასწორუფლებიანად ფუნქციონირებს სახელმწიფო ენის სტატუსით (შვეიცარია, ლუქსემბურგი, ბელგია, ინდოეთი, კანადა და სხვ.). შესაბამისად, ამ ქვეყნებში საზოგადოება ორენოვანი ან სულაც მრავალენოვანია.

საინტერესოა ენობრივი კონტაქტები ერთი საზოგადოების შიგნით, როცა საზოგადოების ერთი ნაწილი ორენოვანია, მეორე კი - არა. ასეთ ვითარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა დომინანტია ერთი ენა, რომელზეც მეტყველებს საზოგადოების ყველა წევრი და, შესაბამისად, უმეტესად ამ ენაზე ხდება კომუნიკაცია. ამავე დროს საზოგადოების ერთი ნაწილი მეტყველებს დამატებით სხვა ენაზე.

ენათშორისი ინტერფერენციის ცნება

ბილინგვი ადამიანის მეტყველებაში ხშირად ხდება ორი სხვადასხვა კოდისათვის დამახასიათებელი ნიშნების ზედდება, ანუ ინტერფერენცია, რომელიც განიმარტება როგორც ბილინგვის ერთი რომელიმე ენის მეორეზე ნებისმიერი ზემოქმედება. ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ არაკონტროლირებადი პროცესი. შეგნებულ ნასესხებობებს ინტერფერენციასთან არ აკავშირებენ. ინტერფერენციის მიმართულება შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. უფრო ხშირად გამოყენებადი ენა უფრო ადვილად მოქმედებს მეორეზე. ამის აღმოჩენა საკმაოდ ადვილია იმ ადამიანთა

მაგალითზე, რომლებიც წლების განმავლობაში სხვა ქვეყანაში ცხოვრობენ (ლაღარია 2002:87).

ჩვეულებრივ, ეს არის მეორე ენის გრამატიკულ კატეგორიათა აღქმა საკუთარი ენის შუქზე. მაგალითად, რუსულად მოლაპარაკე ქართველებს ყოველთვის უჭირდათ გრამატიკული სქესის გამოხატვა, ქართულად მოლაპარაკე სომხები კი ხშირად ცვლიან მოთხრობით ბრუნვას სახელობითით. საინტერესოა ამ მხრივ, რომ ზოგჯერ ინტერფერენციის მიმართულება საპირისპიროა, მაგალითად ძნელი წარმოსადგენია, რომ შემდეგი გამოთქმების ავტორებმა აუცლებლად კარგად იციან რუსული ენა: «გაყიდვაშია» (იყიდება), «საქმეშიაშია» (საქმეისაა), «როგორცწესი» (ჩვეულებრივ). ამ ლექსიკური ინტერფერენციის მიზეზი, ალბათ, საგაზეთო და ოფიციალური ტექსტების უხარისხო თარგმნის მრავალწლიანი წერილობითი ტრადიციაა. სამაგიეროდ, შორისდებულ «ნუ»-სხშირი გამოყენება («ნუ, რავიცი» და ა. შ.) ზეპირი ინტერფერენციის მაგალითია. საზოგადოდ, ინტერფერენცია ინდივიდის პიროვნული თვისებაა, მაგრამ გარკვეულ ენობრივ სიტუაციაში მანშეიძლება საზოგადო ხასიათი მიიღოს და ენაში დამკვიდრდეს, რასაც ახლახანმოყვანილი მაგალითები მოწმობს (ლაღარია 2002:89).

თარგმანი როგორც ბილინგვიზმის ნაირსახეობა

თარგმანი თავისებური სახის ბილინგვიზმის სიტუაციაა. სხვა ორენოვანი კომუნიკაციის შემთხვევებთან შედარებით თარგმანის თავისებურ ხასიათს აღნიშნავდა თარგმანის თეორეტიკოსი ფრანგი ჟ. მუნენი, რომელიც მის მიერ სფორმულირებულ თარგმანის განმარტებაში წერდა: “თარგმანი არის ენების კონტაქტი და ბილინგვიზმის ფაქტი. მაგრამ ბილინგვიზმის ეს ფაქტი ძალზედ თავისებურ ხასიათს ატარებს და არ ემორჩილება ზოგად კანონზომიერებებს. თარგმანი ენების კონტაქტის სიტუაციას წარმოადგენს. ის შეიძლება აღწერილი იქნას როგორც ასეთი კონტაქტის უკიდურესი შემთხვევა, როდესაც ბილინგვიზმის ჩვეული შედეგებისადმი წინააღმდეგობა უფრო გააზრებული და ორგანიზებულია. ამ შემთხვევაში ორენოვანი კომუნიკანტი გააზრებულად

ებრძვის ენობრივი ნორმისაგან ნებისმიერ გადახრას, ნებისმიერ ინტერფერენციას,

რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ასეთი საინტერესო ფაქტების შეგროვების საშუალება ნათარგმნ ტექსტებში”. ამრიგად, თარგმანი არის ინტერფერენციისადმი გააზრებული წინააღმდეგობის ფაქტი. თარგმანის, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის ფაქტის მთავარი თავისებურება ისაა, რომ თარგმანი, თავისი არსით, ყოველთვის მეორადია. თარგმანი – ეს არის სამეტყველო აქტი, რომლის მიზანი არა შექმნაა, არამედ უკვე არსებული სამეტყველო ნაწარმოების სხვა ენაზე აღდგენაა. თარგმანის ეს მნიშვნელოვანი თვისება ქმნის თავისებურ სიტუაციას: მთარგმნელი აღმიჩნდება არა მხოლოდ ორი ენის სისტემის გავლენის ქვეშ, არამედ ერთ-ერთი ენის ნიშნებში მატერიალიზირებული ცნებების ქვეშ. სწორედ ეს “მესამე ძალაუფლება” იწვევს ისეთ მოვლენას, როგორცაა მთარგმნელობითი ინტერფერენცია.

1) მთარგმნელობითი ინტერფერენცია

მთარგმნელობითი ინტერფერენცია ენობრივი სისტემის ნებისმიერ დონეზე იჩენს თავს. უფრო ხშირია ინტერფერენციის შემთხვევები ასიმეტრიული ბილინგვიზმის შემთხვევაში, როდესაც ერთი ენა დომინირებს.

ფრანგი მკვლევარი ჟ.მუნენი თვლის, რომ თარგმანი - ბილინგვიზმის განსაკუთრებული სახეობაა, თარგმანი სხვადასხვა ენების კონტაქტია და ბილინგვიზმის ფაქტია, მაგრამ მისი ის განსაკუთრებული ფორმა, როდესაც ორენობრივი კომუნიკანტი მაქსიმალურად ებრძვის ნებისმიერ ენობრივ ინტერფერენციას. ეს ბრძოლა მიმართულია წყარო ენის წინააღმდეგ, ანუ, მთარგმნელი ქმნის ტექსტს მეორე ენაზე (თარგმნის აქტიური ფაზა) და ცდილობს პასიური ფაზის ენობრივი სისტემა არ გამოვლინდეს.

მაგრამ მთარგმნელობითი პროცესის სპეციფიკა, რაც მთავარია, იმაში გამოიხატება, რომ თარგმანის შედეგად ყოველთვის მეორადი ტექსტი იქმნება. სხვა საკომუნიკაციო აქტი იდეალურ არსებას გადააქცევს მატერიალურ ტექსტად, თარგმანს კი მატერიალური საფუძველი გააჩნია. ამიტომ ეს ბადებს მთარგმნელობითი ინტერფერენციას, რომელიც დინამიური ბილინგვიზმის

პირობებში იჩენს თავს. დინამიური ბილინგვიზმის პირობებში არა მარტო ენობრივი, არამედ კულტურული ინტერფერენცია შეიმჩნევა.]

მთარგმნელობითი ინტერფერენციის შედეგად აგრეთვე ხდება მოდალობის გაორმაგება: ანუ წყარო ტ-ს ავტორის სუბიექტურ ხედვას ემატება, გარკვეულ წილად, მთარგმნელის სუბიექტური აზრი. მთარგმნელი არა რეალურ გარემოს გამოხატავს ტექსტში, არამედ რეალობის მოდელს.

2) თარგმანი და ენობრივი უნივერსალები

ამერიკული მეცნიერი, თარგმნის თეორეტიკოსი და ეთნოლინგვისტი იუდჟინ ნაიდა აღნიშნავდა, რომ განსხვავების გარდა, ეროვნულ ენებს გააჩნია უამრავი დამთხვევები, მაგალითად, ობიექტების ნომინაცია (არსებითი სახელები) და ქმედებების ნომინაცია (ზმნები), დამხმარე ელემენტები - კავშირები, ნაწილაკები და სხვ. უამრავი დამთხვევა სემანტიკის სფეროშია: მაგალითად, ფართო სინონიმის ცნება, რომელიც ენობრივი სესხების შედეგია.

მთარგმნელობითი პრაქტიკა გვარწმუნებს იმაში, რომ ენობრივი სისტემებს შორის არის ბევრი უნივერსალური კატეგორია (ნათესავი ენებში ან ერთ ტიპოლოგიური ჯგუფის ენებში მეტია), მაგრამ ეროვნული სპეციფიკაც.

მთარგმნელი როგორც ბილინგვი

თანამედროვე საზოგადოებაში არა მარტო ბილინგვები, არამედ პოლილინგვებიც მრავლად არიან, მაგრამ მთარგმნელობითი საქმიანობა გააქტიურების პროცესშია, ვინაიდან მთარგმნელი-ბილინგვი ფლობს ორთავე ენას მისი დამატებითი კონოტაციებით, სოციალურ-კულტურული ფონით და ასე შემდეგ. მაგრამ, როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ბილინგვი-ადამიანის ენობრივ რეპერტუარში ბევრი რამ განსხვავებულია: მეორე ენის შესწავლის მიზეზები, ათვისების დონე, ფუნქციონირების სფერო და სხვ., შესაბამისად გამოიყოფა ბილინგვების განსხვავებული ტიპები. ასე, მაგალითად: ლი ვეი ასახელებს ბილინგვიზმის დაახლოებით 35 ტიპს. წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

- 1) achieved/ late bilingual - ჩამოყალიბებული ან გვიანდელი ბილინგვი;
- 2) ambilingual/ balanced bilingual - დაბალანსებული ბილინგვი, როდესაც ენათა ცოდნის დონე თანაბარია;
- 3) ascribed/ early bilingual - ადრეული ბილინგვი;
- 4) asymmetrical / receptive/ passive/ semibilingual bilingual - რეცეპტული / პასიური ბილინგვი - ის, ვინც იგებს მეორე ენაზე საუბარს, მაგრამ თავად მეტყველება ან წერა აღნიშნულ ენაზე არ შეუძლია;
- 5) compound bilingual - ბილინგვი, რომელიც ერთდროულად შეისწავლის ორ ენას, ხშირად ერთსა და იგივე კონტექსტში;
- 6) consecutive/ successive bilingual - მიმდევრობითი ბილინგვი, რომელიც მეორე ენის შესწავლის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ გადადის მისი ათვისების შემდეგ საფეხურზე;
- 7) diagonal bilingual - დიაგონალური ბილინგვი, რომელიც ფლობს მეორე არასტანდარტულ ენას ან დიალექტს;
- 8) dominant bilingual - დომინანტი-ბილინგვი, რომელმაც იცის ერთი ენა უფრო მაღალ დონეზე, იყენებს მას უფრო ხშირად, ვიდრე სხვა ენას თუ ენებს;
- 9) dormant bilingual - მძინარე ბილინგვი-ემიგრანტი, რომელიც სხვა ქვეყანაში მოხვედრის შემდეგ ვერ იყენებს საკუთარ ენას აქტიურად;
- 10) minimal bilingual - მინიმალური ბილინგვი, რომელიც ფლობს მეორე ენაზე მხოლოდ რამოდენიმე სიტყვას ან ფრაზას;
- 11) natural / primary bilingual - ბუნებრივი ბილინგვი, რომელმაც შეითვისა ენები ბუნებრივ პირობებში ზედმეტი მუშაობის გარეშე;
- 12) productive lingua - პროდუქტიული ბილინგვი, რომელსაც არა მარტო ესმის, არამედ ლაპარაკობს და წერს ორ ან სამ ენაზე;
- 13) recessive bilingual - რეცესიული ბილინგვი, რომელიც თანდათანობით კარგავს ენის აღქმისა და მეტყველების უნარს, რადგანაც არ იყენებს მას ხშირად;
- 14) subordinate bilingual - ბილინგვი, რომელიც ერთმანეთში ურევს ენებს;
- 15) vertical bilingual - ბილინგვი, რომელმაც იცის მონათესავე ენები ან დიალექტები.

მთარგმნელებისთვის, პირველ რიგში, დამახასიათებელია შეძენილი (არაბუნებრივი) პროდუქტიული ბილინგვიზმი, რაც არ გამოირიცხავს ბუნებრივ ბილინგვიზმს. ვარესი შემთხვევაა როდესაც მთარგმნელი - დომინანტი-ბილინგვია, მისი პროფესიული სფერო შვიწროებული იქნება, ვინაიდან მას გაჭირდება ზეპირი თარგმანი.

ცნობილია ქართულენოვანი ბი-პოლილინგვები: საიატ-ნოვა, ჭაბუა ამირეჯიბი, და სხვ.

საკვანძო ცნებები:

ბილინგვიზმი, ენობრივი კონტაქტები, ბილინგვი, პოლილინგვი, ინტერფერენცია, ბუნებრივი ბილინგვიზმი, დომინანტი-ბილინგვი, გრამატიკული ინტერფერენცია, სინტაქური ინტერფერენცია, მთარგმნელობითი ბილინგვიზმი, მთარგმნელი-ბილინგვი.

კითხვები:

- 1) გაანალიზეთ ენობრივი კონტაქტების სხვადასხვა მაგალითები?
- 2) ბილინგვიზმის ცნება ლინგვისტიკაში.
- 3) რატომ ითვლება თარგმანი ბილინგვიზმის განსაკუთრებულ სახეობად?
- 4) ინტერფერენციის ცნება და მათი მაგალითები.

- 5) გაიაზრეთ ლექსიკური ინტერფერენციის მოვლენა კონკრეტულ მაგალითებზე.
- 6) დაახასიათეთ ბილინგვიზმის განსაკუთრებული ტიპები.
- 7) დაახასიათეთ ბილინგვი-მთარგმნელის 'ენობრივი პორტრეტი'.

დისკუტი თემაზე: „ბილინგვიზმი - ენის ცოდნაა თუ ???

ბილინგვები იცინიან

ბუნებრივი ბილინგვიზმის ხშირი მაგალითებია, როდესაც ბავშვი იზრდება ორენოვან ოჯახში. ამ შემთხვევაში ის ხშირად თავისებურად წყვეტს ენათშორისი ომონიმების პრობლემას. ცნობილია, რომ სიტყვა [MAMA] რუსულ ენაში დედას ნიშნავს, ქართულში კი - მამას. ქართულ-რუსულ ოჯახში გაზრდილმა ბილინგვმა (პეტრე თ.) ადვილად გადალახა ეს დამთხვევა: რუს დედას მიმართავდა - *mama*, და ქართველ მამას - *მამიკო*.

თემა VI

ადეკვატურობა და ეკვივალენტობა თარგმანში.

ფორმა და შინაარსი. უთარგმნელობის თეორია

- 1) ადეკვატური თარგმანის ცნება;
- 2) სემანტიკის თარგმნის პრობლემები;
- 3) ლექსიკური ტრანსფორმაციები.

ადეკვატური თარგმანის ცნება

Targmanis procesSi xdeba gamoxatvis gegmis erTeulis Secvla, anu icvleba enis erTeuli, magram ucveleli rCeba (ufro zustad SedarebiT ucveleli) Sinaarsis gegma (sxvanairad rom vTqvaT teqstiT gamoxatuli informacia).

aqedan SeiZleba davaskvnaT Semdegi: yvelaze mniSvnelovani problema, romelic unda gadaiWras erTis mxriv mTargmneli-praqtikosis mier Targmanis praqtikulad Sesrulebis procesSi da meores mxriv Teoretikosis mier am procesis aRweris (modelirebis) dros, aris sawyis teqstSi minimaluri erTeulis, an rogorc mas uwodeben, Targmanis erTeulis gansazRvra (unit of translation).

TargmanmcodenobaSi yvelaze mTavar problemas warmoadgens Targmanis principis dadgena, risi mixedviTac dgindeba Sesabamisoba wyaro da samizne enebS Soris, da mTargmnelobiTi saqmianobis modelebis Seqmna.

Cndeba kiTxva imis Taobaze, Tu ra SeiZleba CaiTvalos Targmanis erTeulad mTargmnelobiTi saqmianobis ganxorcielebis dros. rogorc mTargmnelobiTi saqmianobis gamocdileba ucvenebs da amave dros amtkicebs enaTmecniereba, sxvadasxva enis struqturul-semantikuri sistemebi ar emTxveva erTmaneTs, maTSi Sinaarsis gegma gansxvavebulad aris warmoceni. sxvanairad rom vTqvaT, erTi da igive Sinaarsi sxvadasxva enebSi ar gamoixateba erTnairad.

zogierTi Targmanis Teoretikosis SexedulebiT, romeliTa azris asociereba nebismier skolasTan SeuZlebelia, Tvlis, rom Targmanis erTeuli anu translatema aris sityva. am mosazrebis mixedviT Targmani unda Sesruldes sityvis doneze.

Taviseburi warmodgena qondaT Targmanis erTeulze bibliis da sxva religiuri literaturis Targmanis Teoretikosebs. religiuri literaturis mTargmnelebs gulrwfelad sjerodaT, rom nebismieri dasoreba „RmerTis sityvidan“ aris mkrexeloba.

Targmanis erTeulis saxiT sityvaze aqcentis gakeTeba SedarebiT ufro gvian periodSic xdeboda.

Tumca, SemdgomSi rogorc Targmanis Teoretikosebi, aseve TviT mTargmneli-profesionalebi mividnen im daskvnamde, rom SeuZlebelia sityva yovelTvis iyos gamoyenebuli Targmanis erTeulad, rom sityva sityviT Targmanma SesaZlebelia xeli SeuSalos mxatvruli teqstebis avtorebis azrTa srulyofil da mTlian gaxsnas da mis

gadmotanas samizne enaze, ise rom azris SenarCunebasTan erTad SenarCunebuli iyos enobrivi Taviseburebebi.

ese igi Tu SeuZlebeli sityva iyos Targmanis erTeuli, maSin, rogorc Cans, unda moinaxos raime sxva gamosavali da Targmanis problema sxva enobrivi doneze unda gadaiWras.

saintereso kidev erTi Teoretikosis j.draidenis Sexeduleba. man gaakeTa zemoT mocemuli situaciidan erTerTi gamosavalis SeTavazeba. misi pozicia mdgomareobs faqtiurad calkeuli sityvebis rolis ignorirebaSi. Targmanis istoriaSi es meTodi cnobilia rogorc draidenis swavleba parafrasiz Sesaxeb. „britanul enciklopediaSi“, romelic gamoica 1911 wels, mocemulia didi statia, romelic mimoixilavs Targmans. es statia sakmaod detalurad ganxilavs draidenis meTodsac.

imisaTvis, rom Targmani ganxorcieldes idealurad, mecneri izleva Semdeg rekomendacias: „mTargmneli, romelic ganaxorciebs Targmans, da romelic gadmoscems originalis Zalas da suls garkveul doneze, arasodes ar unda gaCerdes misi avtoris sityvebze. is unda mieces mis samusaos mTlianad, mTeli arsebiT, srulyofilad unda Cawvdes avtoris geniassa da Canafiqrs, Temis xasiaTs, xelovnebisa Tu im sagnis Taviseburebas, razec aris saubari teqstSi; meores mxriv is mTargmneli, romelic akeTebis kopirebas sityvasityviT, kargavs TviTon nawarmoebis suls originalis gadmocemis damRleli procesis ganxorcielebiT“. ai aseTi gaxlavT jon draidenis rekomendacia (draideni 1911:183).

ramdenad ganxorcielebadia es rekomendacia? SeuZlia Tu ar am rekomendacias Seasrulos erTgvari orientaciis roli Cveni drois mTargmnelisTvis? imaze damoukideblad, viziarebT Cven am rekomendacias Tu piriqit- eWv qveS vayenebT mis perspeqtulobas, unda vaRiaroT, rom es rekomendacia didi xnis manZilze iyo etaloni mxatvruli nawarmoebebis mTargmnelebis moRvaweobisTvis.

identur pozicias iWeren Targmanis Teoriis sxva warmomadgenlebic. mkvlevarTa didi nawili moiTxovda Tavdapirvelad originalis „suraTis“ erTgvar azrobrivi danaxvas. maTi azrit, mTargmnelma ki ar unda gadaTargmnos sityva an winadadeba, aramed unda „daiWiros“ da xelaxla gadmosces azrebi da grZnobebi. mTargmnelis SemoqmedebiTi Sesazleblobebi gamoixateba mTargmnelis mcdelobaSi ufro meti sizustiTa da

ტრანსფორმაცია, გენერალიზაცია, ანტონიმური თარგმანი, ახსნა-განმარტებითი თარგმანი, პროფესიული (მთარგმნელობითი) კომპეტენცია, პრაგმატული ადაპტაცია, ეკვივალენტური და არაეკვივალენტური თარგმანი, გრამატიკული ტრანსფორმაცია, სტილისტური ტრანსფორმაცია.

კითხვები:

- 4) განმარტეთ ტერმინი „მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია“.
- 5) ჩამოყალიბეთ ტრანსფორმაციების მნიშვნელობა.
- 6) ლექსიკური ხერხების თავისებურებანი.
- 7) გრამატიკული ტრანსფორმაციების თავისებურებანი.
- 8) ლექსიკური ხერხების თავისებურებანი.
- 9) სტილისტიკური ტრანსფორმაციების თავისებურებანი.

მთარგმნელები გვაფრთხილებენ:

გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

თემა X

თარგმანის პრაგმატული ასპექტები

- 1) თარგმანი და სამყაროს ენობრივი სურათი
- 2) პრაგმატიკა და თარგმანის პრაგმატული ასპექტი,
- 3) ორიენტაცია ადრესატზე პრაგმატული ადაპტაცია.

თარგმანი და სამყაროს ენობრივი სურათი

ეს არის - ფსიქოლინგვისტიკაში გამოყენებადი ტერმინი, ამ ტერმინით წარმოვადგენთ რთულად განსაზღვრად ფენომენი; ვერბალიზირებული ნაციონალურ ენაში,ლექსიკური ხერხებით მენტალური მოქმედების შედეგი. უფრო ფართო გაგებით ენობრივი სამყაროს არსი ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის სამეტყველო მოქმედების პროცესს (Ушакова 2003: 6-17).

ენობრივი ცნობიერება მოიცავს, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოდ, სემანტიკონის დამოკიდებულება ლექსიკონთან: ლექსიკური ერთეულების ურთიერთკავშირი, განაპირობებული საკუთარი კოგნიტიური და კომუნიკაციური გამოცდილებით. დამთხვევა კოგნიტიური და კომუნიკაციური გამოცდილების, ენობრივი კოლექტივის წევრებისა, განპირობებულია სემანტიკონის მსგავსების განაპირობებს შესაძლებლობას ეთნოსის ენობრივი ცნობიერების რეკონსტრუქციას, რომელიც გამოიყენებს ეროვნულ ენას.

ეთნოენობრივი ცნობიერება - ეს ანსაზღვრავს კოგნიტიურ-ემოციური და აქსეოლოგიური სტრუქტურის, ეროვნული მარკირება, რომელიც განაპირობებს *вариабельность* ერთი ენიდან მეორეში (Привалова 2005:7). ამასგარდა „ეთნოენობრივი ცნობიერების სახეს შეადგენენ ფუნქციური, ოპერაციული ერთეულები სამი სივრცის: ლინგვისტური, კოგნიტიური, და კულტურული. ეს

სამი სივრცე განსაკუთრებული სახით არის სტრუქტურირებული და შეადგენს ფუნქციური ელემენტებისგან, თითოეული ცალკეულ ინფორმაციულ კვანტს (Привалова 2005:7).

არა არის შემთხვევითი, რომ ენობრივი ცნობიერების კვლევა ეხება კულტურის სფეროს რამდენადაც ყველა სოციუმის წევრს. კულტურულადა განპირობებული, როგორც გვხვდება სამყაროს სურათის წევრია ენობრივი ცნობიერების. როგორც ვხედავთ, სამყაროს სურთი არის ერთერთი კომპონენტი ენობრივი ცნობიერების. ეს არის მთლიანი ანარეკლი რეალობისა შეადგენს ფუმესორიენტირებასა და დაგეგმვას ქცევისა, ამასთან კომუნიკაციურისაც. როგორც ჩანს ენობრივი სამყაროს სურათი წარმოადგენს, ერთი მხრივ, ფუნქციონირებას ენობრივი ცნობიერებისა, ეროვნული ენის გრამატიკაში და ლექსიკონშია დაფიქსირებული; მეორე მხრივ - წარმოადგენს კომუნიკაციური სიტუაციის ორიენტირებას წარმოქმნისა და აღქმისა მეტყველებისა. აზროვნება მოიცავს (сопряжено) ცნობიერებას, მაგრამ არაა თანასწორი. აზროვნება წარმოადგენს ერთერთ უმთავრეს ფსიქოლოგიურ ფუნქციას, ინფორმაციის გადამუშავების უზრუნველყოფი სხვადასხვა ამოცანის გადაჭრის მიზნით. აზროვნება ერთერთი პირობა ცნობიერების ჩამოყალიბებაში.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უფრო აუცილებელი ხდება ენისა და სოციოკულტურული პროცესების კომპლექსური შესწავლა, მათი ფუნქციონალური ურთიერთქმედების, საზოგადოების ისტორიულ განვითარებისას. მიზანმიმართულება ასეთი მიდგომის განპირობებულია, კერძოდ, შეუძლებლობთ მთელი რიგი მნიშვნელოვანი ენობრივი მოვლენების იზოლირება საზოგადოების ფუნქციონირების პირობიდან, განვითარება კულტურის.

შესაბამისად გათვალისწინება ენობრივი კონტექსტის გაჩნია ძალიან დიდი მნიშვნელობა კითხვის ადეკვატური განალიზებისათვის, რომელიც არის ისეთი სამეცნიერო დისციპლინების მხედველობის არეში, როგორც კულტუროლოგია, სოციოლოგია, სოციოლინგვისტიკა, ლინგვისტუტი ანთროპოლოგია, ისტორია და ა.შ.

რობერტ რეტფილდი ამბობს, შემეცნება არის პროცესი. ხოლო მისი შედეგი ცოდნა. ადამიანი შეიცნობს იმისთვის, რომ ქონდეს წარმოდგენა საგნებზე, მოვლენებზე; შეიცნობს იმისათვის, რომ მიიღოს და ქონდეს ცოდნა მსოფლიოს შესახებ. და ესეც ფილოსოფიური კატეგორია არის. მაგრამ ჩვენთვის აუცილებელია სამუშაო განმართება. დავეყრდნობით შემდეგს:

ცოდნა - ეს შემეცნების შედეგია

ცოდნა - ეს იდეალური სახეა, ეს წარმოგენა საგანსა თუ რეალიაზე

ცოდნა - ეს ურთულესი სისტემა სოციალური მეხსიერებისა

ცოდნა აყალიბებს კულტურას - ის გადაეცემა თაობიდან თაობას

კულტურა ზეგავლენას ახდენს აზროვნების სტლზე

ამრიგად, სამყაროს სურათის ფორმირების საფუძველში დევს კოგნიტიურობა, ადამიანის შემეცნებითი მოქმედება. არა მხოლოდ შემეცნების პროცესი, არამედ მისი შედეგი.

ამრიგად, ადამიანი აღიქვამს სამყაროს როგორც სურათს

სამყაროს სურათი - ეს არის განსაზღვრული ხედვა და კონსტრუირება მსოფლიოსი შესაბამისი ლოგიკური ხედვით.

სამყაროს სურათი ადამიანს უჩნდება თავისი ყოველნაირი კონტაქტით სამყაროსთან.

სამყაროს სურათი - ეს გლობალური სახეა მსოფლიოსი, რომელიც არასდროს არა სამყაროს სარკისებრი ანარეკლი.

სამყაროს სურათი - ეს ისეთი ხედვა სამყაროს, რომელიც ამა თუ იმ ხალხებისათვის არის დამახასიათებელი, როგორც საზოგადოების წევრების წარმოდგენა საკუთარი თავის და თავისი ქმედებების შესახებ, თავიანთი აქტიურობის მსოფლიოში.

ყოველი ენა თავიანთ მატარებლებს უფორმირებს განსაზღვრულ მსოფლიოს სახეს, წარმოდგენილი ენაში სემანტიკური გაგების სტილით, დამახასიათებელი სახელდობრ ამ ენისთვის: ასოციური ექსპერიმენტებიც, სირთულეებიც, რომელიც ჩნდება კულტურათშორისი ურთიერთობის და თარმნის დროს, ამტკიცებენ ამას.

კულტურულ-ეთნიკური კომპონენტი, რომელიც აირეკლავს ე.წ. „სამყაროს ენობრივ სურათს“ მის მატარებლებს როგორც ფაქტი გაერთიანებული ცნობიერებისა, აღიქმება ფრაგმენტებად ენის ლექსიკურ ერთეულებში, თუმცა, თვით ენა საკუთრივ სამყაროს არ აირეკლავს. ის აირეკლავს მხოლოდ წარმოდგენის ხერხს ამ სამყაროსი ეროვნული ენობრივი პიროვნების, ამიტომაც გამონათქვამი „სამყაროს ენობრივი სურათი“ რაღაც დონით პირობითია: მსოფლიოსი სახე, რაწმოქმნილი მხოლოდ ერთი ენობრივი სემანტიკით, უფრო სქემატურია.

თანამედროვე ლინგვისტიკაში მიღებულია, რომ ყოველი ენა აირეკლავს თავის საკუთარ სამყაროს სურათს, რომელიც აირეკლება ენაში. ამიტომაც ლინგვისტიკაში ჩვენ ვამბობთ სამყაროს ენობრივი სურათის შესახებ. ყოველი ხალხის სიტყვებში აირეკლება თუ როგორაა გაგებული მსოფლიო. გავიხსენოთ მაგალითი თუ როგორ განსხვავებულად აღიქვამენ დროს ხალხი და კულტურა, იმის შესახებ, როგორ ხედავენ ფერებს, როგორ ცვლიან შეხედულებებს ნახვალსახელები და სქესი ენაში. აქვე შეიძლება განვიცილოთ მაგალითად, თოვლი; თუ როგორი განსხვავებული დასახელებები გააჩნია, რდგან ჩრდილოეთში მცხოვრები ხალხებისათვის ის წარმოადგენს სამყაროს საბაზო ხედვას და ეს რომ შევადაროთ აფრიკაში მცხოვრებ ერებს, თოვლი იქ საერთოდ არ არის და მათვის მას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, არ აქვს სიტყვა - ნომინაცია.

რა გამომდინარეობს ზემოთ აღნიშნულიდან?

ყოველი ერი თავისებურად ხედავს სინამდვილეს რომელიც ირგვლივ გვაკრავს, და ეს ფაქტი აირეკლება ენაში.

სხვადასხვა ენის მატარებლები სხვადასხვაგვარად ყოფენ გარემომცველ სამყაროს ფრაგმენტებად, რომლებიც ღებულობენ დამოუკიდებელ დასახელებებს.

ზოგიერთი საგნის და მოვლენების დასახელებებს არ გააჩნიათ ზუსტი შესატყვისი სხვა ენებში.

განსხვავება სამყაროს აღქმის გამოიხატება ენაში არა მარტო ლექსიკის დონეზე, არამედ გამატიკის, სიტყვათწარმოების, ფრაზეოლოგიურ ფონდში,

მორფოლოგიაში. მაგრამ სახელდობრ ენის ლექსიკა, სიტყვის სემანტიკა მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით არის სათავსო, სადაც თავმოყრილია ხალხის გამოცდილება მსოფლიოს გააზრებისა.

ახლა კი შევეცდებით გავავრცოთ რაზეც ვისუბრეთ. რითი განსხვავდება „სამყაროს სურათი“ და „სამყაროს ენობრივი სურათი“?

ენობრივი სურათი - „სამყარო ენის სარკეში“. ენის ფაქტები - ეს არა მხოლოდ რაღაც კოდი და აზრის გადმოცემის ხერხი, არამედ, გუმბოლტის აზრით, ერის სულის ანარეკლი.

სამყაროს სურათი - „ანარეკლი ადამიანის ფსიქიკაში საენობრივი გარემომცველ სინამდვილის“ (Леонтьев 1993:18; Красных 2003)

„ურთიერთქმედება რეალურ სამყაროსა და ენობრივს შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: რეალური სამყარო, ენა, საგანი, მოვლენა, სიტყვა. თუმცა სამყაროსა და ენას შორის დგას მოაზროვნე ადამიანი, ენის მატარებელი“ (Тер-Минасова 2000:39).

სამყაროს ენობრივი სურათი, არის შუამავალი ადამიანსა და რეალობას შორის, აფიქსირებს ნაციონალურ-სპეციფიკურ სამყაროს ხედვას. სამყაროს სამეცნიერო სურათი - ეს არის ადამიანის პროფესიულ შემეცნებითი მოქმედების ნაყოფი, რომელშიც აირეკლება მთლიანი კაცობრიობის ამეცნიერო მოქმედების შედეგი;

ეს სურათი აირეკლავს სამყაროს ობიექტიურ ცოდნას, აქტიური ამდროინდელ საფეხურზე სამეცნიერო აზრის. სამყაროს ენობრივი სურათი დაბადებულია ყოველდღიური შემეცნებით. მკლევარები ასეთ სამყაროს ენობრივ სურათს უწოდებენ გულუბრყვილოს. პარალელურობა ამ სისტემის ცნობილი დონით პირობითია, ეს სისტემა ურთიერთგამჭოლია.

სამყაროს სურათის გაგება მთლად არ არის გამოკვეთილი ანთროპროცენტრულ ლინგვისტიკურ პარადიგმაში, და საქმე იმაშია, რომ ენობრივის გარდა გამოყოფენ სამყაროს სამეცნიერო სურათს, სამყაროს გულუბრყვილო სურათს, კნცეპტუალ სურათს, კოგნიტიურს, ამას გარდა ნ. ალიფერენკოს სამყაროს მდელის გაგებას ასაბუთებს (Алифференко 2012:49).

დასასრულს სურვილი გვაქვს მოვიყანოთ ტერმინასოვას განსაზღვრება, რომელიც თვლის, რომ ენა აირეკლავს სინამდვილეს „ორ ზიგზაგს შორის: რეალურ სამყაროდან აზროვნებისაკენ და აზროვნებიდან ენამდე“ (Тер-Минасова 2000:40).

ამრიგად, „სამყაროს ენობრივი სურათის“ გაგება, ხალხთან, ეთნოსთან, ნაციასთან კავშირში და პიროვნების ეროვნულ ხასიათთან.

პრაგმატული ადაპტაციის ცნება

პრაგმატული ადაპტაცია მეტად ფართო ცნებაა. მიჩნეულია, რომ არსებობს თარგმანის 3 სახე: (1) ენათშორისი, ანუ ერთი ენიდან მეორეზე, (2) ერთი ენის ფარგლებში და (3) ერთი სემიოტიკური სისტემიდან მეორეში. ამ პრინციპიდან გამომდინარე პრაგმატული ადაპტაცია შეიძლება შეეხოს ნებისმიერი სახის ტექსტს, რომლის ავტორი და ადრესატი ერთ ლინგვო-კულტურულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, მაგრამ დროთა განმავლობაში რეცეპტორს შეიძლება დასჭირდეს ტექსტის პრაგმატული ადაპტაცია. მაგალითად, დასავლეთში, განსაკუთრებით კი ამერიკაში ძალზედ პოპულარული გახდა კლასიკოსთა ნაწარმოებების მოკლე რეპროდუცირება, როდესაც შემოკლების დროს ტოვებენ ახალგაზრდებისათვის გაუგებარ დეტალებს. პრაგმატული ადაპტაციის კიდევ ერთი მაგალითია ცნობილ მხატვრულ ტექსტთა სლენგის ენაზე “თარგმნა.”

ენობრივ ნიშნებს შეუძლიათ გარკვეული პრაგმატული ზეგავლენა (სხვანაირად, კომუნიკაციური ეფექტი) მოახდინონ მკითხველსა თუ მსმენელზე. ესეთი ზეგავლენის ხასიათი სამი ძირითადი ფაქტორით არის განპირობებული:

პირველ რიგში, გამოთქმის შინაარსით, მეორე – ენობრივი ერთეულების თავისებურებებით, და მესამე – პრაგმატული ზემოქმედება დამოკიდებულია თავად რეცეპტორზე. ყოველი გამოთქმის მიზანია რაღაც კომუნიკაციურ ეფექტს მიაღწიოს, ამიტომაც მისი პრაგმატული პოტენციალი ამ გამოთქმის მნიშვნელოვანი ნაწილია. მთარგმნელისთვის მეტად მნიშვნელოვანია მიაღწიოს იმავე ზეგავლენას რეციპიენტზე, რისთვისაც მან უნდა შეინარჩუნოს

დედნის პრაგმატული პოტენციალი ან ერთგვარად შეცვალოს იგი.

აღსანიშნავია, რომ ორიგინალის პრაგმატული პოტენციალის შენარჩუნება არ წარმოადგენს თარგმანის პრაგმატული ადეკვატურობის აუცილებელ პირობას. გერმანელმა მეცნიერმა ა.ნოიბერტმა შემოგვთავაზა პრაგმატული ურთიერთობების 4 ტიპი. მისი გადმოცემის სირთულე კი დამოკიდებულია სათარგმნი ტექსტის ტიპზე. ყველაზე სრულად გადმოიცემა მეცნიერულ-ტექნიკური ტექსტების პრაგმატული მიზანი. საკმაოდ წარმატებულად ხდება სპეციალურად თარგმანისთვის განკუთვნილი ტექსტების (მაგალითად, ინფორმაციული და უცხოენოვანი აუდიტორიისათვის განკუთვნილი სხვა ლიტერატურა) პრაგმატული პოტენციალი. მხატვრული ნაწარმოების თარგმნისას ამის შესაძლებლობა შედარებით შეზღუდულია. ასეთი ტექსტები ხომ ორიენტირებულია იმ ენაზე მოსაუბრე ლინგვოკულტურული აუდიტორიისათვის, მაგრამ ზოგადად ყველა ადამიანისთვის აქვს რაიმე სათქმელი. ხოლო იმ ორიგინალების პრაგმატიკა, რომლებიც საკუთრივ მოცემული ენობრივი კოლექტივისათვისაა განკუთვნილი და არა თარგმანისთვის (საკანონმდებლო დოკუმენტები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური პერიოდიკა, განცხადებები და სხვა.) საერთოდ არ შეიძლება გადმოიცეს ადეკვატურად. ეს არ არის დამოკიდებული თარგმანის ხარისხზე, იგი ვერ გამოიწვევს თარგმანის ადრესატში იმავე რეაქციას. ასეთი იდენტურობის მიღწევა არც არის ყველა თარგმანის აუცილებელი მიზანი, ზოგ შემთხვევაში კი იგი პრინციპულად მიუღწეველია, რაც თარგმანის რეციპიენტის თავისებურებებით აიხსნება, ან შეუძლებელია რეციპიენტის რეაქციის წინასწარ განსაზღვრა და სხვ.

რიგ შემთხვევაში ორიგინალის ეკვივალენტური თარგმანი ასევე ინარჩუნებს პრაგმატულ პოტენციალს. მაგრამ როდესაც რეციპიენტი სხვა ენობრივ და კულტურულ კოლექტივს ეკუთვნის, ეკვივალენტური თარგმანი შეიძლება პრაგმატულად არაადეკვატური აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი იძულებულია მიმართოს პრაგმატულ ადაპტაციას, ანუ შეაქვს დედანში შესწორებები სოციალურ-კულტურული, ფსიქოლოგიური განსხვავებების გათვალისწინებით. პრაგმატული ადაპტაცია მიზნად ისახავს

უზრუნველყოს: შეტყობინების გაგება, ადეკვატური ემოციური ზემოქმედება.

როგორც აღვნიშნეთ, პრაგმატული ადაპტაციის დროს მთარგმნელის მიზანი ხშირად არის იმპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ექსპლიციტურში გადაყვანა. სწორედ ფონური ცოდნა, რომლის არსებობაზედაცაა გათვლილი ორიგინალი, ფარულად არის მოცემული ტექსტში, მხოლოდ იგულისხმება.

მაგ: She is the queerest woman. . . and she's a graduate of Bryn Mawr and on e of the oldest families in Philadelphia.

თარგმანი არ პასუხობს მკითხველის მოთხოვნებს, რადგანაც მისთვის გაურკვეველია თუ რას წარმოადგენს Bryn Mawr და შესაბამისად მთქმელის ირონიაც არ იგრნობა. ეს წინადადება შეიძლება შემდეგნაირად ითარგმნოს:

ძალზედ უცნაური ქალია . . . მაშინ როდესაც ბრინ მორის ქალთა პრესტიჟულ კოლეჯში სწავლობდა და ფილადელფიის ერთ-ერთ უძველეს ოჯახს ეკუთვნის.

ვიდრე საკუთრივ ადაპტაციის ხერხებზე გადავიდოდეთ, განვიხილოთ რა სახის ფონური ცოდნა არსებობს და რისი ადაპტაცია არის სავალდებულო, თუ ნაკლებ მნიშვნელოვანი. ჩვეულებრივ ფონური ინფორმაცია ან აქტუალურ ინფორმაციას შეიცავს, ან კულტურულ-ისტორიულ ინფორმაციას. უკანასკნელს განეკუთვნება ერის სულიერი და მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი საგნები და ცნებები, ანუ ყოველივე ის, რაც მხოლოდ მოცემული ერისთვისაა ნიშანდობლივი და არ მოეპოვება ანალოგი (რადგანაც თავად შესაბამისი ცნება არ არსებობს) თარგმანის ენაში. მათ რეალიებს უწოდებენ. ვინოგრადოვი თვლის, რომ უეკვივალენტო ლექსიკა არ არის შესაფერისი მათ აღსანიშნავად, რადგანაც საბოლოოდ, ყველა რეალიას მოეპოვება ესა თუ ის ვარიანტი.

პრაგმატული ადაპტაცია მდგომარეობს ორიგინალის ტექსტის რედაქტირებაში, მასში შეაქვთ კულტურული, ისტორიული დაზუსტებები,

ახსნა-განმარტებები, იმისათვის, რომ ეს ტექსტური ინფორმაცია აღიქვას ადამიანმა, რომელიც მიეკუთვნება სხვა კულტურულ საზოგადოებას და განსხვავებული ფონური ცოდნა გააჩნია.

ადაპტაციის ხერხები

პრაგმატული ადაპტაციის ხერხები მრავალფეროვნებით გამოირჩევა: კალკირება, შეცვლა, ტრანსფორმაცია, გამოტოვება, დამატება, ახსნა-განმარტებითი თარგმანი, კომენტარი და სხვ.

ა) დამატება/ტრანსლიტერაცია. დამატების ხერხი ხშირად გამოიყენება გეოგრაფიული პუნქტების, ტოპონიმების, საკუთარი სახელების გადათარგმნისას, მაგალითად: ისეთ გეოგრაფიულ სახელებს, როგორცაა *Niveada*, *Dorsket*, და ა.შ. ჩვეულებრივ უმატებენ “*მთა*,” “*პროვინციალ*,” “*საგრაფო*.” ფორმების, ადმინისტრაციული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გადატანისას მთარგმნელს ასევე შეიძლება დასჭირდეს განმარტებების დამატება, თავად სახელები კი ტრანსლიტერაციის გზით გადმოვა:

“Jupiter is 40 / owned by individual shareholders.

კომპანია “იუპიტერის” 40 / ინდივიდუალური აქციონერები ფლობენ.

Yesterday they had a talk with editor-in-chief of “Il Giornale.”

გუშინ მათ საუბარი ჰქონდათ გაზეთ “ჯორნალეს” რედაქტორთან.

ბ) ალიტერაცია და კალკა. უცხო ენობრივი კოლექტივის განსხვავებულ საყოფაცხოვრებო რეალიების გადატანის ხერხებს შორის აღსანიშნავია ალიტერაცია და კალკირება. თუმცა მათ უპირატესად ისეთი ენობრივი ერთეულების სათარგმნელად იყენებენ, რომლებიც დამკვიდრებულია თარგმანის ენის ნომინაციულ სისტემაში. **გ) ახსნა-განმარტება.** ეს ხერხი წარმატებით გამოიყენება ნაკლებად, ან სრულიად უცნობი რეალიების თარგმნისას. მაგალითად:

Would you like some Grappa?

გრაპა – ყურძნისგან დამზადებული არაყია. მისი სიტყვით ჭაჭა გადათარგმნა არამიზანშეწონილია, რადგანაც ქართულ რეალიას შემოიტანს. უბრალოდ “არაყით” გადმოტანისას კი იტალიურ კოლორიტს კარგავს. ამიტომაც მთარგმნელმა უბრალოდ გადმოიტანა სიტყვა მეორე ენაზე: გრაპას ხომ არ მიირთმევ? მისი მნიშვნელობა კი სქოლიოში ახსნა. იმავე ტექსტში მთარგმნელმა ალიტერაციით გადმოიტანა gin და angostura – ჯინი და ანგოსტურა, მაგრამ, რატომღაც არ ახსნა თუ რა არის ანგოსტურა – საჭმელი, თუ სასმელი და რა სახის.

განმარტება შეიძლება თავად ტექსტში მოვათავსოთ.

For supper we had Red Betty, which nobody ate.

ვახშამზე გვექონდა წითელი ბეტი, ტკბილი პუდინგი,

რომელსაც არავინ ჭამდა.

განმარტების პოზიციას წინადადებაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს: ის შეიძლება მოსდევდეს რეალიას, ან უსწრებდეს მას. მაგრამ უკანასკნელი ხერხი, ბრეუსის აზრით, უფრო მიზანშეწონილია, რადგანაც ერთგვარად ამზადებს მკითხველს უცხო სიტყვასთან შესახვედრად.

ტრანსლიტერაცია და კალკები განმარტებების თანხლებით იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც მთარგმნელს სურს შეუქმნას მკითხველს უცხო კულტურის კოლორიტი, ან რეალიებში გადმოცემული ინფორმაციის გამოტოვება დაუშვებელია. მაგრამ ერთსა და იმავე ტექსტში ამ ხერხის ხშირმა გამოყენებამ შეიძლება გადატვირთოს თარგმანი და საგრძნობლად გაზარდოს იგი. ამიტომ მთარგმნელი თავდაპირველად უნდ დარწმუნდეს ამ ხერხის აუცილებლობაში და მხოლოდ შემდეგ მიმართოს მას.

ე) შეცვლა. არც თუ ისე იშვიათად, მთარგმნელი ცვლის დამატებითი ინფორმაციით უცნობ, გაუგებარ ელემენტს, რომელიც მხოლოდ ნაგულისხმებია, მაგრამ რეცეპტორისათვის სრულიად ნათელი და გასაგებია.

One more night with this kid will send me to Bedlam.

“ბედლამი” ლონდონში მდებარე სულიერად დაავადებულთა სახლია, რომლის სახელწოდებაც საკმაოდ ცნობილია, მაგრამ აზრი ზოგიერთი მკითხველისთვის გაუგებარი რომ არ დარჩენილიყო, მთარგმნელმა ბედლამი მისი დანიშნულების ამხსნელი სიტყვით **საგიჟეთით** შეცვალა, რომელიც არაინგლისელისათვის უფრო ბუნებრივად ჟღერს და, შესაბამისად, უფრო მისაღებიც არის.

Oh, they will go with us. It's their shouri. You see they signed for it.

სიტყვა **shauri** სუაჰილის ენაზე ნიშნავს “საქმეს, ხელშეკრულებას.” მთარგმნელმა უცნობი ელემენტის შემოტანას ამჯობინა ამ სიტყვით გამოხატული მნიშვნელობით მისი შეცვლა.

ვ) გამოტოვება. სხვადასხვა სახის განმარტებებით ტექსტის შევსება მისი პრაგმატული ადაპტაციის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა. მთარგმნელები სხვა ხერხებსაც მიმართავენ, მაგალითად მათ შეუძლიან გამოტოვონ უცნობი დეტალი, რასაც, რა თქმა უნდა, არ უნდა მოყვეს ინფორმაციული დანაკარგი, ან შესუსტდეს დედნის ექსპრესიულ-ემოციური ზეგავლენა.

There were pills and medicine all over the place, and everything smelled like Vick' Nose

Drops.

ირველივ ყველგან აბები და წამლის ბოთლები ეყარა. ოთახი გაჟღენთილი იყო ცხვირის წვეთების სუნით.

საკვანძო ცნებები:

კომუნიკაცია, სამეტყველო აქტი, ადრესატი, ადრესანტი, კომუნიკანტები, შუამავალი, ენობრივი შუამავლობა, პროფესიული (მთარგმნელობითი) კომპეტენცია, პრაგმატული ადაპტაცია, ეკვივალენტური და არაეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა, ერთენოვანი კომუნიკაცია,

ორენოვანი კომუნიკაცია, კომუნიკაციის არხი, კულტურათაშორისი კომუნიკაცია.

კითხვები:

- 30 განმარტეთ ტერმინი „კომუნიკაცია“.
- 31 კომუნიკაციის თეორიის ჩამოყალიბების მნიშვნელობა თარგმანმცოდნეობის განვითარებისთვის.
- 32 კულტურათაშორისი კომუნიკაციის თავისებურებანი.
- 33 ერთენოვანი კომუნიკაციის მონაწილეები.
- 34 ორენოვანი კომუნიკაციის მონაწილეები.
- 35 ეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა.
- 36 არაეკვივალენტური ენობრივი შუამავლობა.
- 37 მთარგმნელი როგორც კულტურული მედიატორი.

მთარგმნელები გვაფრთხილებენ:

გაბატონებულია ცრუ წარმოდგენა, თითქოს ორი ენის ცოდნა ადამიანს მთარგმნელად ხდის. პიტერ ტრენტის სიტყვებს თუ დავიმოწმებთ, არ შეიძლება იყო მთარგმნელი მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ენა იცი, ეს იგივეა, რაც ფიქრობდე, რომ პიანინოზე დაკვრა შეგიძლია, რადგანაც ორი ხელი გაქვს.

თემა XI

თარგმანის კულტუროლოგიური ასპექტები

- 1) ენა და კულტურა;
- 2) კულტურის ფაქტორი თარგმანში;
- 3) რეალიების და ლაკუნების თარგმნა.

ენა და კულტურა

ადამიანის არსებობა მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ საქმიანობასთან. საზოგადოებრივი საქმიანობა, თავის მხრივ შეუძლებელია ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების გარეშე. გაგებინების უმნიშვნელოვანესი საშუალება არის ენა. ენა არის საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებებიდან, განსაკუთრებით კი შედეგზე ორიენტირებული საქმიანობიდან გამომდინარე, მუდმივად განახლებადი, განვითარებადი სისტემა აკუსტიკურად და ოპტიკურად აღქმადი ნიშნებისა, რომელიც ადამიანს ემსახურება აზრის გაფორმებაში, შეაძლებინებს მას გარკვეულ ფორმაში მოაქციოს აზრი და ამით გასაგები გახადოს იგი მისთვის და სხვათათვის. ენა ადამიანს ფიქრის პროცესს, ანუ გარკვეული რეალობის შემეცნებას შეაძლებინებს. ენის, როგორც ნიშანთა სისტემის მეშვეობით

შესაძლებელი ხდება აზრებისა და ემოციური განცდების გადმოცემა, ასევე მოპოვებული ცოდნის ფიქსირება და შენახვა.

როგორც მასლოვა აღნიშნავს, თანამედროვე ლინგვისტიკის უმთავრეს მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ენა უკვე აღარ განიხილება, როგორც ცალკე მდგომი, ან „საკუთარ თავში ჩაკეტილი“, არამედ ახალ პარადიგმაში, ის გვევლინება ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის უმთავრეს იარაღად (Маслова:2001:80).

ენა-ეს არის ერის ვერბალური განძი, აზრის გადაცემის საშუალება, რომელსაც ის გარკვეულ ენობრივ სტრუქტურაში აქცევს. ამასთან არსებული ცოდნა, არ წარმოადგენს ცოდნას მხოლოდ ენის შესახებ, არამედ ეს არის ცოდნა სამყაროზე, სოციალურ კონტექსტზე, კომუნიკაციური ურთიერთობის პრინციპებზე, ადრესატზე, ფონურ ცოდნასა და ა.შ. ამ ჩამოთვლილთაგან, არც ერთის მიჩნევა არ შეიძლება პრიორიტეტულად, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მათი ერთობლივად შესწავლა, მათი ურთიერთკავშირის გარკვევა მიგვაახლოებს ჩვენ ენობრივი კომუნიკაციის არსის წვდომას (მასლოვა:2006:27).

მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან. ეს დებულება სამართლიანია ხალხისა და ყველა ენის მიმართ. ადამიანის ცხოვრების მრავალი ასპექტი იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა კულტურას წარმოადგენს. აღნიშნავენ, რომ კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი. ასე დანახული კულტურა მოიცავს ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის აშკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენა შეადგენს (გამყრელიძე:2008-463).

მიუხედავად იმისა, აღნიშნავს გამყრელიძე, რომ ენის ათვისებისა და გამოყენების უნარი თანდაყოლილია და მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი ადამიანი ენას ითვისებს როგორც საზოგადოების წევრი თავისი სოციალური ჯგუფის კულტურის სხვა ასპექტებთან ერთად; საზოგადოება და კულტურა ერთმანეთს გულისხმობენ. ენა შეიძლება

განვითარდეს მხოლოდ ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სოციალურ ჯგუფებში; ამავე დროს, ადამიანთა საზოგადოების ნებისმიერი ფორმა, რომელიც ოდნავ მაინც ჰგავს დღემდე ცნობილ სოციალურ ფორმებს, შეიძლება შენარჩუნებულ იქნეს მხოლოდ საერთო ენის მქონე ადამიანებს შორის. ადამიანთა საზოგადოებაში ქცევის უდიდესი ნაწილი-ის, რაც კულტურის სფეროს განეკუთვნება, გადაიცემა საზოგადოდ არა იმიტაციის გზით, არამედ ენის საშუალებით. მართალია, ენის შესწავლის პროცესში, განსაკუთრებით-ადრეულ ასაკში, გარკვეულ როლს იმიტაციაც ასრულებს, მაგრამ ეს როლი უმნიშვნელოა; ენის მეშვეობით კი შესაძლებელი ხდება ცოდნის დაგროვება და გადაცემა თაობიდან თაობაში. ამით განისაზღვრება ის დომინანტური როლი, რომელსაც ენა, როგორც კულტურის ფენომენი, ასრულებს საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში (გამყრელიძე:2008-464).

ენა წარმოადგენს კულტურის იარაღს. ბევრი მეცნიერის ნაშრომი, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიცავს თეორიულ ცოდნას იმის შესახებ, თუ როგორ ინახება ენაში კულტურა, სამყაროს აღქმის ელემენტები და როგორ ხდება მათი ფორმირება ენაში კომუნიკაციის პროცესში. ამ საკითხის შესწავლას ეხება სწორედ კოგნიტიური ლინგვისტიკა, რომელსაც მასლოვა მომავლის ლინგვისტიკას უწოდებს.

კოგნიტიური ლინგვისტიკის შესწავლის მთავარ ობიექტს კონცეპტი წარმოადგენს. კონცეპტები, წარმოადგენენ მენტალურ ერთეულებს, რომელთაც გააჩნიათ სახელი ენაში და საკუთარ თავში ასახავენ ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ კულტურულ-ნაციონალურ წარმოდგენებს. კულტურის მთავარ კონცეპტებად მოიაზრებენ სამყაროს სურათის მთავარ ერთეულებს, ე.წ. კულტურის კონსტანტებს, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებებისათვის, ასევე მთლიანად ლინგვოკულტურული საზოგადოებისთვის.

ლინგვოკულტუროლოგიის კვლევით სფეროს წარმოადგენს კულტურისა და ენის ურთიერთქმედება სინქრონიასა და დიაქრონიაში, აღნიშნავს ს. ომიამე, თვით კულტურა კი მისი აზრით, განიხილება, როგორც ენის უმაღლესი ფორმა, როგორც აზროვნების საზრისულ კონცეპტთა სისტემა და აზროვნების

სტრუქტურათა წარმომქმნელი. დღეს, თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერებების მრავალ დარგში, ძალიან აქტუალური გახდა აზროვნების ისტორიის დაკავშირება კულტურის ისტორიასთან, ასევე აღსანიშნავია, რომ ორივე შემთვევაში ენა წამყვან როლს ასრულებს.

უნდა აღინიშნოს, რომ მეხსიერების მეშვეობით კულტურის განსაზღვრება ძალიან გავრცელებულია ჩვენს დროში. ადამიანი იმ კულტურას აკუთვნებს თავს, რომელთანაც იგი დაკავშირებულია წარმოშობით, საცხოვრებელი ადგილით, გარემოთი, აღზრდით, ტრადიციით, ენით, რომელზეც ლაპარაკობს და აზროვნებს (ომიამე: 2006: 12).

კულტურის ფაქტორი თარგმანში

აუცილებელია ხაზი გავუსვათ ტექსტის მნიშვნელობას, ვინაიდან სწორედ ტექსტია ენობრივი მარკერების მატარებელი. ტექსტი წარმოადგენს სრულიად ჰუმანიტარული მეცნიერებათა ციკლის ამოსავალ წერტილს, იარაღს; ის არის კვლევის ობიექტიც, მეტაენაც, კულტურული მეხსიერების მარკერიც და თვით ამ კულტურის მატარებელიც, ვინაიდან კონცეპტუალური ანალიზის წარმოება ტექსტის გარეშე შეუძლებელია. ვიცით, რომ კონცეპტუალური ანალიზი არის, პირველ რიგში იმ დიდი თეზაურუსის აკუმულირება, სადაც გამოყენებულია ესა-თუ ის კონცეპტი.

თარგმანი თავისებური სახის ბილინგვიზმის სიტუაციაა. სხვა ორენოვანი კომუნიკაციის შემთხვევებთან შედარებით თარგმანის თავისებურ ხასიათს აღნიშნავდა თარგმანის თეორეტიკოსი ფრანგი ჟ. მუნენი, რომელიც მის მიერ ფორმულირებულ თარგმანის განმარტებაში წერდა: „თარგმანი არის ენების კონტაქტი და ბილინგვიზმის ფაქტი. მაგრამ ბილინგვიზმის ეს ფაქტი ძალზედ თავისებურ ხასიათს ატარებს და არ ემორჩილება ზოგად კანონზომიერებებს. თარგმანი ენების კონტაქტის სიტუაციას წარმოადგენს. ის შეიძლება აღწერილი იქნას, როგორც ასეთი კონტაქტის უკიდურესი შემთხვევა, როდესაც

ბილინგვიზმის ჩვეული შედეგებისადმი წინააღმდეგობა უფრო გააზრებული და ორგანიზებულია. ამ შემთხვევაში ორენოვანი კომუნიკანტი გააზრებულად ებრძვის ენობრივი ნორმისგან ნებისმიერ გადახრას, ნებისმიერ ინტერფერენციას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ასეთი საინტერესო ფაქტების შეგროვების საშუალება ნათარგმნ ტექსტებში“. ამრიგად, თარგმანი არის ინტერფერენციისადმი გააზრებული წინააღმდეგობის ფაქტი. თარგმანის, როგორც ორენოვანი კომუნიკაციის ფაქტის მთავარი თავისებურება ისაა, რომ თარგმანი, თავისი არსით, ყოველთვის მეორადია. თარგმანი ეს არის სამეტყველო აქტი, რომლის მიზანი არა შექმნაა, არამედ უკვე არსებული სამეტყველო ნაწარმოების სხვა ენაზე აღდგენაა. თარგმანის ეს მნიშვნელოვანი თვისება ქმნის თავისებურ სიტუაციას: მთარგმნელი აღმოჩნდება არა მხოლოდ ორი ენის სისტემის გავლენის ქვეშ, არამედ ერთ-ერთი ენის ნიშნებში მატერიალიზებული ცნებების ქვეშ. სწორედ ეს „მესამე ძალაუფლება“ იწვევს ისეთ მოვლენას, როგორცაა მთარგმნელობითი ინტერფერენცია (აროშიძე, მაზმიშვილი: 2013).

რა კუთხითაც არ უნდა განვიხილოთ ჩვენ თარგმანი, გვერდს ვერანაირად ვერ ავუვლით „ტექსტის“ გაგებას. თანამედროვე თარგმანმცოდნეობაში, სწორედ მას უჭირავს ერთ-ერთი ყველაზე ცენტრალური ადგილი (Алексеева 2008:6).

ბოლო პერიოდში ტერმინი კულტურა და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ყველაზე უფრო აქტუალური გახდა ლინგვოდიდაქტიკური ნაშრომებისთვის. კულტურული ფონის მრავალფეროვნება იძულებულს ხდის სწავლულებსა და მეთოდისტებს დაფიქრდნენ სავსებით აქტუალური საკითხების გადაჭრაზე. კერძოდ კი, როგორ მოახდინონ დროზე რეაგირება და ეფექტური კულტურათშორისი კომუნიკაციის დამყარება? როგორ შეძლონ სხვა კულტურის არსის წვდომა ისე, რომ ამასთანავე შეინარჩუნონ და არ დაივიწყონ თავიანთი საკუთარი? სხვა კულტურისა და ენის შესწავლის დროს, როგორ

წამოსწიონ წინა პლანზე საკუთარი პატრიოტიზმი? როგორ აღუდგენენ წინ დისკრიმინაციას და პირიქით, მოახდინონ ტოლერანტობისა და ემპათიურობის გამოვლინება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, მკვლევარები და სწავლულები ერთხმად თანხმდებიან, რომ წამყვანი ადგილი კულტურათმორის დიალოგს (კულტურათა დიალოგს) უჭირავს. მსგავსი ყურადღება კულტურათმორის დიალოგზე სავსებით ბუნებრივია. დღესდღეობით, ენათმორისი თეორიისა და ტექნოლოგიების შესწავლა ფუნდამენტურია ლინგვოდიდაქტიკისთვის, ვინაიდან მისი შესწავლის სფეროს სწორედ „კულტურა“ და „კომუნიკაცია“, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულება წარმოადგენს. თანამედროვე ლინგვოსაგანმანათლებლო სიტუაციაში ორ წევრიანი ფორმულა „კულტურას +კომუნიკაცია“ მრავალ დონიანი და მრავალ ასპექტიანია. პირველ რიგში აღნიშნულ ფორმულაში აქტიურად მონაწილეობს ორი კულტურა, რომლებიც განსხვავებულად წარმოდგება შემსწავალელის გონებაში და რომლებიც მუდმივ ურთიერთკავშირში არიან. ასევე ძალიან დიდი ყურადღება და დრო ეთმობა შესასწავლი ენის კულტურის შესწავლას (Тарева:2014:98).

ტექსტი ყოველთვის იყო და რჩება ყველაზე უფრო მოთხოვნად კატეგორიად მთელ რიგ მეცნიერებებში საკვლევო კუთხით. ტექსტი, როგორც ლინგვისტური კვლევების ობიექტის, ფენომენი საკმაოდ მრავალხრივი და არაერთმნიშვნელოვანია. აღნიშნული კატეგორიის სამეცნიერო ცოდნის სხვადასხვა ვექტორში ინტერპრეტაციისას, აქცენტი ყოველთვის კეთდებოდა მისი არსის ყველა შესაძლო ასპექტზე, ვინაიდან ტექსტი წარმოადგენს ნიშანს (რთულ ენობრივ ნიშანს), სტატიკური სისტემის ნაწილს, დინამიკურ ერთეულს (ტექსტის შექმნის, ტექსტის შესწავლისა და ტექსტის აღქმის კუთხით), კომპონენტს, კულტურის გამოვლინებას, კულტურათმორისი კომუნიკაციის საშუალებას, სოციალურ ფენომენს, დისციპლინათმორის ობიექტს, ერთ კოდირებულ და მრავალ კოდირებულ სივრცეს (Тарева:2014:99).

ცხადია, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ტექსტის შესწავლა ხდება მისი „ვერტიკალური“ ნაწილის (მხოლოდ ფორმის) უარყოფით და განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ტექსტის მრავალგანზომილებიანი, მოცულობითი სიღმე, შინაარსი. მოდერნიზმში ტექსტი წარმოადგენს „ტექსტს ცხოვრებაში“, ეს არის არა მხოლოდ ლინგვისტური ტექსტი, არამედ კულტურის სისტემები და ქვე-სისტემები. ყოველივე თქმული აღნიშნავს, რომ ნიშანთა სისტემაში ხდება ყველა მიმართულებით მოძრაობა-ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად, დიაგონალზე და ა.შ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეს მიმართულება არ არის პრივილეგირებული, ყველა მათგანი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ტექსტის შესწავლის პროცესში ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ ტექსტი მთლიანობასა და ერთობლიობაში, არამედ მისი ცალკეული კომპონენტები, ობიექტები, სიტუაციები და მათი ურთიერთმიმართებები (Тарева:2014: 100).

ტექსტი განიხილება, როგორც სტრუქტურა-სემანტიკური, კომუნიკაციური ერთეული, როგორც სისტემა, შემოქმედება, როგორც კომუნიკაციურ-კოგნიტიური მოდელი, როგორც სისტემა-სტრუქტურული, ინფორმაციულ-ფუნქციონალური გამოვლინება. ლინგვოკულტურულოგიაში, ტექსტის შესწავლა ტრადიციულად ხდება ლინგვისტურ მიმდინარეობებსა და მიმართულებებთან მჭიდრო ურთიერთობაში (Тарева:2014:100).

ტექსტი განიხილება, როგორც ენობრივი ნიშანი, რომელიც თავის მხრივ შესდგება ნაკლებად მოცულობითი ენობრივი ნიშნებით. ტექსტი, როგორც რთული ენობრივი ნიშანი, მარტივი ენობრივი ნიშნების მსგავსად, შესდგება სამი სემიოტიკური პარამეტრისგან: სინტაქსური-რომელიც გამოხატავს ნიშნების ურთიერთმიმართებას; სემანტიკური-გამოხატავს მიმართებას ნიშანსა და მნიშვნელობას შორის და პრაგმატულისგან-რომელიც გულისხმობს ნიშნის წყაროსა და რეციპიენტს შორის ურთიერთობას (Алексеева: 2008:10).

ამასთან ერთად, ლინგვისტიკაში არსებობს სხვა, უფრო ტრადიციული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნიშანი მოიზარება, როგორც ორმხრივი ენობრივი ერთეული, მუდმივი კავშირით თავის ფორმასა და შემადგენლობას შორის. ამ მოსაზრებას ბევრი ლინგვისტი და ენათმეცნიერი იზიარებს. ტექსტების ტიპები და კონვენციები, რომელთა ფორმირებაც ხდება სოციალური და კომუნიკაციური გამოცდილებით, ასევე გამოირჩევა განზოგადებით და გამოიყენება სოციალურად განპირობებული წესების შესაბამისად. როგორც ჩანს, აქ აუცილებელია ენობრივი და სამეტყველო ნიშნების განსხვავებაც. ჩვენი აზრით ენობრივი ნიშანიც შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც ტექსტი (Алексеева:2008:10).

ტექსტის მიმართ ფუნქციონალურმა მიდგომამ, ასევე ტექსტის სხვადასხვა მახასიათებლების კვლევამ მეცნიერები მიიყვანა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ევოლუციამდე და შესაბამისად, აიძულა ისინი გარკვეული კორექტირება შეეტანათ სამეტყველო კომუნიკაციის მოდელში და შეეცვალათ წარმოდგენა კომუნიკაციურ აქტებზე. 70-იან წლებში დომინირებდა შეხედულება კომუნიკაციურ აქტებზე, როგორც გამოთქმების გაცვლაზე, ამასთან გამოთქმების ქვეშ იგულისხმებოდა წინადადებები, ხოლო ტექსტი განიხილებოდა, როგორც გამოთქმების თანმიმდევრობა. კომუნიკაციური აქტის ასეთ წარმოდგენას, ჩვენ ვხდებით თითქმის ყველა ნაშრომში, რომელიც ეხება თარგმანის თეორიას, მათ შორის კომისაროვისა და სხვათა ნაშრომებში. ამ შემთხვევაში, კომუნიკაციის ერთეულად ითვლება წინადადება (გამოთქმა) და სწორედ ის იტვირთება საკომუნიკაციო ფუნქციით, მაშასადამე წარმოადგენს კომუნიკაციური ამოცანის მატარებელს.

80-იანი წლების დასაწყისიდან, გამოთქმების ქვეშ იწყებენ ტექსტისა, თუ მისი ფრაგმენტის გაგებას და ამჯერად სწორედ ტექსტი მოაზრება კომუნიკაციურ ერთეულად. „კომუნიკაცია შესდგება კომუნიკაციური აქტებისგან, რომლებშიც მონაწილეობენ კომუნიკანტები ქმნიან რა გამოთქმებს

და ახდენენ მათ ინტერპრეტირებას“-წერს ი.ნ. გორელოვი, ხაზს უსვამს რა გამოთქმისა და ტექსტის იდენტობას კომუნიკაციური თვალსაზრისით.

კომუნიკაციურმა ლინგვისტიკამ თავისი კორექტივები შეიტანა ტექსტის შემადგენელი ნაწილების გაგებაშიც. როგორც გეპფერიხი აღნიშნავს, კომუნიკაციური თვალსაზრისით აზრი არ აქვს ვერბალური და არავერბალური კომპონენტების განცალკევებას და აქცენტის გაკეთებას, ტექსტის მხოლოდ ვერბალურ გამოთქმებზე. ტექსტის ილუსტრაციებიც ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია და მათი იგნორირება არასწორია. მაშასადამე, ღირს საუბარი არა მხოლოდ ვერბალურ, არამედ ტექსტის სემიოტიკურ შემადგენლობაზეც. თავის განსაზღვრებაში, გეპფერიხი აღნიშნავს ტექსტის გამომხატველობით ფუნქციას: „ტექსტი-თემატურად, თუ ფუნქციონალურად ორიენტირებული, ლინგვისტური, ან ლინგვო-გამომსახველობითი კომპლექსია, რომელიც იქმნება განსაზღვრული მიზნით, საკომუნიკაციო ინტენციით და აკისრია შემეცნებითი, კომუნიკაციური ფუნქცია და წარმოადგენს შემადგენლობით და ფუნქციურად დასრულებულ ერთეულს“ (Алексеева:2008:25).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმული ცხადია სრულად არ ასახავს და არ მოიცავს ტექსტის გაგების ყველა კომპონენტს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანი და ყურადსადებია ტექსტის აღქმის ფსიქო-ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის შექმნასა და გაგებასთან, ტექსტის ფონეტიკური მახასიათებლები, არგუმენტირების თეორია და ასევე სტილისტური პრობლემების მთელი კომპლექსი. როგორც ფილიპოვი აღნიშნავს, ტექსტის კოგნიტური ასპექტების კვლევა ჯერ-ჯერობით ახალი მიმართულებაა და მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომია ამ მხრივ შექმნილი. ჩვენს მიერ განხილული საკითხები მნიშვნელოვან ბაზას წარმოადგენენ ტექსტის თარგმნისა და ზოგადად ტრანსლატოლოგიის მიმართულებით.

თარგმანის თეორიის სფეროში პირველი წარმოდგენები იყო მცდელობები გამოვლენილიყო თარგმანისა და ენის ურთიერთკავშირი, ხოლო „ტექსტის“ გაგება გამოიყენებოდა მხოლოდ მასალის აღწერისას, რომლის ბაზაზეც ხდებოდა ამ წარმოდგენების წარმოქმნა. აუცილებელია მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ტიპის კვლევა, იმისათვის რათა უკეთ ჩავწვდეთ „ტექსტისა და თარგმანის“ არსს. იყო მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც ენის, როგორც ენის სულის გამომხატველი ფენომენის თარგმნა საერთოდ შეუძლებელიც კი იყო. ფრიდრიხ შლეირმახერი თავის ნაშრომში „თარგმანის სხვადასხვა მეთოდების შესახებ“ 1813 წელს, ამბობს, რომ აუცილებელია „ენის სულის“ გადმოცემა. აღსანიშნავია, რომ შლეირმახერის ამ ნაშრომში ჩვენ ვპოულობთ ტექსტის ისტორიაში ერთ-ერთ პირველი ტექსტების კლასიფიკაციას. ორიენტირებას აკეთებს რა თარგმანზე, ის გვთავაზობს გავმიჯნოთ „საქმიანი ცხოვრების“ ტექსტები და ტექსტები მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროდან, ის ასევე ხაზგასმით მიუთითებს ამ ორი ჯგუფის ტექსტებისადმი განსხვავებული მიდგომების აუცილებლობაზე. ამასთან ის განიხილავს მხოლოდ სამეცნიერო და ხელოვნების სფეროს ტექსტებს, „ენის სულის“ გამომხატველად, სწორედ მათი თარგმანისთვის გვთავაზობს ის თარგმანის ხერხს „გამორიცხვას“ (Алексеева:2008:31).

პირველი მკვლევარი, რომელსაც ტრანსკოდირების მოდელში შეჰყავს „ტექსტი“ არის ანრი ვერნე. ვერნეს მიხედვით, ორიგინალი ტექსტის გადაკოდირება ხდება ნათარგმნ ტექსტად შუალედური ეტაპის გავლით, რომელსაც წარმოადგენს „მეტატექსტი“ ენის დონეზე, სწორედ აქ ხდება გენერატიული, არაენობრივი კატეგორიების ურთიერთმიმართება. ვერნეს კვალდაკვალ ბევრი მკვლევარი გვთავაზობს ანალოგიურ მოდელებს, რომლებიც არ ითვალისწინებენ სხვადასხვა ტექსტების ტიპოლოგიურ ნიშნებს.

მოგვიანებით, 1992 წელს, ვკოლერი გვთავაზობს თარგმანზე ორიენტირებული ტექსტის ჟანრების კლასიფიკაციას. ყველა ტექსტს ის ყოფს ორ ჯგუფად: ფიქტიურ ტექსტებად და სპეციალურ, ან საქმიან ტექსტებად, აღნიშნავს რა რომ ეს ტექსტები ეკვივალენტობის კუთხით ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. ფიქტიური ტექსტების ქვეშ ავტორი გულისხმობს ლიტერატურულ ტექსტებს, ხოლო საქმიან ტექსტებს ის ასევე ჰყოფს სამ ჯგუფად:

1. უტილიტარული (გამოყენებითი, პრაგმატული);
2. პოპულარული;
3. სპეციალური.

უფრო მეტი მოწესრიგებულობით ხასიათდება ტექსტების ტიპოლოგია. თარგმანზე ორიენტირებული, ასეთი ტიპოლოგიის პირველი სერია გამოჩნდა 1974 წელს. კ. რაისი ყოფს ტექსტებს კომუნიკაციურ ფუნქციასთან დამოკიდებულებით, ეყრდნობა ტექსტების ფუნქციას და გამოჰყოფს: ინფორმაციულ, ექსპრესიულ, ოპერატიულ ტექსტებს და განიხილავს მხოლოდ ამ უკანასკნელს. კ. რაისი ცდილობს სრულყოფილი გახადოს თავისი კლასიფიკაცია, ისწრაფვის განიხილოს ყველა არსებული ტექსტის მრავალფეროვნება, რაც პირველი სერიის კლასიფიკაციაში მას არ გამოსდიოდა და ამიტომაც დაამატა მეოთხე კატეგორია-აუდიომედიალური ტექსტები, მაგრამ ამით არღვევს საკუთარი კლასიფიკაციის ერთიან კრიტერიუმს. მნიშვნელოვანი როლი ტექსტისა და მისი თარგმანის სფეროში ითამაშა სამეტყველო აქტების თეორიამ, რომელიც საჭიროებდა მთარგმნელის მიერ მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილების გათვალისწინებას. ტექსტში წარმოდგენილი სამეტყველო აქტების სპეციფიკას და მათ თარგმანში გადატანას მნიშვნელოვანი ნაშრომები მიუძღვნა მ. სნელ-ჰორნბმა, შეადარა რა ერთმანეთს ინგლისური და გერმანული ტექსტები.

თარგმანის თეორია თავისი ფორმირების პროცესში მუდმივად აკეთებს აქცენტს ტექსტის თეორიაზე, უპირველეს ყოვლისა კი-ტექსტის ლინგვისტიკაზე. სწორედ ტექსტი წარმოადგენს უმთავრეს ენობრივ ნიშანს.

კულტურული კონცეპტების თარგმნის სპეციფიკა

კულტურული კონცეპტების თარგმნა წარმოადგენს ერთერთ ყველაზე რთულ ამოცანას მთარგმნელისთვის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კულტურა და კულტურათმორისი კომუნიკაცია ბევრად უფრო რთული ფენომენია, ვიდრე ეს მთარგმნელს წარმოუდგენია. მთარგმნელის კომპეტენციაზეა დამოკიდებული თარგმანის ხარისხი, მაშასადამე რაც უფრო მეტ ცოდნას ფლობს მთარგმნელი კულტურათა მახასიათებლებსა და კულტურათმორის განსხვავებულობაზე, მით უფრო კარგია თარგმანი. მთარგმნელი თეორეტიკოსები ჯერ კიდევ უძველესი პერიოდიდან აღიარებდნენ კულტურული ცოდნის პრობლემებსა და კულტურებს შორის განსხვავებებს. სწორედ კულტურის შეახებ ცოდნა და კულტურათმორისი განსხვავებები წარმოადგენდა მთარგმნელობითი პრაქტიკისა და თეორიის შესწავლისას მთავარ საგანს, სწორედ მათზე კეთდებოდა მთავარი აქცენტი. წინამდებარე ქვე-თავში ჩვენ გვსურს წარმოვადგინოთ ზოგიერთი პროცედურა და სტრატეგია, რომლებიც გამოყენებულია სხვადასხვა თეორეტიკოსის მიერ კულტურული კონცეპტების თარგმნისას. ვფიქრობთ, რომ ისინი დაეხმარება მთარგმნელებს თარგმანის პროცესში და ისინი კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე სწორად შეარჩევენ მათთვის უფრო ეფექტურ პროცედურებს.

ოდითგანვე დიდ ყურადღებას იქცევდნენ სიტყვები, რომლებიც ასე მყარად წარმოადგენდნენ კონკრეტული კულტურის ნაწილს და მათი თარგმნა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ხანგრძლივი დებატები იმართებოდა იმის თაობაზე თუ როდის მომხდარიყო მათი პერიფრაზირება, როდის გამოყენებულიყო ყველაზე ახლო ეკვივალენტი, როდის შექმნილიყო ახალი

სიტყვა (განსაკუთრებით მხატვრული თარგმანისას) და როდის მომხდარიყო უბრალოდ მისი გაშიფრვა, ე.წ. ტრანსკრიფცია. სწორედ ეს „უთარგმნელი“ კულტურის მატარებელი სიტყვები, თუ ფრაზები მუდმივად ხიბლავდნენ მთარგმნელებსა და მთარგმნელობით თეორეტიკოსებს. ამ მხრივ პირველი თეორია განავითარა ფრანგმა მეცნიერმა მუნენმა 1963 წელს, რომელმაც ხაზი გასუვა ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობას, ამბობდა რა, რომ თუკი მოხდება მხოლოდ მათი მნიშვნელობის თარგმნა, რამდენად სწორად შეასრულებდნენ ისინი მათზე დაკისრებულ ფუნქციას. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეს კულტურული ელემენტი არ მოიაზრებს მხოლოდ ცალკეულ ენობრივ ერთეულებს, რა უნდა გააკეთოს მთარგმნელმა როდესაც წყარო ენის წარმომადგენლების ფონური ცოდნა გაჯერებულია კულტურის გამოძახილით? კულტურის ცნება აუცილებელია თარგმანის პროცესში, მიუხედავად განსხვავებული აზრისა იმის შესახებ ენა არის კულტურის ნაწილი თუ არა, ეს ცნებები კულტურა და ენა გაუმიჯნავია. 1964 წელს ნიდამ განიხილა თარგმანში შესაბამისობის პრობლემა, მიანიჭა რა თანაბარი მნიშვნელობა როგორც ლინგვისტურ, ასევე კულტურულ განსხვავებებს წყარო და სამიზნე ენებს შორის და დაასკვნა, რომ კულტურათა განსხვავებას უფორ მეტი დაბრკოლებების შექმნა შეუძლია მთარგმნელისთვის, ვიდრე ენობრივ სტრუქტურებს შორის განსხვავებებს. ის დასძენს რომ მნიშვნელოვანია როგორც კულტურული მახასიათებლები, ასევე ლექსიკური საკითხები. ნიდას განმარტებები ფორმალური და დინამიკური ეკვივალენტობისა მოიაზრებს თარგმანზე კულტურის გავლენას. მისი აზრით მნიშვნელოვანია სამიზნე ენის მკითხველს შეეძლოს წყარო ენის კონტექსტის შესახებ მეტი ინფორმაციის გაგება, მისი წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, აზროვნების მანერისა და გამოხატვის საშუალებების წვდომა. ამ იდეის საპირისპიროა მოსაზრება, რომ დინამიკური ეკვივალენტობა „ცდილობს დაუკავშიროს ერთმანეთს რეცეპტორი და საკუთარი კულტურის რელევანტური ქცევის ფორმა“, იმის

დაჯინების მიუხედავად, რომ რეცეპტორი იგებს წყარო ენის კონტექსტის კულტურას“. მისი მიხედვით, პრობლემები მრავალფეროვანია გამომდინარე ორ ენაში არსებული კულტურული და ენობრივი განსხვავებულობისა. გარდა მთელი რიგი პრობლემატური ფაქტორებისა (ფორმა, მნიშვნელობა, სტილი, ანდაზები, იდიომები და ა.შ), რომლებსაც მთარგმნელი აწყდება თარგმანის შესრულების პროცესში, კულტურული კონცეპტები კიდევ უფრო ართულებენ ამ ისედაც რთულ საქმეს. მთარგმნელებმა, წყარო ტექსტის ანალიზის პროცესში უნდა შესძლონ პირველ რიგში კულტურული კონცეპტების გამოვლენა და შემდეგ უკვე სწორი სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენება მათი თარგმნის დროს. უფრო მეტიც მათ უნდა იცოდნენ როგორ შეინარჩუნონ ტექსტის შინაასობრივი და სტილისტური მხარე ისე, რომ მკითხველმა ისეთივე სიამოვნება მიიღოს მისგან, როგორც ეს ორიგინალ ტექსტშია.

კულტურის გამომხატველი კონცეპტები არის სიტყვები და ფრაზები, რომლებიც განპირობებულია კულტურული მრავალფეროვნებით. ლიუსის მიხედვით „ჩვენ ერთხმად ვაღიარებთ, რომ კულტურული მრავალფეროვნება მასშტაბური და შესანიშნავია“ (Luis 2006:4). მსოფლიოში უამრავი განსხვავებული კულტურაა, ყველა მათგანი უნიკალური და საინტერესოა. ფაქტობრივად, ზოგიერთი კონცეპტი ბევრ კულტურაში გვხვდება, მაგრამ მათი მნიშვნელობები განსხვავებულია (Luis 2006:4). ეს განსხვავებები შეიძლება ზოგჯერ იმდენად მრავალრიცხოვანი იყოს, რომ შეიძლება გვეგონოს, რომ ამ კულტურის წარმომადგენელი ერი, მხოლოდ საკუთარი თვალით უყურებს სამყაროს. ლიუსი ამბობს, რომ ისე თითქოს სხვადასხვა კულტურები სხვადასხვა სამყაროში ცხოვრობენ.

კულტურული განსხვავებულობა საგრძნობლად შესამჩნევია ლიტერატურაში. მხატვრულ ლიტერატურაში გამოგონილი პერსონაჟები წარმოადგენენ და გამოხატავენ ამ კულტურისთვის დამახასიათებელ წეს-ჩვეულებებს, ადათებს და ა.შ. თარგმანის განვითარების ეპოქაში, მაშინ,

როდესაც ნაწარმოებების თარგმნა სხვადასხვა ენაზე უკვე სირთულეს აღარ წარმოადგენს, ხშირია როდესაც ხდება კულტურათა შეჯახება, ვინაიდან განსხვავებული კულტურის წარმომადგენელი, განსხვავებული კუთხით, განსხვავებული თვალთ ადიქვამს წყარო ტექსტს. მაშასადამე, ამ შემთხვევაში მთარგმნელის კომპეტენტურობაზეა ბევრი რამ დამოკიდებული, მან უნდა შეძლოს ისეთი მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხორციელება, რომლებიც სამიზნე ენაზე შექმნილი ტექსტის აღქმას გაუადვილებს მკითველს. აქ აუცილებელია განიმარტოს კულტურის ცნება, კულტურის გამომხატველი კონცეპტების მნიშვნელობა და ა.შ.

ნიუმარკი განსაზღვრავს კულტურას შემდეგნაირად: „ცხოვრების არსის გადმოცემა იმ გზით, სადაც საზოგადოება იყენებს კონკრეტულ ენას და მისი გამომხატვის საშუალებებს“, მაშასადამე ცხადია, რომ თითოეულ ენობრივ ჯგუფს გააჩნია საკუთარი კულტურული მახასიათებლები. პიტერ ნიუმარკმა მოახდინა კულტურის გამომხატველი სიტყვების კატეგორიზაცია:

1. ეკოლოგია: ფლორა, ფაუნა, მთები;
2. მატერიალური კულტურა: ტანისამოსი, საკვები, ქალაქები, ტრანსპორტი;
3. სოციალური კულტურა: სამუშაო და გართობა;
4. ორგანიზაციის წეს-ჩვეულებები, აქტივობები, პროცედურები.

კონცეპტები:

- პოლიტიკური და ადმინისტრაციული;
- რელიგიური;
- მხატვრული.

5. ჟესტები და ჩვეულებები.

ის გვთავაზობს თარგმანისთვის საჭირო კონტექსტუალურ ფაქტორებს, რომლებიც მოიცავს:

1. ტექსტის მიზანს;
2. მკითხველების მოტივაციას და კულტურას, ტექნიკურ და ლინგვისტურ დონეს;

3. რეფერირების მნიშვნელობას წყარო ტექსტში;
4. ამოცანებს (ადგილი აქვს თუ არა რეალურ თარგმანს?);
5. სიტყვის სიახლეს;
6. მომავალს.

ვინაიდან ენა წარმოადგენს კულტურის ნაწილს, ნიუმარკი გვთავაზობს იმ სტრატეგიებს, რომლებიც ეხმარება მთარგმნელს კულტურული „უფსკრულის“ დაძლევაში:

1. ნატურალიზაცია-სტრატეგია, როდესაც წყარო ენის გარდაქმნა ხდება სამიზნე ენაზე თავისი ორიგინალი ფორმით.

2. კუპლეთი, ტრიპლეთი და კვატრო: არის კიდევ ერთი ტექნიკა, რომელსაც მთარგმნელი იყენებს გადატანის, ნატურალიზაციის, ან კალკირებისას, იმისათვის რათა თავი დააღწიოს რაიმე გაუგებრობას; მისი თქმით ეს წარმოადგენს რამდენიმე სტრატეგიას ერთად, ერთი პრობლემის გადასაჭრელად.

3. ნეიტრალიზაცია-ნეიტრალიზაცია წარმოადგენს პერიფრაზირების სახეს სიტყვის დონეზე. თუ კი ის შესრულებულა მაღალ დონეზე ის ჩაითვლება პერიფრაზად. როდესაც ხდება წყარო ენის ნაწილის გენერალიზაცია, ის პერიფრაზირდება სხვა კულტურისთვის არადამახასიათებელი სიტყვებით;

4. აღწერილობითი და ფუნქციური ეკვივალენტი-იმისათვის რათა განიმარტოს წყარო ენის კულტურული მახასიათებელი არსებობს ორი ელემენტი: ერთი აღწერილობითი, ხოლო მერე ფუნქციური. აღწერილობითი ეკვივალენტი შეიცავს ცნობებს ზომაზე, ფერსა და შემადგენლობაზე, ხოლო ფუნქციური-წყარო ენის კულტურული კონცეპტის მიზანზე.

5. ახსნა-განმარტება სქოლიოს სახით-მთარგმნელს შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი ინფორმაციის მიცემა მკითხველისთვის, ის ამ ინფორმაციას ახსნის სქოლიოში. სქოლიო შეიძლება მოთავსდეს გვერდის, თავის, ან წიგნის ბოლოში.

6. კულტურული ეკვივალენტი: წყარო ენის კულტურული კონცეპტი ითარგმნება სამიზნე ენის კულტურული კონცეპტით;

7. კომპენსაცია: ტექნიკა, რომელიც გამოიყენება დაკარგული მნიშვნელობის აღსადგენად, ხმის ეფექტები, პრაგმატული ეფექტები, ან მეტაფორა, ტექსტის ერთ ნაწილში. კონცეპტის კომპენსირება ხდება ტექსტის მეორე ნაწილში.

რეალიების თარგმანი

თარგმნის დროს რეალიების მნიშვნელობების არცოდნა ერთ-ერთი არსებითი სირთულეა, ასევე რთულია იმ სიტყვების თარგმნა, რომელთა მნიშვნელობა, ერთი შეხედვით, ნაცნობია, მაგრამ მათი მნიშვნელობა ორიგინალის პუბლიკაციის შემდეგ შეიცვალა. თუმცა, მთარგმნელი არ უნდა მოხვდეს უცხო სამყაროს გავლენის ქვეშ და ყველა სიტყვაში რეალია არ უნდა ეძებოს. უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა „რეალიის“ გამოყენებით ავტორი ყოველთვის არ უსვამს ხაზს ამ რეალიის არსს და არ ახდენს მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას. კონოტაციის და კოლორიტის შენარჩუნება თარგმანში ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობის გადმოცემა. ამიტომ არჩევანი ყოველთვის ტექსტის ადრესატისა და მისი პრაგმატიკულ-ესთეტიკური ბუნების გათვალისწინებით უნდა გაკეთდეს.

ფ. ერბულოს აზრით, მთარგმნელმა მის ხელთ არსებულ საშუალებათა ერთობლიობიდან ის ვარიანტი უნდა შეარჩიოს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს. თარგმნის დროს უნდა მოხდეს ყველა იმ ნიუანსის გათვალისწინება, რომელიც სტატიის ავტორისათვის იმპლიციტურია და ნაკლებად გასაგებია მკითხველისათვის. ასეთ შემთხვევაში, მთარგმნელი ექსპლიციტს ზომიერების ფარგლებში მიმართავს. ამ მოვალეობის წარმატებით განხორციელებისათვის, მთარგმნელი არა მარტო სიღრმისეულად უნდა ფლობდეს სამუშაო ენებს, არამედ საფუძვლიანად უნდა იცნობდეს ამ ორ კულტურას (ერბულო 1991:100).

ენის ცოდნა თარგმნის აუცილებელი პირობაა, თუმცა, მთარგმნელის ფუნქცია ენობრივი ანალიზი არაა. როგორც მ. ლედერერი აღნიშნავდა, მთარგმნელი უნდა შეეცადოს მეორე ენაში მოახდინოს აზრის ხელახალი გამოხატვა. იმისათვის, რომ უზრუნველყოს შინაარსის გადმოცემა, მთარგმნელმა უნდა განსაზღვროს მისი კვლევის ობიექტი, ტექსტის მნიშვნელობა და ავტორის მიერ გამოხატული აზრი (სელესკოვიჩი, ლედერერი 2008:30).

გეოგრაფიული დასახელებების, საყოფაცხოვრებო რეალიების და ქცევის ნორმების ცოდნა გვეხმარება არა მხოლოდ თარგმანში, არამედ უშუალოდ ურთიერთობებში, რადგან ჩვენს თანამოსაუბრესთან ერთად, ჩვენ ვფლობთ ვირტუალური, არავერბალური ცოდნის გარკვეულ მარაგს და ვიცნობთ იმ რეალიებს, რომელზეც ვსაუბრობთ. სწორედ ეს უზრუნველყოფს ადეკვატურ ენობრივ ურთიერთობას.

ზოგადი კულტურისა და განათლების მნიშვნელობა ხშირად დაკნინებულია თარგმანში. თუმცა, როგორც პროფესიონალების, ასევე არაპროფესიონალების მიერ შესრულებული თარგმანები ცხადყოფს, რომ კარგი ენობრივი ცოდნა, თუკი მას არ ახლავს სათანადო ექსტრალინგვისტური ცოდნა, შესაძლოა არასწორი თარგმანის მიზეზი გახდეს. თარგმნის პროცესი გულისხმობს სათარგმნ ენაზე ისეთივე ტექსტის შექმნას, რომელიც შეძლებს მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულებას (ჟილი 2005:13).

